ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი

8

2015

რედაქტორები:	გიორგი სანიკიძე
	ნიკოლოზ ნახუცრიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:	მირანდა ბაშელეიშვილი
	თამთა ბოკუჩავა
	მარიამ გურეშიძე
	სიმონ გურეშიძე
	ინგა ინასარიძე
	თინათინ კუპატაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
მისამართი: აკად. გ. წერეთლის 3, 0162 თბილისი
ტელ./ფაქსი: (+995 32) 223 31 14
ელ–ფოსტა: giorgi.sanikidze@iliauni.edu.ge
http://www.iliauni.edu.ge

შ ი ნ ა ა რ ს ი

მირანდა გაშელეიშვილი
2008 წლის აგვისტოს ომი და ირანის პოზიცია
(სპარსული პრესის მასალების მიხედვით) 4

მირანდა გაშელეიშვილი
ირანისა და რუსეთის შეთანხმება სამხედრო თანამშრომლობის შესახებ 9

მირანდა გაშელეიშვილი
ირანისა და აშშ-ის თანამშრომლობის საკითხი
ახლო აღმოსავლეთის რეგიონში 12

თინათინ კუპატაძე
ინტერნეტის ცენზურა ირანში - 21-ე საუკუნის „ყარბზადეგი“ 16

თამთა ბოკუჩავა
თურქეთი და სომხების გენოციდის 100 წლისთავი 23

თამთა ბოკუჩავა
თურქეთ-ირანის ურთიერთობები 25

ინგა ინასარიძე
„აბდულას მახვილი” 29

სიმონ გურეშიძე
ისლამური სახელმწიფო 36

სიმონ გურეშიძე
„ჰიზბალლაჰი“ და გლობალური ტერორიზმი 44

მარიამ გურეშიძე
ერაყი და „შავი ოქროსთვის“ მებრძოლი ქურთები 49

თარგმანი
კენეთ ნ. უოლცი
რატომ უნდა იქონიოს ირანმა ბომბი
(თარგმნა და შენიშვნები დაურთო *თორნიკე სრესელმა*) 53

მირანდა ბაშელეიშვილი

2008 წლის აგვისტოს ომი და ირანის პოზიცია
(სპარსული პრესის მასალების მიხედვით)

კავკასია მსოფლიო გეოპოლიტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობით სარგებლობს. ამის ნათელი დადასტურებაა ისიც, რომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა, ე.წ. სამხრეთ ოსეთის კრიზისმა დაუყოვნებლივ საერთაშორისო გამოხმაურება ჰპოვა, მსოფლიოს ყურადღება კვლავ ამ სტრატეგიული რეგიონისკენ მიაპყრო და რუსეთისა და დასავლეთის დაპირისპირების მიზეზი გახდა. აღნიშნული მოვლენა გახდა ირანის ყურადღების საგანიც, გამოითქვა უამრავი მოსაზრება და არამარტო პოლიტიკოსების მხრიდან, ეს საკითხი ფართოდ განიხილეს ასევე ირანელმა ექსპერტებმა.

კავკასიაში არსებული ვითარების გათვალისწინებით საკმაოდ მნიშვნელოვანია განვიხილოთ ირანის პოზიცია სპარსული პრესის მასალების მიხედვით. ცნობილია, რომ ირანი საუკუნეების განმავლობაში ამ რეგიონში აქტიური პოლიტიკის გამტარებელი იყო. ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" კონფლიქტის შემდეგ გამოქვეყნებულ სტატიებში ირანელი ექსპერტები ამახვილებენ ყურადღებას სხვადასხვა საკითხზე, როგორიცაა, მაგალითად: **კონფლიქტის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მიზეზები; რუსეთის მიზნები ამ კონფლიქტში, კონფლიქტის გავლენა ირანის საგარეო პოლიტიკაზე** და ა.შ. ყველა ექსპერტი (ვალი ქუზე გარ ქალეჯი, დოქტორ ალი ამიდი _ საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარი ისპაჰანის უნივერსიტეტში; დოქტორ ბაჰრამ ამირ აჰმადიანი) ერთხმად მიუთითებს აგვისტოს მოვლენების საერთაშორისო მნიშვნელობაზე. მაგ; დოქტორ ამიდის აზრით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის, 2001წ. ავღანეთში ტალიბების განადგურების და 2003წ. ერაყში სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ, კავკასიის კონფლიქტი ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო მოვლენაა, რომელმაც ბევრი რამ შეცვალა არამხოლოდ რეგიონალურ, არამედ საერთაშორისო ურთიერთობების დონეზე.[1]

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეიქმნა შესაძლებლობა ირანსა და რეგიონის ქვეყნებს შორის ორმხრივი პირდაპირი ურთიერთობების დამყარებისათვის. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ირანის ცივი ურთიერთობა დასავლეთთან, განსაკუთრებით, დაპირისპირება ამერიკასთან, ასევე ირანის ნეგატიური დამოკიდებულება ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებისადმი, რასაც ის თავისი ეროვნული უსაფრთხოებისათვის საშიშად მიიჩნევს - ეს ყველაფერი განაპირობებს თეირანის უფრო მეტ დაახლოებას მოსკოვთან. თუმცა დოქტორ ამირ აჰმადი აღნიშნავს, რომ ირანის როლი კავკასიაში უფრო პოლიტიკური და ეკონომიკურია, ვიდრე სამხედრო.

ვალი ქუზე გარ ქალეჯი თავის სტატიაში "სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი და რუსეთის აგრესია საქართველოსადმი" ყურადღებას ამახვილებს რუსეთის მიზნებსა და კავკასიაში მის მიერ გატარებულ პოლიტიკაზე: სამხრეთ კავკასიას რუსეთისათვის სტრატეგიული და გეოპოლიტიკური თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს. მოსკოვი გამუდმებით ცდილობდა და ცდილობს არ დაკარგოს თავისი ჰეგემონია ამ რეგიონზე. აქედან გამომდინარე, რუსეთი ბოლო 17 წლის განმავლობაში თავისი ურთიერთობების განსამტკიცებლად აზერბაიჯანთან, საქართველოსთან და სომხეთთან სხვადასხვა ხერხებს იყენებდა. რუსეთი, სადაც XX ს-ის 90-იან წლებში ეკონომიკური კრიზისი იყო, რეგიონში

[1] دکتر علی امیدی "ابعاد بین المللی بحران گرجستان و آثار آن بر منافع ملی یران" ,58

საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობის დასაცავად და თავისი გავლენის სფეროს შესანარჩუნებლად საუკეთესო გზად ეთნოკონფლიქტების წაქეზებასა და წახალისებას თვლიდა. ამდენად, პირველ ეტაპზე რუსეთი თავისი სამხედრო მხარდაჭერით სეპარატისტებისადმი უზრუნველყოფდა მათ გამარჯვებასა და უსაფრთხოებას. კრემლი შემდგომ პერიოდში "ნეიტრალური შუამავლის" როლს ასრულებდა, ხოლო ბოლოს, მხარეებს შორის მშვიდობის დამცველი იყო და რა თქმა უნდა, არცერთი პოზიტიური ნაბიჯი არ გადაუდგამს კონფლიქტის მოსაგვარებლად.[2]

სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მიზეზებს და რუსეთის მიზნებს ფართოდ განიხილავს ასევე დოქტორ ალი ამიდი, ისპაჰანის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი, თავის სტატიაში: "საქართველოს კონფლიქტის საერთაშორისო მიზეზები და მისი გავლენა ირანის ეროვნულ ინტერესებზე". ბოლო პერიოდში რეგიონის ქვეყნების მისწრაფებამ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისაკენ, საქართველოსა და აზერბაიჯანის გამოსვლამ "ხალხთა უსაფრთხოების კავშირიდან" და "გუამის კავშირის" შექმნამ, განსაკუთრებით კი საქართველოში მომხდარმა "ვარდების რევოლუციამ" რუსეთის პოლიტიკა ამ ქვეყნების მიმართ გაამწვავა.

პუტინის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ რუსეთმა ვერ შეასუსტა შეერთებული შტატების ჰეგემონობა და კრემლი სხვადასხვა გზით ცდილობდა ამერიკის გაძევებას თავისი გეოპოლიტიკური გავლენის სფეროდან, რომელსაც "ახლო საზღვარგარეთი" უწოდა. რუსეთის ჩარევა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში, მისი მწვავე რეაქცია აღმოსავლეთით ნატოს გაფართოებისა და სარაკეტო თავდაცვითი სისტემის შექმნასთან დაკავშირებით, იმის მაჩვენებელია, რომ რუსეთს სურს იყოს წესრიგის შემქმნელი და არა სხვის მიერ განსაზღვრული წესრიგის შემსრულებელი. ამასთანავე, აგვისტოს ომმა რუსეთს ხელსაყრელი პირობები შეუქმნა იმისთვის, რომ განემტკიცებინა თავისი პოზიციები ამ სტრატეგიულ რეგიონში. კავკასიის რეგიონი, რეალურად წარმოადგენს ძირითად "კარს" რუსეთისათვის მსოფლიოსთან ურთიერთობაში. ამ "კარის" დაკეტვა რუსეთისათვის ნიშნავს ეკონომიკური, პოლიტიკური და სტრატეგიული კარის დაკეტვას.[3]

რუსეთმა ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენციით ე.წ. სამხრეთ ოსეთში მოახდინა ძალის დემონსტრირება, ნათლად აჩვენა, რომ მნიშვნელოვანი ძალაა კავკასიის გეოპოლიტიკურ სივრცეში, ამასთანავე სერიოზული გაფრთხილება მისცა რეგიონის ანტირუსული განწყობილების ქვეყნებს. რეალურად, რუსეთ-საქართველოს სამხედრო კონფლიქტი არის ნაწილი იმ ახალი გეოპოლიტიკური დაპირისპირებისა, რომელიც მომავალში უფრო ნათელი გახდება.

რუსეთ-საქართველოს კონფლიქტს გეოეკონომიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. ამ ომით კრემლმა დასავლეთს დაანახა, რომ რეგიონი, რომელიც ევროპას ენერგორესურსების ტრანსპორტირებისთვის სჭირდება, არასტაბილურია და ამდენად, არ წარმოადგენს უსაფრთხო გზას დასავლეთის მიზნების რეალიზებისათვის. შესაბამისად, თუ დასავლეთი ენერგორესურსების ახალი გზების გეგმას ვერ განახორციელებს, აღარ ექნება ძლიერი ეკონომიკური ბერკეტები მოსკოვზე გავლენის მოსახდენად.

აღსანიშნავია, რომ კავკასიის კონფლიქტის შედეგად განვითარებულ მოვლენებს ხშირად ახასიათებენ, როგორც ნიშანს ახალი ცივი ომის დაწყებისა. აქ ისმის კითხვა: არის თუ არა ამისთვის რეალური პირობები? ერთ-ერთი ირანელი ექსპერტის (დოქტორ ალი ამიდის)

---

[2] ولی کوزه گر کالجی "نگاهی به بحران اوستیای جنوبی و هجوم روسیه به گرجستان" ;85-86

[3] دکتر علی امیدی "ابعاد بین المللی بحران گرجستان و آثار آن بر منافع ملی ایران" ,61

ამ საკითხზე შემოთავაზებული თვალსაზრისი რამდენადმე ეწინააღმდეგება ახალი ცივი ომის დაწყების თეორიას.

1. ცივი ომი მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დაიწყო და ორ იდეოლოგიურად დაპირისპირებულ ბანაკს შორის მიმდინარეობდა (საბჭოთა კავშირი-აშშ). თანამედროვე პირობებში კი კონკურენტ სახელწიფოებს იდეოლოგიური წინააღმდეგობის საკითხი არ უდგათ არც რეგიონალურ და არც საერთაშორისო სფეროში. დღევანდელ პირობებში ყველაზე აქტუალური ეკონომიკური ინტერესებია და შემდეგ ეტაპზეა პოლიტიკური და უსაფრთხოების პირობები.

2. ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რამაც შეასუსტა სსრკ-ს პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერება და ის დაშლისაკენ წაიყვანა, იყო ზუსტად ცივი ომის პერიოდში დასავლეთთან და პირველ რიგში, ამერიკასთან გამალებული შეიარაღების შეჯიბრი. ახლანდელი რუსეთი, ისტორიული გამოცდილებით, არ გადადგამს ასეთ ნაბიჯს და ამასთანავე ასეთ კონკურენციაში ჩაბმისთვის საჭირო შესაძლებლობები და ფინანსური წყაროები არ გააჩნია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამჯერად რუსეთის ფედერაციას არ ჰყავს ისეთი ძლიერი მოკავშირეები, რომლებიც მოსკოვთან ერთად წავლენ დასავლეთთან ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური დაპირისპირების რისკზე.

3. აშშ-ც, რომელიც ჩაბმულია შიდა ეკონომიკურ კრიზისში, პრობლემები აქვს საგარეო პოლიტიკაში - ავღანეთში, ერაყში, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტში და ასევე საერთაშორისო საკითხებში, როგორიცაა ირანის ბირთვული პროგრამა, აღარ არის დაინტერესებული გახსნას რუსეთთან დაპირისპირების ფრონტი ახალი ცივი ომის ფარგლებში, რაც დიდ თანხებთანაა დაკავშირებული.

4. ევროპის ქვეყნებიც, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დასავლეთ-აღმოსავლეთის და განსაკუთრებით ამერიკა-რუსეთის ურთიერთობებში, რუსეთთან ეკონომიკური და კომერციული ურთიერთდამოკიდებულების მზარდ პირობებში, არ არიან მომხრე ახალი ცივი ომის დაწყებისა.[4]

ისიც აღსანიშნავია, რომ რუსეთის ძირითადი მიზანი არ ყოფილა არც ახალი ცივი ომის დაწყება და არც დასავლეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების ინტერესებზე შესაძლო ან ფაქტობრივი დამუქრება. ეს მიმართული იყო პირველ რიგში ამერიკელების მიმართ, რათა ეცნოთ რუსეთის, როგორც რეგიონული და მსოფლიო ძალის როლი და გაითვალისწინონ ამ ქვეყნის ინტერესები.

როგორც უკვე აღინიშნა, კავკასიის კონფლიქტის უმთავრეს მიზეზად ეკონომიკური ფაქტორი ითვლება. ეს საკითხი და ირანის პოზიცია ამასთან დაკავშირებით ნათლად არის განხილული ნ. ტეროგანოვის (ექსპერტი ირანის საკითხებში, მოღვაწეობს ისრაელში) სტატიებში, სადაც ის ამ კონფლიქტის უმთავრეს საფუძვლად მიიჩნევს კონტროლის მოპოვებას ენერგორესურსების მიწოდებაზე. გრანდიოზული გეგმის განსახორციელებლად შემუშავებული იქნა ცნობილი პროექტი Nabucco, რომელიც ითვალისწინებდა ბუნებრივი აირის მიწოდებას ცენტრალური აზიიდან, კასპიის ზღვით ევროპაში. 2008 წლის აგვისტოში განვითარებული მოვლენების შემდეგ, ირანი შეიძლება განხილულ იქნას ალტერნატიულ გზად ნავთობის და გაზის გატანისათვის მსოფლიო ბაზრებისკენ (ევროპაში). ასეთ პირობებში კი, ირანის პოზიცია "სამხრეთ ოსეთის" კონფლიქტის მიმართ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია.

---

[4] دکتر علی امیدی "ابعاد بین المللی بحران گرجستان و آثار آن بر منافع ملی ایران" 66-67,

სამხრეთ ოსეთში საომარი მოქმედებების დაწყებიდან (2008წ. 8 აგვისტო) ირანმა ფრთხილი პოზიცია დაიკავა. მისთვის მისაღები იქნებოდა საქართველოს კონფლიქტში მხარი დაეჭირა თავისი პოლიტიკური პარტნიორის - რუსეთისათვის, მაგრამ სახელმწიფო მოხელეებმა გაითვალისწინეს საკუთარი მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა და საწყის ეტაპზე მაინც, წინდახედული განცხადებები გააკეთეს.

რუსეთ-საქართველოს ომის დაწყების შემდეგ, პირველი განცხადება, რაც გამოაქვეყნა ირანის ისლამური რესპუბლიკის ოფიციალურმა საინფორმაციო სააგენტომ - "IRNA" (11 აგვისტოს), ეს იყო თბილისში ირანის საელჩოს მიერ გაკეთებული განცხადება, რომ ისინი არ ისურვებენ კონფლიქტის შემდეგ გამწვავებას.

ერთ-ერთი ოფიციალური განცხადება, რომელიც შეეხებოდა კავკასიის შეიარაღებულ კონფლიქტს, იყო ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-მდივნის ჰ. ყაშყავის მიერ გაკეთებული: "ირანის პოზიცია საქართველოს კრიზისთან დაკავშირებით ნეიტრალურია".

ირანის ისლამური რესპუბლიკის მაშინდელმა პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჟადმა (2005-2013) 28 აგვისტოს, დუშანბეში ავღანეთისა და ტაჯიკეთის ოფიციალურ პირებთან შეხვედრისას (შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის სხდომის ფარგლებში) ღიად დაუჭირა მხარი რუსეთს და მიუთითა, ამ კონფლიქტის ფორმირებაში უცხო ქვეყნების როლზე. მანვე ბოლო მოვლენების მიზეზად დაასახელა მსოფლიოს ერთპოლუსიანი ხედვა და რეგიონის საქმეებში გარეშე ძალების ჩარევა. აჰმადინეჟადმა კონფლიქტის მოგვარების მთავარ პირობად მიიჩნია: პატივისცემა კანონისა და სამართლიანობისადმი, ზერეგიონული ძალების მიერ რეგიონულ საკითხებში ჩარევაზე ხელის აღება და რეგიონის ხალხებისა და სახელმწიფოების მიერ კონფლიქტის ერთმანეთში მოგვარება.

მიუხედავად ასეთი განცხადებებისა, ირანის პრეზიდენტმა ჟურნალისტების კითხვაზე, აღიარებს თუ არა ირანი მომავალში, რუსეთის მსგავსად, „სამხრეთ ოსეთისა" და აფხაზეთის დამოუკიდებლობას, პირდაპირი პასუხის გაცემას თავი აარიდა და ისევ მიუთითა რეგიონში უცხო ძალების და მათ შორის, სიონისტების აქტიურ მოქმედებაზე.

აღსანიშნავია, რომ ირანში ოპოზიციის წარმომადგენლებმა გააკრიტიკეს აჰმადინეჟადის პოზიცია და განაცხადეს: "ისეთ პირობებში, როცა რუსეთს არ შეუძლია გავლენა მოახდინოს გაეროს უსაფრთხოების საბჭოს გადაწყვეტილებაზე ირანის ბირთვული პროგრამის თაობაზე, არ არსებობს არანაირი აუცილებლობა, რომ ირანმა რუსეთს მხარი დაუჭიროს სეპარატიზმის წახალისებაში".

ირანისათვის ყველაზე მისაღებია არ ჩაებას მიმდინარე პოლიტიკურ დაპირისპირებაში, ეს კონფლიქტი ცნოს საქართველოს საშინაო საკითხად და გადადგას ნაბიჯები მისი მშვიდობიანი მოგვარებისათვის, კავკასიური დიპლომატიის ფარგლებში.

შეიძლება ითქვას, რომ კავკასიაში სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის შექმნამ შესაძლოა ირან-რუსეთის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანოს. როგორც განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, კავკასიაში ნებისმიერი შეიარაღებული კონფლიქტი გავლენას ახდენს არა მხოლოდ რეგიონის პოლიტიკურ ვითარებაზე და საფრთხეს უქმნის ნავთობის მიწოდებას აზერბაიჯანიდან ევროპაში, დღის წესრიგში აყენებს ირანის საკითხს, როგორც ალტერნატიულ გზას ევროპაში ნავთობისა ბუნებრივი აირის ექსპორტისათვის.

უნდა აღნიშნოს, რომ ოფიციალური თეირანის მიერ საქართველოს ოკუპირებული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარება ნაკლებად სავარაუდოა, ეს საკითხი ისლამური რესპუბლიკის მთავრობის მიერ არც განხილულა (ღია წყაროებში). ირანის ისლამური

რესპუბლიკა მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს, რაც დამტკიცდა წლების განმავლობაში ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობით და განხორციელებული მნიშვნელოვანი ვიზიტებით.

გამოყენებული მასალები:

ولی کوزه گر کالجی "نگاهی به بحران اوستیای جنوبی و هجوم روسیه به گرجستان"
http://ettelaat.com (2008) 74-91.
دکتر علی امیدی "ابعاد بین المللی بحران گرجستان و آثار آن بر منافع ملی ایران"
http://ettelaat.com (2008) 58-73.
احمدیان امیر بهرام "بحران گرجستان: طرفهای درگیر، علتها و پیامدها" دکتر
http://ettelaat.com (2008) 38-57.
دکتر محمد حسین افشردی ژّوپلیتیک قفقاز و سیاست جمهوری اسلامی ایران
تهران:3 200
Н.К. Тер-Оганов, *Конфликт на Кавказе и позиция Ирана* , 2008

მირანდა ბაშელეიშვილი

ირანისა და რუსეთის შეთანხმება სამხედრო თანამშრომლობის შესახებ

ბოლო პერიოდში ირანსა და რუსეთს შორის დაწყებული ეკონომიკურ-პოლიტიკური კავშირების გაღრმავების ფონზე, არაერთი მოსაზრება გამოითქვა მოსკოვისა და თეირანის დასავლეთის წინააღმდეგ გაერთიანების შესახებ. აღნიშნული საკითხი კიდევ უფრო გააქტიურდა ორ ქვეყანას შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების გაფორმებით.

2015 წლის 19-20 იანვარს რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი შოიგუ ოფიციალური ვიზიტით ირანში იმყოფებოდა. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში ირანის თავდაცვის მინისტრმა ჰოსეინ დეჰყანმა და რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი შოიგუმ ხელი მოაწერეს ორ ქვეყნას შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შეთანხმებას. **აღნიშნული დოკუმენტი გულისხმობს ფართო თანამშრომლობას პერსონალის მომზადებასა და კონტრ-ტერორისტულ ღონისძიებებში და ასევე, ორივე ქვეყნის საზღვაო ძალებს ერთმანეთის პორტების უფრო ხშირად გამოყენების უფლებას აძლევს.**[5]

ირანული მხარის (თავდაცვის მინისტრი) პოზიციით, ორ ქვეყანას შორის გაფორმებულ შეთანხმებას რეგიონის უსაფრთხოებაზე გრძელვადიანი გავლენა ექნება. როგორც ორ მეზობელ ქვეყანას, ირანსა და რუსეთს აქვს ერთობლივი ხედვა რეგიონის და საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებისადმი.

მიუხედავად მედიაში გავრცელებული მოსაზრებებისა, ირანსა და რუსეთს შორის შეთანხმების გაფორმებით, არსებითად ახალი სამხედრო თანამშრომლობა არ დაწყებულა. თეირანმა და მოსკოვმა გააფორმეს ის, რასაც სირიისა და ერაყის მოვლენების ფონზე პრაქტიკულად უკვე აკეთებდნენ. სირიაში მიმდინარე მოვლენებში, საკუთარი სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, მოსკოვი და თეირანი აქტიურად ჩაერთნენ მოკავშირე ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის მხარდასაჭერად და დღემდე მჭიდროდ თანამშრომლობენ. ოფიციალური თეირანის პოზიციით, ირანი მხოლოდ სამხედრო მრჩეველების კუთხით არის ჩართული. არაოფიციალური მონაცემებით და გავრცელებული ვიდეო-მასალების მიხედვით კი, ირანელი სამხედროები უშუალოდ არიან ჩართულები სირიის შეიარაღებული ძალების მხარეს ბრძოლებში. ირანის ისლამური ისტაბლიშმენტის პოზიციის მიხედვით, „წინააღმდეგობის ხაზი“ სირიაზე გადის. 2014 წელს ერაყში „ისლამური სახალიფოს“ მოქმედებების გააქტიურებისა და მასშტაბების გაფართოების შემდეგ, ირანი აქტიურად ჩაერთო ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. ისლამური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებმა ინტენსიური კონსულტაციები დაიწყეს რუსეთის მთავრობასთან და ოფიციალურად განაცხადეს, რომ ირანი და რუსეთი იგივე სტრატეგიას გააგრძელებენ ერაყის მოვლენებთან დაკავშირებით, როგორც სირიაში ტერორისტებთან ბრძოლაში. თუმცა, ასევე გავრცელდა ინფორმაცია ირანსა და აშშ-ს შორის ერაყში ტერორისტებთან ბრძოლაში თანამშრომლობის შესაძლებლობის შესახებ. არსებობს მოსაზრება, აღნიშნული საკითხი თეირანმა და ვაშინგტონმა „ბირთვული მოლაპარაკებების“ ფარგლებში განიხილეს, რაც ოფიციალურმა თეირანმა უარყო.

---

[5] http://www.defensenews.com/story/defense/2015/01/20/russia-signs-military-cooperation-deal-with-iran/22042235/

აღსანიშნავია, რომ ირანსა და რუსეთს შორის სამხედრო სფეროში გაფორმებული შეთანხმება არ აგვარებს ორი ქვეყნის ურთიერთობებში ერთ-ერთ ყველაზე პრობლემატურ - C-300 ირანისთვის მიწოდების საკითხს, რაც შესაძლოა მიგვეჩნია თეირანსა და მოსკოვს შორის სტრატეგიული კავშირების დამყარების ნიშანად. შეთანხმების გაფორმების ფონზე, ირანელი და რუსი მაღალჩინოსნების მხრიდან გაჟღერდა, რომ მხარეები შეთანხმდნენ დაიწყონ მუშაობა აღნიშნული საკითხის მოგვარებისთვის. 2007 წელს ირანსა და რუსეთს შორის გაფორმდა შეთანხმება, რუსეთის მიერ ირანისთვის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის C-300-ის მიწოდების შესახებ. ხელშეკრულების მიხედვით, რუსეთს ირანისთვის C-300-ის 5 ბატარეა უნდა მიეწოდებინა. 2010 წელს კი გაერო-ს მიერ ირანის წინააღმდეგ მიღებული რეზოლუციის შემდეგ, რუსეთმა ირანთან დადებული ხელშეკრულება გააუქმა. ირანმა კი რუსეთის წინააღმდეგ $ 4 მლრდ.-იანი კონტრაქტის დარღვევაზე სარჩელი შეიტანა, რომელიც რუსეთის მცდელობის მიუხედავად დღემდე არ გამოუტანია. რუსეთმა შესთავაზა ირანს Антей-2500 სისტემის მიწოდება, რასაც გაერო-ს რეზოლუცია არ კრძალავს, თუმცა ირანთან ჯერჯერობით ამ საკითხზე შეთანხმება მიღწეული არ არის.

ირანსა და რუსეთს შორის გაფორმებული შეთანხმება სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ შესაძლოა განვიხილოთ ირან-დასავლეთის ურთიერთობების დარეგულირების დაწყებისა და რუსეთ-დასავლეთის დაპირისპირების კონტექსტში. ოფიციალური თეირანი „ექვსეულთან“ (აშშ, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, საფრანგეთი, ჩინეთი, გერმანია) მოლაპარაკებების პროცესში იმყოფება და ცდილობს პოლიტიკური ვაჭრობით დასავლეთისგან მეტი დათმობა და შესაბამისად, სარგებელი ნახოს. ამიტომაც ფორმალურად, რუსეთთან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებისკენ დგამს ნაბიჯებს. თუმცა ამ ეტაპზე, ორ ქვეყანას შორის გაფორმებული ეკონომიკური შეთანხმებების, რომლებიც ირანული პროდუქციის რუსეთის ბაზარზე შეტანასაც გულისხმობს, შესრულება ფაქტებით არ დასტურდება. ამასთანავე შეჩერდა 2014 წლის დასაწყისში დაანონსებული ირანსა და რუსეთს შორის ბარტერული სანავთობო შეთანხმების[6] გაფორმების პროცესი და ირანმა ფაქტობრივად, უარყო მგავსი გარიგების შესაძლებლობა.[7] გარდა რუსეთთან დაწყებული ურთიერთობების გაღრმავებისა, თეირანი დასავლეთს საკუთარი ბუნებრივი აირით იმპორტის დივერსიფიცირებას სთავაზობს, რაც ეწინააღმდეგება რუსეთის ინტერესებს. 2015 წლის 1 თებერვალს ირანის ბუნებრივი აირის ეროვნული კომპანიის საერთაშორის საქმეთა დირექტორის აზიზოლა რამეზანის განცხადებით, ირანი გამოდის ინიციატივით, აზერბაიჯანისა და თურქმენეთის ბუნებრივი აირის ევროპაში ტრანსპორტირების შესახებ.[8] ოფიციალურად თეირანმა ბუნებრივი აირის მოპოვების გაზრდის სამუშაოები დაიწყო და დასავლეთს ბუნებრივი აირის მიწოდების რამდენიმე მიმართულება შესთავაზა, რომელთაგან თეირანი ყველაზე ოპტიმალურად თურქეთს მიიჩნევს.

თავის მხრივ, რუსეთი, რომელიც უკრაინის კრიზისის ფონზე დასავლეთთან კონფრონტაციაში იმყოფება, ცდილობს შეეწინააღმდეგოს ირანისა და დასავლეთის ურთიერთობების დარეგულირებას, რისი შედეგიც ირანის პოლიტიკური და ეკონომიკური

---

[6] შენიშვნა: აღნიშნული შეთანხმების შემთხვევაში, ირანიდან რუსეთში დღიურად 500,000 ბარელი ნავთობის ექსპორტი განხორციელდებოდა და კონტრაქტის ღირებულება დაახლოებით $ 20 მლრდ. იქნებოდა. სავარაუდოდ, ირანის ნავთობის მოპოვებასა და ექსპორტზე რუსეთის მონოპოლია დამყარდებოდა.

[7] http://rt.com/business/213499-iran-russia-barter-agreement/

[8] http://www.presstv.ir/Detail/2015/02/01/395711/Iran-offers-EU-gas-transfer-route

იზოლაციის დასრულება იქნება. ეს კი მოსკოვის რეგიონულ და საერთაშორისო ინტერესებზე უარყოფით გავლენას იქონიებს.

რუსეთ-ირანის სტრატეგიული ურთიერთობების განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ირანსა და „ექვსეულს“ შორის მიმდინარე მოლაპარაკებებზე. ირანის პრეზიდენტ ჰასან რუჰანის ადმინისტრაციის პირობებში, რომელიც ძირითადად დასავლეთთან ურთიერთობების აღდგენაზეა ორიენტირებული, ნაკლებად მოსალოდნელია მოსკოვისა და თეირანის სტრატეგიულ პარტნიორებად ჩამოყალიბება. მათი თანამშრომლობის ძირითად და რეალურ სფეროდ კვლავ ახლო აღმოსავლეთში ტერორისტების წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედება დარჩება, სწორედ ამის დოკუმენტალურად გაფორმებას წარმოადგენს ორი ქვეყნის თავდაცვის მინისტრების მიერ სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა.

გამოყენებული მასალები:

http://rt.com/news/224443-russia-iran-defense-deal/
http://news.yahoo.com/russia-signs-military-cooperation-deal-iran-151246839.html
http://www.debka.com/article/24354/Sophisticated-Russian-S-400-missiles-for-Iran-under-new-military-pact-S-300s-for-Egypt-Syria-Hizballah-
http://www.defensenews.com/story/defense/2015/01/20/russia-signs-military-cooperation-deal-with-iran/22042235/
http://www.roozonline.com/persian/tarjomeh/tarjomeh-item/article/-3757e36a0e.html
http://www.farsnews.com/newstext.php?nn=13931030001775
http://www.tabnak.ir/fa/news/468188/%D9%88%D8%B2%D9%8A%D8%B1-%D8%AF%D9%81%D8%A7%D8%B9-%D8%B1%D9%88%D8%B3%D9%8A%D9%87-%D8%B9%D8%A7%D8%B2%D9%85-%D8%A7%D9%8A%D8%B1%D8%A7%D9%86-%D8%B4%D8%AF
http://persian.cri.cn/921/2015/01/23/167s148861.htm
http://www.presstv.com/Detail/2015/01/28/395171/Rouhanis-message-submitted-to-Putin
http://www.timesofisrael.com/iran-to-seek-s-300-substitute-in-russia/
http://www.presstv.ir/Detail/2015/02/01/395711/Iran-offers-EU-gas-transfer-route

მირანდა ბაშელეიშვილი

ირანისა და აშშ-ის თანამშრომლობის საკითხი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში

ირანის ისლამური რესპუბლიკა სირიასა და მოსაზღვრე ერაყში ისლამისტების გააქტიურების შემდეგ, ცდილობს ერთი მხრივ, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საჭიროებიდან და მეორე მხრივ, რეგიონში საკუთარი გავლენის შენარჩუნებიდან გამომდინარ, აქტიურად ჩაერთოს რეგიონში მიმდინარე მოვლენებში. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ იზოლაციაში მყოფმა თეირანმა შეძლო რეგიონში საკუთარ მოკავშირეებისთვის აქტიური მხარდაჭერით გავლენის შენარჩუნება და გაზრდა. ამას ადასტურებს სირიის, ერაყის და იემენის მოვლენები და ირანის პოლიტიკა აღნიშნული ქვეყნების მიმართ.

ახლო აღმოსავლეთში ტერორისტული ძალების გააქტიურება გავლენას ახდენს არა მხოლოდ რეგიონის, არამედ მსოფლიო უსაფრთხოებაზე. თეირანი ინტენსიურად აჟღერებს თავის პოზიციას, რეგიონში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და პრეტენზია აქვს რეგიონის ლიდერობაზეც. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გააქტიურდა 2013 წლიდან ზომიერი პოლიტიკოსის, ჰასან რუჰანის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ და დასავლეთთან ურთიერთობების დარეგულირების დაწყების ფონზე. ირანი შესაძლოა ტერორიზმთან ბრძოლის აუცილებლობის ხაზგასმით, ცდილობს ბირთვული პროგრამის მოლაპარაკებების პარალელურად, დასავლეთთან ურთიერთობების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კონტექსტი გამოკვეთოს. ამ მხრივ კი ირანის მთავარ ობიექტს აშშ წარმოადგენს, რომელიც რეგიონსგარეთა აქტორებიდან ყველაზე აქტიურად არის ჩართული ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებში.

ირანის გზავნილი აშშ-ს

ირანსა და აშშ-ს შორის რეგიონულ საკითხებზე[9] თანამშრომლობის შესახებ არაოფიციალური ინფორმაციები წლების განმავლობაში ვრცელდება. 2015 წელს ირანსა და „5+1 ჯგუფის ქვეყნებს“ შორის ბირთვულ პროგრამაზე მიმდინარე ინტენსიური მოლაპარაკებების ფონზე და მხარეებს შორის ჩარჩო შეთანხმების მიღწევის შემდეგ თეირანმა ოფიციალურად გაუგზავნა „მესიჯი“ ვაშინგტონს რეგიონულ საკითხებში თანამშრომლობის შესაძლებლობაზე. კერძოდ, 2015 წლის 20 აპრილს NEW YOURK TIMES-ში გამოქვეყნდა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯავად ზარიფის სტატია „ გზავნილი ირანისგან“. ავტორი თვლის, რომ ირანის ბირთვულ პროგრამაზე მოსალოდნელი შეთანხმების განმტკიცებისთვის მხარეთა მიერ უფრო მეტი პოლიტიკური სურვილია საჭირო. ირანმა კი უკვე აჩვენა თავისი გადაწყვეტილება და აირჩია ჩართულობის და მოქნილობის პოლიტიკა. ირანელი დიპლომატი მოუწოდებს აშშ-ს და მის დასავლელ პარტნიორებს გააკეთონ არჩევანი თანამშრომლობასა და კონფრონტაციას, მოლაპარაკებებსა და ლოზუნგებს, შეთანხმებასა და იძულების ტაქტიკას შორის.

აღნიშნული მოწოდების შემდეგ ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი ხაზს უსვამს სპარსეთის ყურის რეგიონში არსებულ არეულობას, რომელიც არა მხოლოდ რეგიონის ქვეყნების მთავრობების შეცვლის ჭრილი მიმდინარეობს , არამედ საფრთხეში აყენებს

[9] 2001 წელს ავღანეთში განხორციელებული ოპერაცია თალიბების წინააღმდეგ; 2003 წელს ერაყში სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ დაწყებული ოპერაცია „თავისუფლება ერაყს“ .

ცალკეულ ქვეყნებში სოციალური, კულტურული და რელიგიური სტრუქტურებს. ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის აზრით, ირანი ვერ იქნება უმოქმედო გარშემო შექმნილი არეულობებისადმი, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა ქაოსი საზღვრებს არ სცნობს. ირანისთვის მეზობლებთან კარგი ურთიერთობა პრიორიტეტულია.

ჯავად ზარიფი მიმოიხილავს აგრეთვე ირანის საგარეო პოლიტიკის და ზოგადად, საერთაშორისო პოლიტიკის უსაფრთხოების საკითხებს და აღნიშნავს, რომ გლობალიზაციის პირობებში საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა სხვა ერის დაუცველობის ხარჯზე შეუძლებელია - ვერცერთი ერი მიაღწევს საკუთარ ინტერესებს, სხვისი ინტერესების ხარჯზე. არსებული ტენდენციები კი არსად ჩანს ისე ნათლად, როგორც სპარსეთის ყურის რეგიონში. მათ გადასაჭრელად კი საჭიროა თანმიმდევრული პოლიტიკის გატარება . ამ მხრივ, **მთავარ საკითხს ტერორიზმთან ბრძოლა წარმოადგენს.**

ირანისა და სხვა ძირითადი აქტორების ინტერესები მრავალ არენაზე იკვეთება. სპარსეთის ყურის რეგიონში დიალოგისთვის კოლექტიური ფორუმის დაარსება, ჩართულობის ხელშეწყობისთვის დიდი ხნით ადრე უნდა მომხდარიყო. ჯავად ზარიფი კონკრეტულად იემენის მაგალითზე განიხილავს სერიოზული დისკუსიის დაწყების შესაძლებლობას და იქვე იმეორებს იემენის კრიზისის დარეგულირების შესახებ ირანის მიერ შემოთავაზებულ გეგმას: **დაუყოვნებლივ ცეცხლის შეწყვეტა, ჰუმანიტარული დახმარების მიწოდება, დიალოგის დაწყებისთვის ხელშეწყობა და ეროვნული, ინკლუზიური მთავრობის შექმნა.**

უფრო ფართო დონეზე კი რეგიონული დიალოგი, ირანელი დიპლომატის აზრით, შემდეგ პრინციპებს უნდა ეყრდნობოდეს:

- **ყველა ქვეყნის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პატივისცემას;**
- **საერთაშორისო საზღვრების ხელშეუხებლობას;**
- **საშინაო საქმეებში ჩაურევლობას ;**
- **არსებული დავების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტას;**
- **ძალის გამოყენების და მუქარის დაუშვებლობას;**
- **მშვიდობის, სტაბილურობისა და პროგრესისთვის ხელშეწყობას.**
- **ჯავად ზარიფი მხარს უჭერს რეგიონულ დიალოგში გაერო-ს აქტიურ მონაწილეობას და აღნიშნავს, რომ ის უნდა წარმოადგენდეს საჭირო საერთაშორისო ქოლგას.**

ირანელი დიპლომატის აზრით, მსოფლიო ვერ შეეგუება სპარსეთის ყურის რეგიონში არეულობის ფესვების არსებობას. ამ პრობლემების მოგვარებაში თანამშრომლობისა და ჩართულობისთვის არსებული უნიკალური შესაძლებლობა კი ხელიდან არ უნდა იქნას გაშვებული.[10]

აღნიშნული სტატიის გამოქვეყნების შემდეგ , აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პრესს-სპიკერმა შესაძლებლად მიიჩნია სპარსეთის ყურის რეგიონში სტაბილურობის დამყარების საკითხზე ირანთან დიალოგის დაწყება.

ირანის პოლიტიკა რეგიონში

ირანის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ძირითადად, შიიტური მთავრობების მხარდაჭერას ეფუძნება. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ, ირანის ინტერესები

[10]Mohammad Javad Zarif: A Message from Iran.
http://www.nytimes.com/2015/04/20/opinion/mohammad-javad-zarif-a-message-from-iran.html?_r=0

უმეტესად ეწინააღმდეგება აშშ-ს ინტერესებს. ირანსა და აშშ-ს ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიცია აქვთ ასადის რეჟიმთან დაკავშირებით. თუმცა ისინი ერთად ეხმარებოდნენ ერაყის მთავრობას „ისლამური სახალიფოს“ წინააღმდეგ.

ერაყში „ისლამური სახალიფოს“ გააქტიურების პარალელურად, ბირთვული მოლაპარაკებების ფარგლებში, ირანისა და აშშ-ს წარმომადგენლები განიხილავდნენ „ისლამურ სახალიფოსთან“ დაპირისპირების საკითხსაც, რაც ორი ქვეყნის ოფიციალური პირებისგან ღიად არ დასტურდებოდა. პრეზიდენტმა ობამამ 2014 წლის ოქტომბერში სულიერ ლიდერ აიათოლა ალი ხამენეის წერილი მიწერა, რომელიც ორი ქვეყნის რეგიონულ საკითხებში თანამშრომლობის შესაძლებლობასაც ეხებოდა. ოფიციალურ თეირანს არ დაუდასტურებია აშშ-სთან შესაძლო შეთანხმება, „ისლამური სახალიფოს“ წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედებების შესახებ.

სირია

პრეზიდენტი ბაშარ ასადი ირანის სტრატეგიული მოკავშირეა რეგიონში. აშშ-ს ოფიციალური პირების წარმომადგენელთა ინფორმაციით, სწორედ სირიის საშუალებით ამარაგებს ირანი „ჰეზბოლას“ და უპირისპირდება ისრაელს. „ჰეზბოლა“ კი თავის მხრივ, წარმოადგენს ირანის ბერკეტს ისრაელის წინააღმდეგ. თეირანი სირიას ისრაელთან დაპირისპირების „წითელ ხაზად“ მიიჩნევს.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, ირანმა სირიაში ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის ელიტარული ქვედანაყოფი, „ყოდსის“ ძალები გააგზავნა, როგორც სამხედრო მრჩევლებად, ასევე რეჟიმის მხარეს საბრძოლველად. ოფიციალური თეირანის ინფორმაციით, ის სირიას მხოლოდ სამხედრო მრჩევლების სახით ეხმარება და გამორიცხავს სამხედრო ძალების ჩარევას კონფლიქტში.

ერაყი

2003 წელს სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ აშშ-ს მიერ დაწყებულმა კამპანიამ, რასაც შედეგად მოჰყვა ირანისადმი ანტაგონისტურად განწყობილი სადამ ჰუსეინის ჩამოგდება და შიიტი ისლამისტებისაგან დაკომპლექტებული მთავრობის შექმნა, ხელი შეუწყო ირანის ინტერესებისა და გავლენის გაზრდას ერაყში.

2014 წლის ივნისში ერაყში ისლამისტების გააქტიურების, მათ მიერ მოსულის და სხვა ქალაქების დაკავების შემდეგ, ირანი მტკიცედ უჭერდა მხარს პრემიერ მინისტრ ნური ალ-მალიკის მთავრობას. თავის მხრივ, მალიკი მხარს უჭერდა ირანის რეგიონულ მიზნებს, თეირანს უფლებას აძლევდა ერაყის საჰაერო სივრცის გამოყენებით, მოემარაგებინა სირიაში ასადის მხარდამჭერი ძალები.

ერაყში ვითარების დაძაბვის შემდეგ ირანმა ოფიციალურად განაცხადა, რომ თეირანი ერაყში სირიაში გამოყენებულ ტაქტიკას გააგრძელებს: **მხარს დაუჭერს ერაყის მთავრობას ისლამისტების წინააღმდეგ ბრძოლაში და ეს მხარდაჭერა სამხედრო მრჩევლების გაგზავნითა და ჰუმანიტარული დახმარებით შემოიფარგლება.** თუმცა მალევე გავრცელდა ინფორმაცია ერაყში ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის ელიტარული ქვედანაყოფის „ყოდსის“ ძალების მეთაური ყასემ სოლეიმანის აქტიური ჩართულობის შესახებ. 2014 წლის ივლისში კი თეირანმა დაადასტურა ერაყში მიმდინარე საჰაერო დაბომბვებში ირანელი პილოტის მონაწილეობა და დაღუპვა.

იემენი

კიდევ ერთი ახალი დაპირისპირების კერა რეგიონში ირანსა და დასავლეთის ინტერესებისთვის იემენია, სადაც მოვლენები რეალურად ირანისა და საუდის არაბეთის

მეტოქეობის ჭრილში მიმდინარეობს. აშშ-ს კონგრესის 2015 წლის აპრილის ანგარიშის მიხედვით, იემენისა და სპარსეთის ყურის საბჭოს ქვეყნების განცხადებით, ირანი დიდი ხანია იემენის დესტაბილიზაციას ცდილობდა: ხელს უწყობდა „ჰუტების“ მოძრაობას , ამარაგებდა იარაღით.

„ჰუტების“ წარმატება იემენში 2015 წლის გაზაფხულზე არის რეგიონში ირანის გავლენის დამადასტურებელი. ამ მოვლენების ფონზე კი აშკარად გამოიკვეთა ირანისა და საუდის არაბეთის ინტერესთა კონფლიქტი. საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ადელ ალ-ჯუ ბეირმა ოფიციალურად დაადანაშაულა ირანი იემენში, სირიასა, ერაყსა და ლიბანში, ტერორიზმის მხარდაჭერაში, რაც ასატანი აღარ არის. ირანსა და საუდის არაბეთს შორის დიპლომატიური დაძაბულობა იემენში საუდის არაბეთის სამხედრო ჩარევის შედეგად კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა - საუდის არაბეთის ელჩი ირანში რამდენჯერმე საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარეს.

საუდის არაბეთის აღნიშნული პოზიციის საპასუხოდ, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ხაზი გაუსვა, თეირანის მიერ სირიის, ერაყის, იემენის ძლიერი მხარდაჭერის გაგრძელებას. საგარეო საკითხებში ირანის სულიერი ლიდერი ალი აქბარ ველაიათის ინფორმაციით, კი ირანი თავისი ტრადიციული მოკავშირეების გვერდით იქნება.

ამ ეტაპზე ირანი კვლავ აქტიურად აგრძელებს რეგიონში საკუთარი მოკავშირეების მხარდაჭერას აშშ-სთან კოორდინაციის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქვეყნის მხრიდან გაჟღერდა ინიციატივა რეგიონულ საკითხებზე თანამშრომლობის შესახებ (ოფიციალურ და არაოფიციალურ დონეზე), ჯერჯერობით თეირანსა და ვაშინგტონს შორის შეთანხმება არ მომხდარა. შესაძლოა, ეს საკითხი უფრო აქტიურად დადგეს დღის წესრიგში და რეალური გახდეს ირანის ბირთვულ პროგრამაზე საბოლოო შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში. ამასთანავე ირანისა და აშშ-ს შორის რეგიონულ დონეზე თანამშრომლობის დაწყება გამოიწვევს არსებული რეალობის მნიშვნელოვან ცვლილებებს და დაბრკოლებებს არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში(ახლო აღმოსავლეთის სუნიტური სახელწმიფოები, ასევე ისრაელი, რუსეთი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე შეეცდებიან წინ აღუდგენენ) , რისი გათვალისწინებაც მოუწევს ირანსა და აშშ-ს.

გამოყენებული წყაროები:

http://www.nytimes.com/2015/04/20/opinion/mohammad-javad-zarif-a-message-from-iran.html?_r=0

http://www.radiofarda.com/content/f12-iran-reaction-saudi-arabia-terrorism/27047065.html

http://www.radiofarda.com/content/f2-iran-me-zarif-saudi-arabia-tries-to-sideline-tehran-syria-rohani/27049001.html

http://english.alarabiya.net/en/News/middle-east/2015/05/31/Saudi-FM-Iran-interfering-in-Mideast-affairs-.html

http://www.radiofarda.com/content/f2-iran-me-zarif-saudi-arabia-tries-to-sideline-tehran-syria-rohani/27049001.html

http://www.radiofarda.com/content/f2-iran-zarif-phone-call-ban-un-immediate-stop-yemen-attacks/26962864.html

http://www.radiofarda.com/content/f12-us-says-might-talk-to-iran-about-regional-stability/26969400.html

Kenneth Katzman, Iran: U.S. Concerns and Policy Responses; Congressional Research Service; April 14,2015.

თინათინ კუპატაძე

ინტერნეტის ცენზურა ირანში - 21-ე საუკუნის „ყარბზადეგი“

ირანის ისლამურ რესპუბლიკას ახლო აღმოსავლეთსა და მუსლიმურ ქვეყნებს შორის რომ გამორჩეულ ადგილი უკავია, რაშიც კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, როდესაც საუბარი ირანელი ხალხისთვის ისეთ მტკივნეულ საკითხს შეეხება, როგორიც გახლავთ 21-ე საუკუნის განუყოფელი ნაწილი - ინტერნეტი.

ირანში პირველად ინტერნეტი 1993 წ. შევიდა და თავიდანვე გახდა კონსერვატორებისა და კლერიკალების ანტიპათიის საგანი, თუმცა, მაჰმუდ აჰამდინეჟადის პრეზიდენტობამდე ინტერნეტსივრცის მიმართ მკვეთრი აგრესიული ნაბიჯები არ გადადგმულა.

როგორც ცნობილია, ირანის ისლამური რესპუბლიკის არსებობის ისტორიაში ყველაზე ლიბერალური და დემოკრატიული ხანა პრეზიდენტ მოჰამად ხათამის მოღვაწეობის პერიოდს ემთხვევა. თუმცა, რიგ დარღვევებს მაშინაც ჰქონდა ადგილი. განსაკუთრებით, მისი მმართველობის მეორე ეტაპზე. სწორედ ამ დროს, 2000 წლიდან, იწყება კონსერვატორების ძლიერი შეტევა პრესის წინააღმდეგ. დაიხურა უამრავი ჟურნალი თუ გაზეთი, მაგრამ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ინტერნეტი ხელშეუხებელი და თითქოს ყურადღების მიღმა დარჩა: „ტექნოლოგია ყოველთვის იმარჯვებს, რეფორმისტული გაზეთების დახურვა სასარგებლო სულაც არაა, მაშინ, როდესაც არსებობს ინტერნეტი“ - განუცხადა ერთ-ერთმა ირანელმა ჟურნალისტმა „როიტერს“ 2002 წლის ზაფხულში რამდენიმე პრორეფორმისტული გაზეთის დახურვის შემდგომ. ინტერნეტი ამ დროს არის ადგილი, სადაც „მოქალაქეები სწრაფად ქმნიან საზოგადოებას, სადაც დაუქორწინებელი შეყვარებულები, დასავლურ ტანისამოსში ჩაცმული ახალგაზრდები და ქალები თავსაბურავის გარეშე არ ისჯებიან“ [1].

ამ „ბედნიერი ზღაპრის“ დასასრული მაჰმუდ აჰამდინეჟადის პრეზიდენტობის პირველივე ხანებში, 2006 წლიდან, დაიწყო, როდესაც ქვეყანაში 1960-იან წლებში აქტუალური და პოპულარული „ყარბზადეგის“ ექო გაისმა. ხელისუფლება აქტიურად ალაპარაკდა დასავლეთიდან მომავალ საფრთხეზე, რომელიც ახლა უკვე ინტერნეტის საშუალებით აღწევდა ქვეყანაში და ეროვნულ იდენტობას, ქვეყნის უსაფრთხოებასა და ისლამური რევოლუციის ღირებულებებს მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიდა. დაიბლოკა ისეთი საიტები, როგორიცაა: YouTube.com, Amazon.com, Wikipedia.org., IMDB.com., New York Times-ის ინტერნეტ-გვერდი და ა.შ. ამ პოლიტიკის შედეგად ირანი იმ ცამეტ ქვეყანას შორის მოხვდა, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვის ჯგუფის მიერ იმ პერიოდში „ინტერნეტის მტრად სახელდებოდა [2]. მაგრამ, მიუხედავად დაწესებული შეზღუდვებისა, მოსახლეობა მაინც ახერხებდა სხვადასხვა საშუალებით სასურველი ინტერნეტ გვერდების წვდომას. ასეთი ვითარება ქვეყანაში 2009 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე შენარჩუნდა.

2009 წლის მოვლენები, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდგომ, რომლის თანახმადაც ქვეყნის პრეზიდენტი კვლავ მაჰმუდ აჰმადინეჟადი ხდებოდა მეორე ვადით, ირანის ისლამური რესპუბლიკის უახლეს ისტორიაში, 1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდგომ, ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ მოვლენად შეიძლება იქნას მიჩნეული. მართლაც, ეს იყო ყველაზე გრანდიოზული გამოსვლები და საპროტესტო აქციები, რომლებიც მიუხედავად ხელისუფლების დიდი წინააღმდეგობისა, ირანელმა ხალხმა და ოპოზიციის ლიდერის, მაჰმუდ აჰმადინეჟადის ოპონენტის - მირ-ჰოსეინ მუსავის მხარდამჭერებმა გამართეს. ეს იყო ბრძოლა დემოკრატიის, საკუთარი უფლებებისა და საარჩევნო ხმის დასაცავად. სწორედ ამავე დროს ჩაეყარა

საფუძველი „მწვანე მოძრაობას“(აქციის მონაწილეებმა მირ-ჰოსეინ მუსავის სააგიტაციო ფერი - მწვანე - აირჩიეს თავიანთ სიმბოლოდაც და მწვანე ლენტებით, ტანისამოსით და ა.შ. გამოდიოდნენ დემონსტრაციებზე), რომელმაც მთელი ქვეყანა და მსოფლიო მოიცვა. დასავლურმა პრესამ და მკვლევრებმა 2009 წლის მოვლენები „ტვიტერის რევოლუციად“ მონათლეს, რომლის ძირითად მაპროვოცირებელ ძალასაც საინფორმაციო საშუალებები და სოციალური მედია წარმოადგენდა. აქტივისტები და ბლოგერები ქვეყნის შიგნით თუ გარეთ აქტიურად იყენებდნენ Twitter-ს, YouTube-სა და Facebook-ს, რათა გამოექვეყნებინათ უკანასკნელი ამბები, ფაქტები, ფოტოები, ვიდეომასალა, რომლებზეც აღბეჭდილი იყო მშვიდობიან დემონსტრანტებზე ხელისუფლების მიერ განხორციელებული ძალადობა. „სამოქალაქო ჟურნალიზმმა, ინტერნეტის მეშვეობით საშუალება მისცა ახალ ამბებს გავრცელებულიყო ქვეყნის გარეთ მიუხედავად ხელისუფლების მიერ მკაცრი ცენზურისა და აკრძალვებისა“ [3]. ინტერნეტმომხმარებლები მაინც ახერხებდნენ მიკრო შეტყობინებების გავრცელებას პოპულარული სოციალური ქსელის Twitter-ის მეშვეობით, სადაც თითქმის ყოველ წამში ქვეყნდებოდა იმედისმომცემი და საბრძოლო განწყობის მქონე მესიჯები და ამით მთელი მსოფლიო ირანში მიმდინარე მოვლენების ეპიცენტრში ხვდებოდა. ქვეყნის გარეთ მცხოვრები ირანელებიც ნებით თუ უნებლიედ ერთვებოდნენ მოძრაობაში [4]. ამასთან, აღსანიშნავია ამერიკელი ბლოგერების ლომის წვლილიც, ავრცელებდნენ რა მოკლე მესიჯებს დაუღალავად Twitter-ზე. ერთ-ერთი ბლოგერი ენდრიუ სალივანი წერდა: „რევოლუცია დატვიტერდება“ [5]. სოციალურმა მედიამ მართლაც არნახული როლი შეასრულა 2009 წლის მოვლენების დროს. მართალია, ხელისფლების მხრიდან სატელეფონო ქსელები დაბლოკილი და მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა შეუძლებელი იყო, მაგრამ აქტივისტები სხვადასხვა მექანიზმებით ინტერნეტწვდომას მაინც ახერხებდნენ და სოციალური მედიის მეშვეობით ატყობინებდნენ ერთმანეთს შეკრების ადგილსა თუ დროს. სწორედ ამ დროს გაიზარდა საგრძნობლად Facebook-ის მომხმარებელთა რიცხვი ირანში: „მე Facebook-ზე საპრეზიდენტო არჩევნების ოფიციალური კამპანიის დროს დავრეგისტრირდი, რადგან გავიგე, რომ აქ ხალხი არჩევნების შესახებ ინფორმაციას დებდა“ ... „Facebook-მა მოგვცა შესაძლებლობა გაგვეზიარებინა ერთმანეთის აზრები და იდეები“... აცხადებდნენ 2009 წლის მოვლენების მონაწილენი, რომლებისთვისაც „სოციალური მედია იყო „რბილი იარაღი“ ხელისუფლების „მძიმე იარაღის წინააღმდეგ“ [4].

2009 წლის აქციების მუხტი ქვეყანაში 2011 წ-მდე, მირ-ჰოსეინ მუსავის დაპატიმრებამდე გაგრძელდა, შემდგომში კი ნელ-ნელა გაფერმკრთალდა „მწვანე მოძრაობის“ მონაწილეთა აქტიურობა ინტერნეტზე კონტროლის გამკაცრების პარალელურად. 2009 წ. შეიძლება მივიჩნიოთ გარდამტეხ ეტაპად ირანის ინტერნეტის ისტორიაში. ხელისუფლებამ დაიწყო საკმაოდ ძლიერი ლეგალური ბრძოლა და პოლიტიკის გატარება ინტერნეტის კონტროლისათვის. ე.წ. ინტერნეტ პროვაიდერები ახლადშექმნილი კიბერსივრცის უმაღლესი საბჭოს ხელში აღმოჩნდა. ასევე აქტიურად დაიწყო საუბარი „ეროვნული ინტერნეტის“ შექმნის შესახებ, რომლის შესახებაც იდეების გავრცელება ხშირად ისეთი ჯგუფების მიერ ხდება, როგორიცაა, მაგალითად, “ირანის კიბერ არმია“ და ა.შ. [3].

მიუხედავად ხელისუფლების მიერ გატარებული მკაცრი ზომებისა და ინტერნეტცენზურისა, ირანი ახლო აღმოსავლეთში ინტერნეტმომხმარებელთა სტატისტიკის მიხედვით ისრაელის შემდგომ მეორე ადგილს იკავებს [6]. დღეისათვის ქვეყანაში დაბლოკილი ან გაფილტრულია უამრავი საიტი, რის მიზეზადაც ხელისუფლების მხრიდან ორი მთავარი არგუმენტი გამოიყენება: 1. კონსერვატორებისა და კლერიკალებისთვისაც „მედასავლეთეობის“ წინააღმდეგ ბრძოლა ისევე აქტუალურია, როგორც ეს 1960-იან წლებში

იყო. ინტერნეტის კონტროლი საშუალებას მისცემს ქვეყანას საკუთარი კულტურა დაიცვას გადაგვარებისა და დასავლეთის „მავნე ზეგავლენისაგან"; 2. ირანს ინტერნეტზე კონტროლი სჭირდება ამერიკისა და ისრაელის ინტერნეტშეტევებისაგან თავდასაცავად. ეს მისთვის თავდაცვითი იარაღია ე.წ. „რბილი ომის" წინააღმდეგ. დაბლოკილი ინტერნეტგვერდების სიაში ძირითადად სოციალური ქსელები ანდაც ისეთი საიტები ხვდება, რომლებიც უფრო მეტად ახალგაზრდების მიერ მოიხმარება და მეტად შეუძლია მათზე ზეგავლენის მოხდენა. ასევე ისეთი გვერდები, რომლებიც შეეხება ჯანმრთელობას, მეცნიერებას, სპორტს, ახალ ამბებს და სავაჭრო საიტებსაც კი [7].

2013 წ. საპრეზიდენტო არჩევნებში ჰასან რუჰანის გამარჯვების შემდგომ თითქოს გაჩნდა ინტერნეტზე ზეწოლისა და კონტროლის შემსუბუქების იმედი, მაგრამ ვინაიდან ქვეყანაში მთავარი სიტყვა სულიერ ლიდერს ეკუთვნის, არაფერი შეცვლილა. პირიქით, კვლავ აქტიურად მიმდინარეობს ბლოგერებისა და ინტერნეტის წვდომაზე მომუშავე სხვადასხვა ჯგუფების დაკავება [8]. 2014 წ. დაიბლოკა ისეთი სოციალური გვერდები, როგორიცაა Instagram და Whatsapp, საკომუნიკაციო საშუალებები Viber და WeChat. ეს მაშინ, როდესაც ირანის უნივერსიტეტების სტუდენტების 60% აღნიშნული სერვისის აქტიური მომხმარებლები არიან [9]. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ის კომიკური სიტუაცია, რომელიც ირანშია შექმნილი სოციალური ქსელების მოხმარებასთან დაკავშირებით. მაშინ, როდესაც, როგორც ქვეყნის სულიერ ლიდერს, აიათოლა ხამენეის, ისე პრეზიდენტ ჰასან რუჰანის აქვთ საკუთარი ოფიციალური გვერდები სწორედ იმ სოციალურ ქსელებში, რომლებიც ასე სასტიკად კონტროლდება ირანში, ესენია Facebook, Twitter, Instagram. ასევე საგარეო საქმეთა მინისტრი მოჰამად ჯავად ზარიფიც Twitter-ის აქტიური მომხმარებელი გახლავთ; განსაკუთრებით აქტიურდება შეტყობინებების გავრცელება მის გვერდზე 5+1 შეკრების ფარგლებში ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ მოლაპარაკებების დროს [10]. საინტერესოა, ვისთვის არსებობს ეს გვერდები - უბრალო ირანელებისთვის, რომელთათვისაც ისინი დაბლოკილია, თუ ისევ იმ დასავლეთისათვის, რომლისგანაც ასე გამწარებით იცავს ირანი თავს?!

პარადოქსია ის ფაქტიც, რომ, მართალია, ირანის სულიერი ლიდერი აიათოლა ალი ხამენეი აქტიურად ქადაგებს ინტერნეტის ფილტრაციის შესახებ, რომ დასავლური იდეოლოგია არ უნდა გავრცელდეს ქვეყანაში, მაგრამ, ამავე დროს, თავად ხდება ინიციატორი ანტისიონისტური იდეოლოგიის გავრცელებისა ასევე ინტერნეტის მეშვეობით. სწორედ მან მოუწოდა გასული წლის მიწურულს ირანის მოსახლეობას, გაერთიანებულიყვნენ ლოზუნგის ქვეშ: "ჩვენ გვიყვარს/გვინდა ომი ისრაელთან!". ამავდორულად, გავრცელდა პლაკატები ამავე წარწერით Instagram-ზე #FightingTheZionist მოკლე მესიჯი Twitter-ზე [11]. ყოველივე ეს კი ძალიან ჰგავს 1960-70-იანი წლების მოვლენებს, როდესაც რევოლუციის ლიდერის მიერ ხდებოდა ყველანაირი დასავლური ცივილიზაციის მიღწევის დაგმობა, ხოლო შემდგომ მათი (მაგალითად, დიქტოფონისა და აუდიო კასეტების) საკუთარი ინტერესებისა და იდეების პროპაგანდისათვის გამოყენება. არც ის უნდა დაგვრჩეს ყურადღების მიღმა, რომ სწორედ დასავლეთისა და სხვადასხვა წამყვანი სატელეკომუნიკაციო კომპანიებისაგან შესიდული აღჭურვილობით ახორციელებს ირანის ხელისუფლება დაუბდობელ ინტერნეტკონტროლს ქვეყანაში. კულუარებში ჟღერდება ისეთი სახლები, როგორაცაა: CIA, MI6, MicrosoftGoogle, Skype, Nokia, Simens, Ericsson AB და ა.შ [3].

ინტერნეტზე დაწესებულ ცენზურასა და კონტროლს ჰყავს თავისი მომხრეებიც მოსახლეობაში. ეს ქვეყნის ის კონსერვატორული ფრთაა, რომელიც ისლამური რევოლუციის იდეებს ჯერ კიდევ ერთგულად უჭერს მხარს და ცდილობს 1960-იან წლებში გავრცელებული

ცნების - „ყარბზადეგისაგან“ - დაიცვას თავი. შედეგად იქამდე მიდის ირანული საზოგადოება, რომ ხელისუფლების წყალობით ე.წ. შიდა „კიბერომის“ წინაშე დგას, რომლის ერთ მხარეს 21-ე საუკუნის ახალგაზრდები და პროგრესს მოწყურებული ხალხია, ხოლო მეორე მხარეს - ისლამური იდეებით გაჟღენთილი რევოლუციური საზოგადოება. ერთადერთი ნათელი წერტილი ირანის ოფიციალურ პირებსა და ხელისუფლებას შორის ქვეყნის პრეზიდენტი ჰასან რუჰანია, რომელიც ცდილობს წინააღმდეგობა გაუწიოს უკანასკნელ პერიოდში სოციალური ქსელებისა და სხვადასხვა ინტერნეტგვერდების დაბლოკვის შესახებ მიღებულ დადგენილებებს. „მსოფლიო ვითარდება და წინ მიდის, ტექნოლოგიური პროგრესი ნიშნავს იმას, რომ ირანიც მასთან ერთად უნდა წავიდეს წინ... ჩვენ კიბერსამყარო უნდა გამოვიყენოთ როგორც შესაძლებლობა, ახალგაზრდებს უნდა ვენდოთ...“ - განაცხადა ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების ფონზე პრეზიდენტმა, რაც კონსერვატორების მხრიდან შეფასებული იქნა მისი, როგორც პოლიტიკური ლიდერის, მარცხი [10].

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში პრეზიდენტი ის პირია, რომელიც ყველაზე ნაკლებად ახდენს გავლენას ინტერნეტის ცენზურის საკითხებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებზე. მის უკან მთელი ქსელია შექმნილი ქვეყნის სულიერი ლიდერის მეთაურობით, რომელიც უამრავი, ერთმანეთზე დაქვემდებარებული ორგანოსაგან შედგება და მრავალ რეგულაციას ითვალისწინებს ამა თუ იმ ოპერაციის განცხორციელებისას. ირანი მსოფლიოს იმ ქვეყნების სიას უდგას სათავეში, რომელთაც ინტერნეტფილტრაციის ყველაზე დიდი გამოცდილება და ისტორია აქვთ.

როდესაც საუბარია ირანში ინტერნეტის ცენზურაზე, ფილტრაციასა თუ რიგი ინტერნეტგვერდების დაბლოკვაზე, არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ირანის ისლამური კონსტიტუცია, რომლის 25-ე მუხლში გარკვევით წერია, რომ „[პიროვნებების] უნებლიე შემოწმება-ინსპექტირება...სატელეფონო საუბრების მოსმენა, ფაქსის შემოწმება და გახსნა, ცენზურა, საუბრების მოსმენა და სხვა ნებისმიერი სახის მეთვალყურეობა აკრძალულია, გარდა კანონით მიერ დადგენილისა.“ ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით, ადამინის უფლებები სრულად უნდა იყოს დაცული, მაგრამ არსებობს ერთი ყველაზე მტკივნეული „მაგრამ“ ირანის მოსახლეობისათვის. კერძოდ, თუ ნებისმიერი კანონით აკრძალული საქმიანობის დარღვევა აუცილებელია ისლამური ნორმებისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით, მაშინ ასეთი დარღვევა უსამართლოდ და არაკანონიერად აღარ ითვლება. ასევეა ცენზურის შემთხვევაშიც. კერძოდ, 1986 წ. პრესის კანონში შეტანილი იქნა ლეგალური გამონაკლისები, რომლის მიხედვითაც ხელისუფლება არეგულირებს ირანული მედიის მართვას. პრესის კანონის მე-6 მუხლის მე-12 პარაგრაფი მთელ რიგ აკრძალვებს აწესებს პრესის თავისუფლებაზე. აკრძალულია: „იმ სუბიექტებისათვის ხელის შეწყობა, ვინც, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას ირანის ისლამური რესპუბლიკის საფუძვლებს, ... რევოლუციის ლიდერის შეურაცხყოფა, ... ოფიციალური პირების დადანაშაულება, ... ცალკეული ინდივიდებისა და ჯგუფების წახალისება, რომლებიც ისლამური რესპუბლიკის უსაფრთხოების, ღირსებისა და ინტერსების წინააღმდეგ მოქმედებენ ქვეყნის შიგნით თუ გარეთ,... [და] რაიმე კრიტიკულის დაბეჭდვა კონსტიტუციის წინააღმდეგ“ [3].

პრესის კანონში 2-ჯერ, 2000 წ. და 2009 წ., შესწორებები იქნა შეტენილი მისი ელექტრონული ვერსიის გამოცემის მიზნით. საბოლოო ჯამში, კანონის ძალით ხელისუფალთ მიეცათ საჭიროების შემთხვევაში ბლოგერებისა თუ ჟურნალისტების დაკავებისა და მათი მთავარი უფლების, სიტყვის თავისუფლების, შეზღუდვის საშუალება.

შესაბამისად, ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის შეფასებით, ირანი მეორე ადგილზეა მსოფლიოში, როგორც ყველაზე მკაცრი და შემზღუდავი ქვეყანა ბლოგერების მოღვაწეობისათვის. ამას ადასტურებს ბლოგერთა დაპატიმრების უამრავი ფაქტი, რამაც განსაკუთრებულ პიკს 2009 წლის საპრეზიდენტიო არჩევნების თანმდევი პროცესების შემდგომ მიაღწია და არც ახლა შესუსტებულა დიდად. [12], [13].

ინტერნეტ სივრცის საკონტროლებლად ირანში მოქმედებს **კიბერ დანაშაულებათა კანონიც.** (კანონის ინგლ. ტექსტი იხ. [14]), რომელიც შეიძლება ითქვას, რომ პრესის კანონზე უფრო მკაცრია. იგი ოფიციალური პირებს საშუალებას აძლევს დასაჯოს ყველა ის პიროვნება, რომელიც კანონს დაარღვევს. კანონი ოფიცილაურად 2009 წ. 28 ივნისს, საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან მალევე შევიდა ძალაში, როგორც პირდაპირი გამოძახილი ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობისა. აღნიშნული კანონის სამი უმთავრესი მახასიათებელი გახლავთ ის, რომ: 1. ის ქმნის ცენტრალიზებული ინტერნეტის მაკონტროლირებელ ორგანოს, რომელიც ლეგალური ძალითაა აღჭურვილი; 2. ის ავალდებულებს ინტერენეტპროვაიდერებს ითანამშრომლონ ხელისუფლებასთან კიბერსივრცის ფილტრაციისა და დაკვირვების საქმეში; 3. დანაშაულად აცხადებს ყველა აკრძალულ საიტზე შესვლას;

კანონის შემოღებისთანავე შეიქმნა ახალი ორგანო **ონლაინ დანაშაულებათა განსაზღვრაზე მომუშავე ჯგუფის** სახით, რომლის წევრებიც არიან: განათლების სამინისტროს, კომუნიკაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამინისტროს, დაზვერვის, იუსტიციის, ტექნოლოგიის, კვლევისა და მეცნიერების, კულტურისა და ისლამური დამოძღვრის სამინისტროების წარმომადგენელები ან მინისტრები. ასევე, ისლამური პროპაგანდის ორგანიზაციისა და ირანული ტელერადიომაუწყებლობის ხელმძღვანელები, პოლიციის მეთაური, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების ექსპერტი, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის წარმომადგენელი [15].

გარდა ზემოთაღნიშნული ჯგუფისა, ინტერნეტის საკონტროლებლად უამრავი ორგანო არსებობს ირანში. მათ შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს **კიბერსივრცის უმაღლესი საბჭო,** რომელიც სულიერი ლიდერის აიათოლა ხამენეის ინიციატივით შეიქმნა 2012 წ. საბჭოს ჯერ მაჰმუდ აჰმადინეჟადი ხელმძღვანელობდა ხოლო შემდეგ - მისი მემკვიდრე ჰასან რუჰანი. აიათოლა ხამენეის განცხადების თანახმად, საბჭოს შექმნა აუცილებელი იყო გამომდინარე საინფორმაციო ტექნოლოგიების, კომუნიკაციების სექტორისა და გლობალური ინტერნეტის როლის ზრდიდან ცალკეულ პიროვნებათა თუ ქვეყნის ცხოვრებაში. საბჭო ერთგვარი გარანტი უნდა იყოს კიბერსივრცის უსაფრთხოებისა [16]. საბჭო მოღვაწეობას შეუდგა 2012 წლი ივნისის მიწურულს.

ინტერნეტის სხვა მარეგულირებელი ორგანოებიდან აღსანიშნავია **საინფორმაციო სამინისტრო (დაზვერვა),** რომელიც უზრუნველყოფს ინტერნეტის მონიტორინგსა და ე.წ. "კიბერდამნაშავეების" დაკავებას; **ირანის პოლიციის ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების სექცია,** რომელსაც ქვეყნის სხვადასხვა პროვინციებში პატარა ოფისები აქვს გახსნილი ინტერნეტის საკონტროლებლად [17]; **ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსი** - ასევე დაკავებულია ინტერნეტის კრიმინალური შინაარსის მქონე საიტების დაბლოკვით [18]; გარდა ამისა, წვრთნის ე.წ. „კიბერჯარისკაცებს" დისიდენტების, ბლოგებისა და ფორუმების, სხვადასხვა პოლიტიკური პირების საკონტროლებლად [19]; **ე.წ. კიბერ და ინფორმაციის გაცვლის პოლიცია** - მექანიზმი, რომელიც 2011 წ. 19 აპრილს შეიქმნა, ასევე ინტერნეტის კონტროლის, უფრო ზუსტად, „ხალხის უსაფრთხოებისა და მორალური მდგომარეობის დაცვისა და ეკონომიკური და თუნდაც ტერორისტული ქმედებების

კონტროლის მიზნით“[20]; **პასიური დაცვის ორგანიზაცია,** რომელიც მკაცრად აკონტროლებს ინტერნეტს ქვეყნის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობით. 2011 წელს მის შემადგენლობაშივე ჩამოყალიბდა კიბერუსაფრთხოების ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა იმ ინტერნეტსაფრთხის გაშიფვრას, რომელიც მიმართული იქნება ირანის ეროვნული უსაფრთხოების ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ.

ინტერენეტის საკონტროლებლად უამრავი დაწესებულების შექმნის გარდა, ჩინეთისა და კუბის მსგავსად, ხელისუფლებისთვის ასევე აქტუალურია **ეროვნული ინტერნეტის იდეა,** რომლის შესახებაც აზრი ჯერ კიდევ 2011 წლის აპრილში გამოითქვა. ეს იქნება ე.წ. „ჰალალ ინტერნეტი“ რომლიც „დაიცავს“ მუსლიმთა ეთიკურ და მორალურ უსაფრთხოებას. ეროვნული ინტერნეტის შექმნის იდეის გამოცხადების დღიდან მიმდინარეობს მის სრულყოფაზე მუშაობა. თავდაპირველი მონაცემებით, ეროვული ინტერენტის დასრულებული ვარიანტი უკვე 2015 წ. უნდა ჰქონდეს ქვეყანას, რომელიც იქნება შედარებით სწრაფი ალტერნატივა უკვე გაფილტრული, გლობალური ინტრენეტისა, რაც ხელისუფლების აზრით, დასავლეთის საფრთხისაგან და მისი ინტერნეტ აგენტების: Facebook-ის,Twitter-ისა და სხვა მსგავსი სოცილაური ქსელებისაგან ქვეყნის დაცვის გარანტია. პირველი სატესტო ვერსი ეროვნული ინტერნეტისა 2010 წ. იანვარში გაუშვეს ქ. ყუმში. 2012 წ. კომუნიკაციებისა და ტექნოლოგიების მინისტრის ალი ჰაქიმ-ჯავადის განცხადებით, უკვე დასრულებული იყო ეროვნული ინტერნეტის პირველ ფაზაზე მუშაობა [21]. ქვეყნის ყველა სახელმწიფო ორგანიზაციები თუ სამინისტროები ნელ-ნელა გადავიდნენ ირანის „ინტრანეტის“ მოხმარებაზე. ეროვნული ინტერნეტის ამუშავების პირველ ფაზაში იყო მცდელობა ისეთი სერვერების გათიშვისა, როგორიცაა Google და Google+, თუმცა, ამ ნაბიჯით გამოწვეული უარყოფითი რეაქციების გამო, ხელისუფლებამ მალევე აღადგინა წვდომა აღნიშნულ სერვერებზე [22].

ინტერნეტზე დაწესებული შეზღუდვები, რა თქმა უნდა, ვრცელდება ინტერნეტ-კაფეებზეც, რომლებიც საკმაოდ მკაცრად კონტროლდება შესაბამისი ორგანოების მიერ. 2012 წლის იანვარში ირანის ინტერენტის პოლიციამ დააწესა ახალი რეგულაციები ინტერნეტ-კაფეებისთვის, რომლის თანახმადაც, კაფეს მფლობელებმა თავიანთი მოწყობილობა, კომპიუტერები უნდა აღჭურვონ ვიდეოკამერებით, ჩაინიშნონ მომხმარებლის შესახებ სრული ინფორმაცია: სახელი, გვარი, პირადობის ნომერი, საფოსტო კოდი, ტელეფონის ნომერი, ასევე ინტერნეტით სარგებლობის დღე, რიცხვი, IP და ვებ-გვერდების მისამართები, რომლებსაც ისინი ესტუმრებიან. ინტერნეტ კაფეში იკრძალება მათი მომსახურება, ვინც ვირტუალური პირადი (VPN) ქსელით სარგებლობს [23].

როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, ქვეყნის საზოგადოება, ფაქტობრივად, ორ ნაწილადაა გაყოფილი: ერთ მხარეს დგას ხელისუფლება და მათი მომხრე ტრადიოციონალისტი საზოგადოება, რომლებიც მსგავსად 1960-70-იანი წწ. „კბილებით იცავენ“ საკუთარ იდენტობას, ეროვნულობასა და კულტურას დასავლური ფასეულობებისაგან, ხოლო მეორე მხარეს - პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოება და 21-ე საუკუნის ახალგაზრდობა, რომელთათვისაც მსოფლიოს გლობალიზაციის ეპოქაში მიუღებელია მხოლოდ ირანულ ნაჭუჭში არსებობა. სწორედ ამიტომ ისინი წარმოადგენენ ყველაზე მებრძოლ ძალას ქვეყანაში, რომლებიც მიუხედავად მკაცრი და ზოგჯერ სადისტური აკრძალვებისა, სხვადასხვა მექანიზმებით, როგორიც მაგალითად, გახლავთ პოპულარული კომპიუტერული პროგრამა „სიმორღი“ და კიდევ მრავალის მსგავსი პროგრამა, მაინც ახერხებენ დანარჩენ სამყაროსთან კავშირს. სწორედ ამიტომაც იქცა ირანი ინტერნეტ ენთუზიასტი ერის ქვეყნად, სადაც დაახლოებით 75 მლნ. მოსახლეობიდან 45 მლნ. ინტერნეტის აქტიური

მომხმარებელია. ამ მაჩვენებლით კი ის ისრაელთან ერთად კვლავ უდგას სათავეში ახლო აღმოსავლეთში ინტერნეტმომხმარებელთა სიას.

გამოყენეული წყაროები:

1. http://news.bbc.co.uk/2/hi/not_in_website/syndication/monitoring/media_reports/2183573.m
2. http://www.theguardian.com/technology/2006/dec/04/news.iran;
3. After The Green Movement: Internet Controls In Iran, 2009-2012 გვ.4, OPENNET INITIATIVE, www.opennet.net/iranreport2013'
4. Moghanizadeh, S., *The Role Of Social Media In Iran's Green Movement*, Gothenburg, Sweden, 2013;
5. Morozov, E., *Iran: Downside To The Twitter Revolution*, University of Pennsylvania Press, 2009;
6. http://www.internetworldstats.com/stats5.htm;
7. http://shaheedoniran.org/english/blog/layers-of-internet-censorship-in-iran/;
8. http://www.bbc.co.uk/persian/iran/2015/01/150131_l45_revolutionary_guard_facebook_iran?ocid=socialflow_facebook
9. http://www.thenational.ae/world/middle-east/iranian-leaders-defy-twitter-facebook-ban-contradiction
10. http://www.huffingtonpost.com/micah-d-halpern/iran-steps-up-war-on-soci_b_5381844.html;
11. http://www.worldjewishcongress.org/en/news/15470/iran_launches_social_media_hate_campaign_against_israel;
12. http://cpj.org/reports/2009/04/10-worst-countries-to-be-a-blogger.php;
13. http://techcrunch.com/2011/05/06/the-father-of-iranian-blogging-jailed-for-19-years-reappears-on-facebook/;
14. http://www.article19.org/data/files/medialibrary/2921/12-01-30-FINAL-iran-WEB[4].pdf
15. http://internet.ir/aboutus.html
16. http://farsi.khamenei.ir/message-content?id=19225
17. http://www.radiofarda.com/content/f35_Iran_Internet_Under_Control/1958457.html;
18. http://www.gerdab.ir/fa/about
19. http://www.wsj.com/articles/SB10001424052702303717304577279381130395906;
20. http://weblognews.ir/news/13985/;
21. http://ca.reuters.com/article/technologyNews/idCABRE88M0AO20120923?pageNumber=1&virtualBrandChannel=0;
22. http://www.huffingtonpost.com/2012/10/01/iran-gmail-blocked_n_1928448.html?utm_hp_ref=technology;
23. http://www.bbc.com/news/world-middle-east-22281336

თამთა ბოკუჩავა

თურქეთი და სომხების გენოციდის 100 წლისთავი

2015 წლის 12 აპრილს, რომის პაპმა ფრანცისკემ საკვირაო მესის დროს, I მსოფლიო ომის მსვლელობისას სომხების წინააღმდეგ ოსმალეთის იმპერიის ქმედებებს XX ს-ის პირველი გენოციდი უწოდა.[11] პაპის ამ განცხადებამ ვატიკანსა და თურქეთს შორის ურთიერთობების დაძაბვა გამოიწვია. თურქეთმა ვატიკანიდან გამოიწვია საკუთარი ელჩი (მომდევნო ინსტრუქციების მიცემის მიზნით) და განმარტებები მოითხოვა თურქეთში ვატიკანის ელჩისგან.

ოფიციალური ვატიკანი აქამდე ერიდებოდა სომხურ საკითხზე ყურადღების გამახვილებას. ფრანცისკე რომაულ-კათოლიკური ეკლესიის პირველი ლიდერია, რომელმაც 1915 წლის მოვლენებს ღიად და ცალსახად უწოდა გენოციდი. რომის პაპმა ჯერ კიდევ 2001 წელს იოანე პავლე II-სა და სომხეთის კათალიკოს გარეგინ II-ის მიერ გამოქვეყნებული ერთობლივი განცხადების ციტირება მოახდინა.[12] უნდა აღინიშნოს რომ ზემოთ ხსენებული განცხადება ორმხრივი იყო და შესაბამისად არ წარმოადგენდა ვატიკანის ოფიციალურ პოზიციას.

რომის პაპმა თავის განცხადებაში, სომხების საკითხი გაუთანაბრა გერმანიაში ნაცისტური მთავრობის და საბჭოთა კავშირში სტალინის რეჟიმის დროს განხორციელებულ რეპრესიებს. მან ასევე დაგმო მასობრივი მკვლელობები კამბოჯაში, რუანდაში, ბურუნდისა და ბოსნიაში.[13]

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ აღნიშნულ მესას სომხეთის პრეზიდენტი, სერჟ სარქისიანი ესწრებოდა. სომხეთის პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა პაპს ასეთი უპრეცედენტო ლიტურგიისათვის და განაცხადა, რომ ეს მოვლენა „სომეხი ხალხისა და ქრისტიანული სამყაროს სოლიდარობის ნათელი მაგალითია.“[14]

ანკარის მთავრობამ რომის პაპის განცხადებას „ისტორიულ ფაქტებს დაცილებული“ უწოდა და პონტიფიკი მიკერძოებაში დაადანაშაულა, რადგან რომის პაპმა მთლიანად უგულებელყო არაქრისტიანთა მსხვერპლი იმავე პერიოდში.[15]

2013 წელს რომის პაპად არჩევის შემდეგ, ფრანცისკე ხშირად ცდილობს შეასრულოს მედიატორის როლი დელიკატურ საგარეო პოლიტიკურ საკითხებში. გასულ ზაფხულს წმინდა მიწის მონახულების შემდეგ მან უმასპინძლა ისრაელისა და პალესტინის პრეზიდენტებს, თუმცა პაპმა წარუმატებლობა განიცადა და შეხვედრიდან რამდენიმე დღის შემდეგ ისრაელმა დაიწყო საბრძოლო მოქმედებები ჰამასის წინააღმდეგ ღაზას სექტორში.

უფრო წარმატებული იყო ფრანცისკეს მონაწილეობა კუბასა და აშშ-ს შორის ურთიერთობების დარეგულირების საქმეში. პრეზიდენტმა ობამამ რომის პაპს

---

[11]http://www.nytimes.com/2015/04/13/world/europe/pope-calls-killings-of-armenians-genocide-provoking-turkish-anger.html

[12]http://www.reuters.com/article/2015/04/12/us-pope-armenia-genocide-idUSKBN0N307820150412

[13]http://www.nytimes.com/2015/04/13/world/europe/pope-calls-killings-of-armenians-genocide-provoking-turkish-anger.html

[14]http://www.reuters.com/article/2015/04/12/us-pope-armenia-genocide-idUSKBN0N307820150412

[15]http://www.nytimes.com/2015/04/13/world/europe/pope-calls-killings-of-armenians-genocide-provoking-turkish-anger.html

განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა საიდუმლო მოლაპარაკებების მასპინძლობისათვის.[16]

საერთაშორისო სამართალი გენოციდს შემდეგნაირად განმარტავს: სამოქალაქო მოსახლეობის რასობრივი ან ეროვნული ჯგუფების წინასწარ გამიზნული და სისტემური მოსპობა ერებისა და ხალხების გარკვეული რასების ან ფენების რასობრივი და რელიგიური ჯგუფების განადგურების მიზნით.

თურქეთი აღიარებს, რომ 1915 წლის დასაწყისში ბევრი ქრისტიანი სომეხი დაიღუპა ოსმალეთის არმიასთან შეტაკებების დროს, მაგრამ კატეგორიულად უარყოფს მიზანმიმართული გენოციდი ფაქტს.[17] აქვე ყურადღებას ამახვილებს იმ თურქულ მოსახლეობაზეც, რომელიც ამავე პერიოდში შეეწირნენ რეგიონში მიმდინარე მოვლენებს.[18]

ომის დროს რა თქმა უნდა უამრავ სისასტიკეს ჰქონდა ადგილი და უამრავი ადამიანი დაიხოცა, აცხადებს ოფიციალური ანკარა, მაგრამ ადგილი არ ჰქონია ოსმალეთის იმპერიის სომხური მოსახლეობის სისტემატური მოსპობის წინასწარ განზრახვას.[19]

სომხური მხარე აცხადებს, რომ ოსმალეთის იმპერიის მიერ სომხების ანატოლიიდან განდევნის მცდელობისას 1.5 მილიონი სომეხი დაიღუპა. თურქული მხარე I მსოფლიო ომის დროს აღმოსავლეთ ანატოლიაში რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის დროს, რუსეთის მხარეს მებრძოლ მხოლოდ რამდენიმე ასეული ათასი სომეხის დაღუპვას ადასტურებს.

„თურქები და სომხები საუკუნეებია ერთად ცხოვრობენ რეგიონში. ჩვენ მზად ვართ გავაუმჯობესოთ მეზობლური ურთიერთობები, მაგრამ ვერ დავეთანხმებით, რომ თურქების მსხვერპლი უგულებელყოფილ იქნას“ - განაცხადა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა, აჰმედ დავუთოღლუმ.[20]

„სომხური დიასპორა სიძულვილს ნერგავს თურქეთის წინააღმდეგ, თუ კარგად შევხედავთ, თუ რისი გადატანა მოუწია თურქეთს ბოლო 100-150 წლის განმავლობაში, ნათლად დავინახავთ, რომ თურქმა ხალხმა სომხებზე მეტი გასაჭირი გადაიტანა“ - განაცხადა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა.[21]

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტსაც, რომ თურქეთის საზოგადოების აზრი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით აბსოლუტურად ერთგვაროვანია და მთლიანად იზიარებს ხელისუფლების პოზიციას. მოსახლეობის მხოლოდ 9%-ს მიაჩნია, რომ თურქეთმა უნდა აღიაროს გენოციდის ფაქტი და ოფიციალურად მოიხადოს ბოდიში.[22]

I მსოფლიო ომის დროს სომხების გენოციდის 100 წლისთავი 2015 წლის 24 აპრილს აღინიშნა. თურქეთი არ შეუერთდა ზემოთ აღნიშნული მოვლენებისადმი მიძღვნილ არც ერთ ღონისძიებას. ამის სანაცვლოდ თურქეთის მთავრობამ ჩაატარა გალიპოლის ოპერაციისადმი

---

[16]http://www.nytimes.com/2015/04/13/world/europe/pope-calls-killings-of-armenians-genocide-provoking-turkish-anger.html

[17]http://www.reuters.com/article/2015/04/12/us-pope-armenia-genocide-idUSKBN0N307820150412

[18]http://www.nytimes.com/2015/04/13/world/europe/pope-calls-killings-of-armenians-genocide-provoking-turkish-anger.html

[19]http://www.nytimes.com/2015/04/17/world/europe/turkeys-century-of-denial-about-an-armenian-genocide.html?_r=0

[20]http://news.yahoo.com/turkish-pm-says-genocide-recognition-european-racism-143238147.html

[21]http://www.nytimes.com/2015/04/17/world/europe/turkeys-century-of-denial-about-an-armenian-genocide.html?_r=0

[22]http://www.nytimes.com/2015/04/17/world/europe/turkeys-century-of-denial-about-an-armenian-genocide.html?_r=0

და შესაბამისად I მსოფლიო ომის დროს თურქეთის მიერ მიღწეული სამხედრო გამარჯვების აღსანიშნავი ღონისძიება.[23] რეალურად, ოპერაციის 100 წლისთავი მხოლოდ მომავალ წელს უნდა იყოს, მაგრამ თურქეთის დღევანდელი მთავრობა ხშირად თვალს ხუჭავს ასეთ ისტორიულ დეტალებზე.

რომის პაპის მიერ საკვირაო მესაზე გაკეთებული განცხადების შემდეგ, 15 აპრილს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია ოსმალეთის იმპერიაში სომხების მასობრივი მკვლელობების გენოციდად აღიარების შესახებ.

რეზოლუცია იმეორებს ორგანიზაციის მიერ 1987 წელს მიღებულ ტერმინოლოგიას. ჯერ კიდევ მანამ, სანამ ევროპარლამენტი კენჭს უყრიდა აღნიშნულ რეზოლუციას, თურქეთის პრეზიდენტმა, ერდოღანმა ოფიციალურად განაცხადა, რომ იგი ყურადღებას არ მიაქცევდა კენჭისყრის შედეგებს, „ერთ ყურში შევა, მეორედან გამოვა“ - განაცხადა მან.[24]

ევროპარლამენტის განცხადებით, რეზოლუცია მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს შერიგების პროცესის დაწყებას თურქეთსა და სომხეთს შორის და მოუწოდებს ოფიციალურ ანკარას აღიაროს სომხების გენოციდი.[25]

ევროპარლამენტის ამ გადაწყვეტილებას თურქეთის მთავრობის მხრიდან მკაცრი კრიტიკა მოჰყვა. პრემიერ-მინისტრმა აჰმედ დავუთოღლუმ აღნიშნულ ფაქტს ევროპაში „რასიზმის“ გაძლიერება უწოდა. „ევროპარლამენტმა არ უნდა მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გარკვეული რელიგიური ან ეთნიკური ჯგუფის მიმართ სიძულვილს გამოიწვევს, ეს ხელს არ შეუწყობს ურთიერთობების მოგვარებას“ - განაცხადა დავუთოღლუმ.[26] თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კი ევროპარლამენტი ისტორიის შეცვლის მცდელობაში დაადანაშაულა.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ გასულ წელს რეჯეფ თაიფ ერდოღანი შეეცადა გარკვეულ კომპრომისზე წასულიყო სომხებთან მიმართებაში. მან მიუსამძიმრა 1915 წლის მოვლენების დროს დაღუპულთა შთამომავლებს. განცხადება 9 ენაზე გამოქვეყნდა, მაგრამ 100 წლისთავის მოახლოებასთან დაკავშირებით სომხური ლობის გააქტიურებასთან ერთად, ზეწოლა ოფიციალურ ანკარაზე გაძლიერდა, რამაც ურთიერთობები სომხეთსა და თურქეთს შორის კიდევ ერთხელ საწყის წერტილზე დააბრუნა.

გამოყენებული წყაროები:

1. http://uk.reuters.com/article/2015/04/15/uk-turkey-armenia-idUKKBN0N60SK20150415
2. http://www.nytimes.com/2015/04/17/world/europe/turkeys-century-of-denial-about-an-armenian-genocide.html?_r=0
3. http://www.nytimes.com/2015/04/13/world/europe/pope-calls-killings-of-armenians-genocide-provoking-turkish-anger.html
4. http://www.reuters.com/article/2015/04/12/us-pope-armenia-genocide-idUSKBN0N307820150412
5. http://www.nytimes.com/2015/04/18/world/europe/turkish-premier-says-european-stance-on-armenian-genocide-reflects-racism.html
6. http://news.yahoo.com/turkish-pm-says-genocide-recognition-european-racism-143238147.html

[23]http://www.nytimes.com/2015/04/17/world/europe/turkeys-century-of-denial-about-an-armenian-genocide.html?_r=0

[24]http://uk.reuters.com/article/2015/04/15/uk-turkey-armenia-idUKKBN0N60SK20150415

[25]http://www.nytimes.com/2015/04/18/world/europe/turkish-premier-says-european-stance-on-armenian-genocide-reflects-racism.html

[26]http://news.yahoo.com/turkish-pm-says-genocide-recognition-european-racism-143238147.html

თამთა ბოკუჩავა

თურქეთ-ირანის ურთიერთობები

2015 წლის აპრილის დასაწყისში P5+1-სა (გაეროს უშიშროების 5 მუდმივი წევრი: აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი, ჩინეთი + გერმანია) და ირანს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ.

თურქეთმა დადებითად შეაფასა ჩარჩო ხელშეკრულების გაფორმება ირანსა და დიდ ექვსეულს შორის, თუმცა ქვეყნის შიგნით აღნიშნული ფაქტისადმი დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. მაშინ, როდესაც თურქეთი დღეს რეგიონში ფაქტიურად იზოლირებულია, ნაწილი ირანის ასეთ წარმატებას საფრთხედ აღიქვამს. ირანი, რომელსაც ნორმალური ურთიერთობა ექნება დასავლეთთან, თურქეთის ძირითადი კონკურენტი გახდება რეგიონული ლიდერობისათვის.

თურქეთის ერთ-ერთი სამთავრობო გაზეთის Yeni Safak-ის (ახალი განთიადი) რედაქტორმა, იბრაჰიმ ქარაგიულმა გამოქვეყნებულ სტატიაში ირანს „ახალი იმპერიული ძალა“ უწოდა. „აუცილებელია მოხდეს ირანის დაბრუნება ეთიკურ ჩარჩოებში, რათა ამ უკანასკნელმა შეწყვიტოს გაუმართლებელი აგრესია მეზობლების წინააღმდეგ.“ ქარაგიულის განცხადებით, ირანი ცდილობს განხეთქილება გამოიწვიოს არაბულ სამყაროსა და თურქეთს შორის, რაც რეგიონში ახალი ომის მიზეზი შეიძლება გახდეს, რომელშიც თურქეთიც იქნება ჩართული.[27]

შეთანხმების მიღწევამდე ცოტა ხნით ადრე ერდოღანმა საკმაოდ აგრესიული განცხადება გააკეთა ირანის წინააღმდეგ და ოფიციალურ თეირანს მოსთხოვა არ ჩარეულიყო ერაყისა და იემენის საშინაო საქმეებში.[28] „ირანი რეგიონიდან ისლამური სახელმწიფოს გაძევებისთვის მხოლოდ იმიტომ იბრძვის, რომ მისი ადგილის დაკავება სურს“ - განაცხადა თურქეთის პრეზიდენტმა.[29]

ახლო აღმოსავლეთში ირანი და თურქეთი თითქმის ვერც ერთ საკითხში ვერ თანხმდებიან. სირიაში ოფიციალური თეირანი ბაშარ ალ-ასადის მხარდამჭერია, მაშინ როდესაც თურქეთი მის გადადგომას მოითხოვს. თურქეთმა მხარი დაუჭირა რეგიონში ირანის ძირითად მოწინააღმდეგეს, საუდის არაბეთს, რომელიც სათავეში ჩაუდგა სუნიტურ არაბულ კოალიციას და იემენში შიიტ მეამბოხეებს დაუპირისპირდა. საუდის არაბეთმა და მისმა მოკავშირეებმა ირანს ჰუსიტების შეიარაღებაში დასდეს ბრალი, რასაც უარყოფენ როგორც ჰუსიტები, ისე ირანული მხარე.[30]

ერდოღანმა ფრანგული გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში აგრეთვე განაცხადა, რომ ანკარა განიხილავს იემენში საუდის არაბეთის მიერ განხორციელებული სამხედრო მისიის ლოგისტიკური კუთხით მხარდაჭერის შესაძლებლობას. საუდის არაბეთი იემენში მეამბოხე ჰუსიტების წინააღმდეგ კოალიციას ჩაუდგა სათავეში. კოალიციაში შედიან სპარსეთი ყურის ქვეყნები, ეგვიპტე, სუდანი, მაროკო და იორდანე. ამბოხებულმა ჰუსიტებმა ხელში ჩაიგდეს იემენის ნაწილი, მათ შორის დედაქალაქი სანაა და აიძულეს პრეზიდენტი დაეტოვებინა ქვეყანა.

---

[27]http://www.usnews.com/news/articles/2015/04/08/turkey-reluctantly-welcomes-iran-deal
[28]http://www.usnews.com/news/articles/2015/04/08/turkey-reluctantly-welcomes-iran-deal
[29]http://www.israelnationalnews.com/News/News.aspx/194520#.VWGZDU-qqko
[30]http://www.bbc.com/news/world-middle-east-32210257

„ჩვენ მხარს ვუჭერთ საუდის არაბეთის ინტერვენციას“ - განაცხადა ერდოღანმა. „მოვლენების განვითარებიდან გამომდინარე, თურქეთმა შეიძლება განიხილოს სამხედრო მისიის ლოგისტიკური მხარდაჭერა.“[31]

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, აჰმედ ჯავუსოღლუ პირველი იყო, რომელმაც დადებითად შეაფასა ირანის გადაწყვეტილება უარი ეთქვა ურანის შემდგომ გამდიდრებაზე, თუმცა არ დაუმალავს უკმაყოფილება მოლაპარაკებების თურქეთის გვერდის ავლით წარმოების შესახებ. „ჩვენ მოხარულები ვართ, რომ შესაძლებელი გახდა ხელშეკრულების გაფორმება“ - განაცხადა ჯავუსოღლუმ, თუმცა იქვე ხაზი გაუსვა 2010 წლის შეთანხმების მნიშვნელობას. „ვიმედოვნებთ ივნისისთვის (როდესაც კომპლექსური ხელშეკრულების გაფორმება იგეგმება) ირანი შეასრულებს 2010 წლის შეთანხმების პირობებს.“[32]

2010 წლის მაისში თურქეთმა ბრაზილიასთან ერთად მოლაპარაკებები აწარმოა ირანთან, რის შედეგადაც ირანმა საკვლევი რეაქტორის საწვავის სანაცვლოდ უარი თქვა 1200 კგ დაბალი პროცენტით გამდიდრებულ ურანზე.

2010 წლის შეთანხმების და თურქეთის როლის მნიშვნელობას ხაზი გაუსვა თავის განცხადებაში ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა, აჰმედ დავუთოღლუმაც.

თურქეთის ფინანსთა მინისტრმა ასევე დადებითად შეაფასა ირანის მოლაპარაკებები დასავლეთთან და სანქციების მოხსნის შემთხვევაში ირანში თურქული ექსპორტის გაზრდაზე ისაუბრა, რაც თურქეთის შენელებული ეკონომიკისათვის დამატებითი სტიმული იქნებოდა. მან ყურადღება გაამახვილა აგრეთვე იმ ფაქტზე, რომ მსოფლიო ბაზარზე ირანის დაბრუნება ნავთობის ფასის შემცირებაზე იმოქმედებს, ხოლო ირანული გაზი და ნავთობი სავარაუდოდ ისევ თურქეთის ტერიტორიის გავლით მოხვდება ევროპაში.[33]

იმის მიუხედავად, რომ დიპლომატიური ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის საკმაოდ დაიძაბა ბოლო წლების განმავლობაში, ძირითადად სირიის კრიზისის მოგვარების გზებზე შეუთანხმებლობის გამო, ეკონომიკური ურთიერთობები თურქეთსა და ირანს შორის ყოველთვის მყარი იყო. სანქციების მიუხედავად ირანი თურქეთისათვის ბუნებრივი აირის სიდიდით მეორე მომწოდებელია.[34]

ერდოღანის ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე, ირანის პარლამენტის 65-მა წევრმა განცხადებით მიმართა ჰასან როუჰანის ბოდიში მოეთხოვა თურქეთის პრეზიდენტისაგან ირანის წინააღმდეგ გამოთქმული უხეში კომენტარებისათვის.

თეირანში ვიზიტის წინა პერიოდში ერდოღანის მიერ გაკეთებული განცხადებების და თურქეთის მხრიდან იემენში საუდის არაბეთის სამხედრო მოქმედებების მხარდაჭერის გამო საზოგადოებაში გაჩნდა მოლოდინი, რომ ვიზიტი შესაძლოა ჩაშლილიყო. საბოლოო ჯამში, ორივე ქვეყანამ პრაგმატული გადაწყვეტილება მიიღო და ეკონომიკური ურთიერთობების სასარგებლოდ დროებით გვერდზე გადადო პოლიტიკური უთანხმოებები.

ირანი თურქეთის მეზობელია და P5+1-თან ჩარჩო ხელშეკრულების გაფორმება, დაწესებული სანქციების მოხსნის პერსპექტივით, გაცილებით უფრო აქტიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების იმედს აძლევს ოფიციალურ ანკარას.

ირანში ერდოღანი ეტიკეტის ყველა წესის დაცვით მიიღეს, მაგრამ საპატიო დაცვას თურქეთისა და ირანის დროშებთან ერთად ეკავა წითელი დროშა მესამე შიიტი იმამის სახელით. სოციალურ ქსელებში მაშინვე გაჟღერდა მოსაზრება, რომ ამ გზით ოსმალეთის

[31]http://www.france24.com/en/20150326-turkey-support-saudi-yemen-erdogan-interview-france-24

[32]http://www.usnews.com/news/articles/2015/04/08/turkey-reluctantly-welcomes-iran-deal

[33] http://www.usnews.com/news/articles/2015/04/08/turkey-reluctantly-welcomes-iran-deal

[34]http://www.reuters.com/article/2015/04/05/turkey-iran-erdogan-idUSL6N0X202W20150405

იმპერიის აღდგენის მსურველ ერდოღანს სპარსეთის სიძლიერე შეახსენა ოფიციალურმა თეირანმა.[35]

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ერდოღანის თეირანში ვიზიტის დროს, ცნობილმა ირანულმა გაზეთმა „შაჰრვანდმა“ პირველ გვერდზე გამოაქვეყნა კარიკატურა, რომელზეც რეჯეფ თაიფ ერდოღანი ოსმალო დონ კიხოტად იყო წარმოჩენილი, რომელსაც გზა დაეკარგა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ ლაბირითში.[36]

შეხვედრის დროს პრეზიდენტებმა განიხილეს რეგიონის სამივე ცხელი წერტილი, მაგრამ შეთანხმების მიღწევა მოხერხდა მხოლოდ უახლოეს მომავალში სისხლისღვრის შეწყვეტის საერთო სურვილზე.[37] ვიზიტის დროს განიხილეს აგრეთვე თურქეთის გეგმა მომავალი წლისათვის ირანსა და თურქეთს შორის ვაჭრობის 14-დან 30 მილიარდ ამერიკულ დოლარამდე გაზრდასთან დაკავშირებით. მოლაპარაკების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა აგრეთვე ბუნებრივი აირის ფასიც. ერდოღანის თქმით, თურქეთი მზად არის შეიძინოს ირანისაგან მეტი ბუნებრივი აირი, თუ ფასი ანკარისათვის მისაღები იქნება.[38]

უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ მზარდი მოთხოვნები ენერგორესურსებზე არ არის თურქეთის მხრიდან მათი დივერსიფიკაციის სურვილის მიზეზი. თურქეთს სურს გახდეს ენერგო სატრანზიტო პორტი, ასეთ შემთხვევაში კი მოლაპარაკებები ირანთან ეს არის არა არსებული ჩანაცვლების მცდელობა, არამედ უკვე არსებულისთვის ახლის დამატება.[39]

მას შემდეგ რაც შეთანხმება ირანსა და დასავლეთს შორის საბოლოოდ გაფორმდება და თანდათან დაიწყება სანქციების მოხსნის პროცედურა, ეკონომიკური ასპექტი ირან-თურქეთის ურთიერთობების წარმმართველი გახდება.[40]

ნავთობზე ფასების დაცემამ ირანის ეკონომიკას საგრძნობი ზიანი მიაყენა. ამასთან, სანქციების მოხსნის და ირანის მსოფლიო ბაზარზე დაბრუნების შემთხვევაში ნავთობის ფასი კიდევ უფრო დაეცემა. ნავთობის საბადოების მხრივ ირანის ტერიტორიაზე მსოფლიო რეზერვის 10%-ია, მაგრამ სანქციების დაწესების შემდეგ ირანისათვის განსაკუთრებით რთული გახდა უცხოური კაპიტალის მოზიდვა, რაც გადამწყვეტ როლს თამაშობს ამ ნავთობის მოპოვებაში.[41]

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მსოფლიო ბაზარზე ირანის დაბრუნება დადებითად იმოქმედებს აშშ-ს ეკონომიკაზე და კიდევ უფრო მეტად ხელსაყრელი იქნება გერმანიისა და ჩინეთისათვის, რომლებსაც აშშ-სგან განსხვავებით ადგილობრივი ნავთობი არ გააჩნიათ. სანქციების მოხსნა ყველაზე მეტად დააზარალებს რუსეთის ეკონომიკას. ირანული ნავთობის მსოფლიო ბაზარზე გამოჩენით არ არიან დაინტერესებულნი აგრეთვე სპარსეთის ყურის ქვეყნებიც.[42] ისრაელი თავიდანვე უარყოფითად აფასებდა ირანთან მოლაპარაკებებს. ეკონომიკური სარგებლის მიუხედავად, ბირთვული იარაღით შეიარაღებული ირანი ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს რეგიონისა და დანარჩენი სამყაროსათვის.[43]

---

[35]http://www.bbc.com/news/world-middle-east-32210257

[36] http://www.bbc.com/news/world-middle-east-32210257

[37] http://www.bbc.com/news/world-middle-east-32210257

[38] http://www.bbc.com/news/world-middle-east-32210257

[39]http://www.israelnationalnews.com/News/News.aspx/194520#.VWGZDU-qqko

[40]http://www.bbc.com/news/world-middle-east-32210257

[41]http://www.vox.com/2015/3/24/8283151/iran-oil-price

[42]http://www.vox.com/2015/3/24/8283151/iran-oil-price

[43]http://www.cnbc.com/id/102544597

კომპლექსური შეთანხმების გაფორმება ირანსა და P5+1-ს შორის ივნისის ბოლოს იგეგმება. სანქციების მოხსნას დაახლოებით სამი თვე დასჭირდება და კიდევ ექვსი თვე იმისათვის, რომ ირანის წარმოება სრული დატვირთვით ამუშავდეს. შესაბამისად ირანული ნავთობის გავლენა ბაზარზე მხოლოდ 2016 წლიდან გახდება საგრძნობი.[44]

ირანის მოლაპარაკებებმა დასავლეთთან თურქეთში ოპოზიციის გააქტიურება გამოიწვია. აქ შიშობენ, რომ ეს შეთანხმება რეგიონში ირანის ზეგავლენას გაზრდის, მაშინ როდესაც თურქეთის ხელისუფლების დაუფიქრებელი საგარეო პოლიტიკური კურსი თურქეთის პოზიციებს რეგიონში სულ უფრო ასუსტებს. ირანი ავტომატურად გახდება დასავლეთის პოტენციური მოკავშირე, მით უფრო რომ დასავლეთი შეშფოთებულია რეგიონში რადიკალური სუნიტური ძალების გაძლიერებით.

ერთ-ერთმა თურქმა ჟურნალისტმა ყურადღება გაამახვილა ირანისა და თურქეთის დღევანდელ პოზიციებზე და განაცხადა, რომ რაოდენ ირონიულიც არ უნდა იყოს, ირანის პრეზიდენტო, ჰასან რუჰანი 2000-იანი წლების დასაწყისის ერდოღანს წააგავს. „მაშინ როდესაც ირანი ცდილობს ურთიერთობების დარეგულირებას დანარჩენ მსოფლიოსთან, თურქეთი თავისი რეპრესიული საშინაო პოლიტიკით და აგრესიული საგარეო პოლიტიკური კურსით სულ უფრო ემსგავსება ირანს აჰმადინეჟადის პრეზიდენტობის პერიოდში.“[45]

ირანსა და დასავლეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიუხედავად თურქეთის არ დაკარგავს გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას რეგიონში. თურქეთი თვითონ არის საკმაოდ დიდი აქტორი რეგიონში, შესაბამისად გავლენის შესუსტების მიუხედავად მისი მნიშვნელობა დასავლეთისათვის უცვლელი დარჩება.მეტიც, ახალ ვითარებაში მისი გავლენა კიდევ უფრო გაიზრდება, თუ იგი ირანისა და საუდის არაბეთის ძალების დაბალანსებას შეეცდება.

გამოყენებული წყაროები:

1. http://www.israelnationalnews.com/News/News.aspx/194520#.VWGZDU-qqko
2. http://www.bbc.com/news/world-middle-east-32210257
3. http://www.usnews.com/news/articles/2015/04/08/turkey-reluctantly-welcomes-iran-deal
4. http://www.reuters.com/article/2015/04/05/turkey-iran-erdogan-idUSL6N0X202W20150405
5. http://www.vox.com/2015/3/24/8283151/iran-oil-price
6. http://www.wsj.com/articles/how-iranian-nuclear-deal-would-affect-oil-markets-1428032400
7. http://www.cnbc.com/id/102544597
8. http://www.france24.com/en/20150326-turkey-support-saudi-yemen-erdogan-interview-france-24

[44]http://www.wsj.com/articles/how-iranian-nuclear-deal-would-affect-oil-markets-1428032400
[45]http://www.usnews.com/news/articles/2015/04/08/turkey-reluctantly-welcomes-iran-deal

ინგა ინასარიძე

„აბდულას მახვილი"

29 აპრილს საუდის არაბეთში ეროვნული შეიარაღებული ძალების სწავლება კოდური სახელწოდებით "საიფ აბდულა" ანუ „აბდულას მახვილი" დასრულდა, რომელიც ყველაზე მაშტაბური იყო ქვეყნის ისტორიაში. სამხედრო წვრთნებში ჩართულნი იყვნენ სამხედრო და უსაფრთხოების ყველა სექტორი: ეროვნული გვარდია, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები. სწავლებები მიმდინარეობდა სამეფოს სამხრეთ, ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ რაიონებში. ხელმძღვანელობის განცხადებით, სწვალების მიზანს „თავდასხმის შეჩერებისთვის" სამეფოს შეიარაღებული ძალების მზადყოფნის შემოწმება და გაძლიერება წარმოადგენდა. წვრთნები მეფე აბდულა II ტახტის დაკავების მეცხრე წლისთავს დაემთხვა. სწავლების ბოლოს გამართულ აღლუმზე საუდელებმა მოახდინეს ჩინეთში წარმოებული საშუალო რადიუსის ბალისტიკური რაკეტების DF-3 / CSS-2 [46]-ის პირველი საჯარო დემონსტრირება.

საუდის არაბეთის ადგილობრივი მედიის ცნობით, სამხედრო წვრთნებში 130 000 სამხედროს მოიცავდა. წვრთნებს ესწრებოდნენ კრონ პრინცი სალმან ბინ აბდულაზიზი, რომელიც თავდაცვის მინისტრია, ეროვნული გვარდიის მინისტრი, მეფე აბდულას ვაჟი პრინცი მუთაიბი და შინაგან საქმეთა მინისტრი, პრინცი მუჰამედ ბინ ნაიეფი. უცხოელი სტუმრებიდან წარმოდგენილნი იყვნენ ბაჰრეინის მეფე ჰამიდი, აბუ დაბის კონ პრინცი, მუჰამედ ბინ ზაიდი, ასევე მაღალჩინოსნები ქუვეითიდან და ომანიდან. წვრთნებს არ დასწრებია კატარის წარმომადგენელი, რამაც ნათლად აჩვენა, რომ საუდი-კატარის უთანხმოება ჯერაც არ დასრულებულა.

გამორჩეული სტუმარი იყო პაკისტანის არმიის შტაბის ხელმძღვანელი, გენერალი რაჰილ შარიფი. იგი ყველაზე გავლენიანი სამხედრო მეთაურია პაკისტანში. სწორედ იგი აკონტროლებს ქვეყანაში ბირთვული იარაღის არსენალს. ორივე მხარისათვის ცნობილია ის ხმები, რომელიც ათწლეულის განმავლობაში ვრცელდებოდა მათ თანამშრომლობაზე. პაკისტანური პრესის ინფორმაციით, გენერალი შარიფი პირადად იქნა მიწვეული სამეფოში სალმანის მიერ, როდესაც ეს უკანასკნელი წლის დასაწყისში ვიზიტით იმყოფებოდა პაკისტანში. წვრთნების დროს კი ტელევიზიები აქტიურად აჩვენებდნენ გვერდი-გვერდ მსხდომ შარიფსა და პრინც მუტაიბს, რაც სამეფო პატივისცემის ნიშანია.

შეკრებილი სტუმრებისთვის წვრთნების ყველაზე საინტერესო ნაწილი საუდელების მიერ პირველად, ჩინური წარმოების საშუალო რადიუსის ბალისტიკური რაკეტების CSS-2-ის გამოყვანა გახდა.

---

[46] გამოიყენება რაკეტის ორივე დასახელება: DF-3 (Dong Feng-3 - "აღმოსავლეთის ქარი 3") ან NATO: CSS-2 (**C**hinese **S**urface-to-**S**urface Missile-2).

რაკეტები 1987 წელს ირან-ერაყის ომის დროს საიდუმლოდ იქნა შეძენილი. ეს საშუალო რადიუსის რაკეტების ექპორტირების პირველი შემთხვევა იყო. რაკეტები ბირთვულად ქმედუნარიანად ითვლება, რადგან მათი სიზუსტე განსაზღვრულია. თუმცა არ-რიადის მტკიცებით მათ რაკეტები ბირთვული ქობინების გარეშე შეიძინეს. რაკეტებიდან ერთი განლაგებულია ალ-ჯოფერში, რიადის ჩრდილო-დასავლეთით, მეორე კი ას-სულაიილში, რიადის სამხრეთ-დასავლეთით. 2009 წელს ანალიტიკოსმა შონ ო'კონერმა გამოაქვეყნა ანგარიში, რომლის მიხედვითაც რიადს დამატებით კიდევ გააჩნდა რაკეტები რავდაჰში, ას-სულაიილის დასავლეთით 280 კმ-ში, ასევე ჩრდილო-დასავლეთით უდაბნოში. 2013 წელს იმავე ანალიტიკოსის ახალი ანგარიშის მიხედვით, al-Watah-ში ახალი სარაკეტო ბაზა იქნა შემჩნეული. თუმცა ო'კონერის ანგარიშში მოყვანილი ფაქტები ოფიციალურად არ იქნა დადასტურებული.

სარაკეტო გარიგება პრინც ბანდარ ბინ სულტანის მიერ მოეწყო და დიდი ხმაურიც გამოიწვია ამერიკა-საუდის ურთიერთობებში, როდესაც ამერიკის დაზვერვის სამსახურმა საუდის არაბეთის უდაბნოში გამაგრებული სარაკეტო სილოსის ორმოები აღმოაჩინა. ბანდარმა მაშინ მოახერხა ვაშინგტონის დარწმუნება, რომ რაკეტები არ იყვნენ აღჭურვილნი ბირთვული ქობინებით.

უსაფრთხოების საკითხების ანალიტიკოსების მოსაზრებით, DF-3 რაკეტები საუდის არაბეთსა და პაკისტანს შორის დადებული ფარული შეთანხმების ნაწილს წარმოადგენს, რომელიც სამომავლო/შესაძლო კრიზისის ან კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში რაკეტებისთვის ისლამაბადის ბირთვული ქობინების გაზიარებასაც გულისხმობს.

რაკეტების გასაჯაროებას წინ უძღოდა საუდელი თავდაცვის მაღალჩინოსნების ვიზიტი ჩინეთში. ამერიკელი ოფიციალური პირების განცხადებით, თებერვალში საუდის არაბეთის თავდაცვის მინისტრი და ტახტის მემკვიდრე პრინცი სალმან ბინ აბდულაზიზ ალ-საუდი ვიზიტით იმყოფებოდა პაკისტანშიც. ერთ-ერთი ვერსიით, ვიზიტის მიზანი ჩინურ-პაკისტანური საბრძოლო თვითმფრინავების JF-17-ის და ალ-ხალიდის ტანკების MBT_2000 შეძენა იყო.

Newsweek -ის ცნობით, ჩინეთმა საუდის არაბეთს საიდუმლოდ კიდევ უფრო მოწინავე საშუალო რადიუსის რაკეტები DF-21-ც მიაწოდა. ეს უკანასკნელი სატელიტებისა და ზღვაში თვითმფირნავების გადამზიდების გასანადგურებლად გამოიყენება.

თუმცა ამჯერად აღლუმზე DF-21 არ გამოჩენილა.

საფრთხეები

ამ მანევრირებებით მოხდა ხაზგასმა იმისა, რომ სამეფო მზადაა და შესწევს უნარი რეაგირება მოახდინოს ნებისმიერ გამოწვევაზე, თუკი მის ეროვნულ უსაფრთხოებას ან სტაბილურობას გარშემომყოფი ქვეყნებიდან საფრთხე დაემუქრება. არაბულ სამყაროში საუდის არაბეთის ეროვნულ უსაფრთხოებას შესაძლოა რამდენიმე ფრონტზე დაემუქროს საფრთხე: სირია, ერაყი, ბაჰრეინი ან იემენი.

სირიაში, „ერაყისა და ალ-შამის (სირიის) ისლამური სახელმწიფო“ (the Islamic State of Iraq and al-Sham (**ISIS**)) წარმოადგენს პოტენციურ საფრთხეს. ეს დაჯგუფება რამდენიმე ათას წევრს მოიცავს და შედგება საუდელებისა და ე.წ. „ემიგრანტებისგან“ სხვადასხვა ქვეყნებიდან. სირიასა და ერაყში ISIS-ზე ზეწოლამ და გარემოცვამ შესაძლოა მისი მებრძოლების გადასროლა გამოიწვიოს ჩრდილოეთით თურქეთისკენ ან სამხრეთით საუდის არაბეთის მიმართლებით. მოუგვარებელ პრობლემად რჩება სირიის რეჟიმი.

ცალკე საფრთხეა შიიტური შეიარაღებული ფორმირებები სამხრეთ ერაყში, რომელიც კიდევ უფრო გაიზრდება ერაყის სამოქალაქო ომში გადასვლის და თეირანსა და რიადს შორის დაძაბულობის მოუგვარებლობის შემთხვევებში. გავრცელდა რამდენიმე ვიდეო, სადაც ნაჩვენებია თუ როგორ წვავენ ISIS-ის წევრები და მებრძოლები თავიანთ პასპორტებს. მათ შორის არიან იორდანიისა და საუდის არაბეთის მოქალაქეები, რომლებიც ღიად აფიქსირებენ თავიანთ ენთუზიაზმს, ერთ დღესაც საუდის არაბეთში, იორდანიაში ან რომელიმე სხვა ტერიტორიაზე იბრძოლონ. იყო ასევე მუქარები საუდის არაბეთისა და ქუვეითის მისამართით ე.წ. მუხთარის არმიის მხრიდან, რომელიც ერაყში, ჰიზბალაჰთანაცაა დაკავშირებული.

ISIS-სა და შიიტური შეიარაღებული ფორმირებებისგან მომდინარე საფრთხე კიდევ უფრო გაიზრდება თუკი ერაყში პოლიტიკური პროცესები საუდის არაბეთისთვის წარუმატებლად წარიმართება და არჩევნებში ისლამური და'ვას პარტია (the Islamic Dawa Party; არაბ: حزب الدعوة الإسلامية) გაიმარჯვებს, მოქმედი პრემიერის, ნური ალ-მალიქის მეთაურობით. მარტში ალ-მალიქიმ საუდის არაბეთი, კატართან ერთად ერაყში დესტაბილიზაციის მცდელობასა და შეიარაღებული მებრძოლების მხარდაჭერაში საჯაროდ დაადანაშაულა. ამ პარტიის გამარჯვებამ შეიძლება ქურთებს საშუალება მისცეს გამოყოფასთან დაკავშირებით თავიანთი მუქარა განახორციელონ და ერაყის შიიტურ პოლიტიკურ ძალა სამხრეთისკენ გადასწიოს. ამ შემთხვევაში საუდის არაბეთის უსაფრთხოებას სერიოზული საფრთხე დაემუქრება ჩრდილოეთით, ერაყის 1 000 კმ (621 მილი) საზღვართან.

იემენში ალ-ქაიდა აქტიურად მიანიშნებს, რომ იგი იემენის ხელისუფლებასთან და შესაძლოა საუდის არაბეთთან წინააღმდეგობის ახალ ფაზაში გადავიდეს. საბრძოლო თვალსაზრისით კიდევ უფრო გააქტიურდნენ ჰუთიები (The Houthis; არაბ: الحوثيون) ჩრდილოეთ იემენში. ეს კიდევ ერთი მზარდი საფრთხეა საუდის არაბეთისთვის, განსაკუთრებით თუკი ეროვნული დიალოგი ჩაიშლება ერთის მხრივ ალ-ქაიდას გაფართოების, და მეორეს მხრივ ჰუთიების გავლენის ზრდის ფონზე. მიმდინარე წლის მარტში საუდის არაბეთმა ჰუთიები, კიდევ 4 დაჯგუფებასთან („ძმები მუსლიმები“, „საუდის

(ჰიჯაზის) ჰიზბალაჰი“, „ერაყის და ლევანტის ისლამური სახელმწიფო“, „ჯაბჰათ ან-ნუსრა“) ერთად, ტერორისტული ორგანიზაციების სიაში შეიყვანა და თავის მოქალაქეებს მათთან თანამშრომლობა ან მხარდაჭერა კანონით აუკრძალა.

გარდა ჩამოთვლილი საშიშროებებისა საუდის არაბეთისთვის არანაკლებ სახიფათოა კიბერომი. სამხედრო წვრთნები რადიოელექტრონული ომის სწავლებასაც მოიცავდა. კიბერთავდასხმა შესაძლოა განხორციელდეს ბაკნებზე ან აეროპორტებზე. მითუმეტეს თუ გავითავლისწინებთ საუდის არაბეთის კიბერ ინფრასტრუქტურას, რომელიც კვლავ სუსტია და მაღალი რისკის მატარებელია.

2012 წელს მომხდარმა კიბერთავდასხმამ არამკოს ნავთობკომპანიაზე (Aramco) ნათლად აჩვენა, თუ რამდენად ადვილად მოხდა საუდის არაბეთის ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპანიის საიტის გატეხვა. შეტევამ, რომლის სამიზნე 30.000 კომპიუტერი იყო, სერიოზული დანაკარგი მოუტანა კომპანიას. ყოფილი ამერიკელი ჩინოვნიკების აზრით, ამ შეტევის უკან შესაძლოა ირანი იდგა. ირანის შესაძლებლობები კიბერსამყაროში სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს სპარსეთის ყურის ქვეყნებისთვის, რომელთაც სუსტი ინფრასტრუქტურა გააჩნიათ ამ სფროში. ისრაელის ეროვნული უსაფრთხოების ინსტიტუტის მიერ აპრილში გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, ირანი თავისი კიბერ შესაძლებლობებით ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მოთამაშეა საერთოშორისო ასპარეზზე. თებერვალში ირანის სულიერმა ლიდერმა ალი ხამენეიმ ირანელ სტუდენტებს კიბერომისთვის მომზადებისკენ მოუწოდა.

საუდის არაბეთი კი მხოლოდ ბოლო ხანს დაინტერესდა ომის ამ სახეობით. გაზეთ Al-Arab-ის ცნობით, საუდის არაბეთის თავდაცვის სამინისტრო ელექტრონული ომის ინსტიტუტის შექმნას გეგმავს. სავარაუდოდ იგი ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონში განთავსდება, სადაც ასევე მნიშვნელოვანი ნავთობ დანადგარები მდებარეობს.

ერთ-ერთი მოსაზრებით, „არაბული გაზაფხულის“ თანმდევი შედეგების თავიდან ასაცილებლად საუდის არაბეთი უფრო მეტად ორიენტირებული იყო შიდა უსაფრთხოებაზე/“თავდაცვიანობაზე“, ეხლა კი შესაძლოა გადაინაცვლოს უფრო მეტად საგარეო „მილიტარიზაციაზე“. საუდის არაბეთმა სამხედრო ხარჯები 67 მილიარდ დოლარამდე გაზარდა, რაც სამეფოს მსოფლიოში მეოთხე ადგილზე აყენებეს, აშშ-ის, ჩინეთისა და რუსეთის შემდეგ.

მიუხედავად საუდის არაბეთის ამერიკაზე დამოკიდებულებისა, სამხედრო შეიარაღებისა და სწავლებების მხრივ, აღნიშნული წვრთნები კონკრეტულ მესიჯს ატარებდა. მიუხედავად ამ ორი ქვეყნის თავდაცვითი ურთიერთობებისა, რიადს არ სურს რეგიონში ამერიკის პრიორიტეტების მთლიანად დაქვემდებარებულ მდგომარეობაში იყოს. საუდელების მცდელობა, გააუმჯობესონ თავიანთი სამხედრო პოტენციალი კიდევ ერთი მანიშნებელია იმის, რომ რიადი ცდილობს თავისი საკუთარი კურსი გაატაროს, რამდენადაც ამერიკა რეგიონში მისი როლის გადაფასებას ახდენს.

გზავნილები

სამხედრო აღლუმზე ბალისტიკური რაკეტის CSS-2-ის ჩვენებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ანალიტიკოსების შეფასებით, ეს იყო ძალის დემონსტრირება და მესიჯების გაგზავნა ირანისა და ამერიკისთვის, რომლის მიხედვითაც საუდის არაბეთს და მის მოკავშირეებს შეუძლიათ საკუთარი თავის დაცვა, რეგიონული კრიზისის დროს. ამასთან, ღონისძიება მკაფიოდ მიანიშნებდა სამეფოს ჩინეთთან და პაკისტანთან ურთიერთობებზეც.

ერთ-ერთი ადრესატი ამერიკაა, ვისთვისაც საუდის არაბეთმა მესიჯი გააგზავნა. გასულ თვეს ობამას ვიზიტმა რიადში, როგორც ჩანს მეფე აბდულა და მისი მრჩევლები არც ისე კმაყოფილები დატოვა. მოგვიანებით კი ისრაელ-პალესტინის სამშვიდობო მოლაპარაკებების ჩავარდნამ საუდელები დააეჭვა იმ ფაქტში, რომ ამერიკა ნამდვილად შეძლებს რეგიონის პრობლემებს ეფექტურად მოგვარებას. ორი ჩინური DF-3 რაკეტის გასაჯაროება ერთგვარად სამეფოს აშშ-გან დისტანცირების ნიშნად იქნა აღქმული.

საუდის არაბეთის მხრიდან ამერიკასთან მეგობრული ურთიერთობების შეზღუდვის ნიშნად ზოგიერთმა ამერიკელმა მაღალჩინოსანმა აპრილში დაზვერვის სამსახურის უფროსის, პრინც ბანდარ ბინ სულტანის გადაყენებაც მიიჩნიეს. ბანდარი, რომელიც საუდის არაბეთის ყოფილი ელჩია აშშ-ში, ერთ-ერთ ყველაზე პრო-ამერიკელ საუდელ მაღალჩინოსნად ითვლება რიადში.

ახლო აღმოსავლეთის საინფორმაციო საშუალებების ცნობით, სწორედ ბანდარი ხელმძღვანელობდა საუდის არაბეთის მიერ სირიელი ამბოხებულების ფინანსური და სამხედრო დახმარების გაწევას, ბაშარ ასადის რეჟიმის გადასაყენებელად. ბანდარი დაზვერვის სამსახურს 2012 წლიდან ხელმძღვანელობდა.

თეირანთან ერთად, ამ წვრთნებით გზავნილი განსაზღვრული იყო ბაღდადისთვისაც. საუდელები ამ ორ შიიტებით დომინირებულ სახელმწიფოს განიხილავენ, როგორც ეგზისტენციალურ საგარეო საფრთხეს სამეფოსთვის. გასათვალისწინებელია საუდის უშიშროების ყოფილი ხელმძღვანელის პრინც თურქი ბინ ფაისალის[47] განცხადება - გაფრთხილება, ირანის მიერ ბირთვული იარაღის ფლობის შემთხვევაში, სამეფოს მიერ საკუთარი ბირთვული აღჭურვილობის შეძენის თაობაზე. თურქი ერთ-ერთი მთავარი მოქმედი ფიგურა იყო საუდი-პაკისტანის ალიანსისა 1970-80-იან წლებში, ამიტომ მისი განცხადება ერთგვარ მინიშნებასაც ჰგავდა.

ზოგიერთი გამოთქმული მოსაზრებით, ამ წვრთნებით მესიჯები გაეგზავნათ ბრიტანეთსა და საფრანგეთსაც. მიმდინარე წლებში საუდის არაბეთის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სამხედრო შეთანხმების მიხედვით საუდელებმა 72 ბრიტანული თვითმფრინავი **Typhoon** შეიძინეს 4.4 მლრდ გირვანქა სტერლინგად (7.537 მლრდ დოლარი). იმავე დროს ბრიტანეთის სამეფო საინტერესო თამაშს თამაშობს კატართან, რაც საუდის არაბეთისთვის არასასიამოვნო ფაქტს წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად კატარი დიდი ბრიტანეთისთვის ბუნებრივი აირის მთავარ წყაროს წარმოადგენს. ემირ თამიმის ცნობით, ლონდონში ახალი სატელევიზიო ქსელი Al-Arabi ან Al-Arabi Al-Jadid ამოქმედება იგეგეგმება, რომელიც al-Jazeera-ს ალტერნატივა იქნება. ამავე დროს ემირი აქტიურად ხვდება ბრიტანელ მაღალჩინოსნებს მუსლიმი ძმების აქტივობების საკითხთან დაკავშირებით. ნათელია, რომ საუდელები ბრიტანეთზე განაწყენებულნი არიან. თავის მხრივ იმედგაცრუებულია ლონდონიც, რამდენადაც ბოლო მიმდინარე სამხედრო გარიგება წარუმატებლად წარიმართა. ამის საპირისპიროდ ყურის ქვეყნებში გაიზარდა საფრანგეთის აქტივობა.

რაც შეეხება საფრანგეთს, იგი ცდილობს რაც შეიძლება მეტად დომინანტური გახდეს სპარსეთის ყურის რეგიონში. მისი სტრატეგიულო პოლიტიკა მოიცავს ფრანკოფონური აფრიკის, ახლო აღმოსავლეთ-ჩრდილოეთ აფრიკასა და სპარსეთის ყურის რეგიონს. განსაკუთრებით სწრაფად ავითარებს თავის ორმხრივ ურთიერთობებს ყურის სახელმწიფოებთან, თითქმის ყოველთვიურად იმართება თავდაცვის მაღალჩინოსნების ან

[47] ხელმძღვანელ პოსტს იკავებდა 1977-2001 წწ. შემდეგ იყო საუდის არაბეთის ელჩი დიდი ბრიტანეთში 2001-2005 წწ; 2005-2007 წწ. - ელჩი აშშ-ში.

თავდაცვის მინისტრის, ჟან-ივ ლე დრიანის ვიზიტი რეგიონში. საფრანგეთი აქტიურად აწარმოებს სამხედრო შეიარაღების გარიგებებს და სამომავლო კონტრაქტების დადებას ყურის სხვადასხვა ქვეყნებთან. ამიტომ საუდის არაბეთმა ჩატარებული წვრთნებით საფრანგეთს მიანიშნა, რომ მათი კარი ღიაა პარიზისთვის, თუმცა შეიძლება დაიკეტოს, გამომდინარე ამ უკანასკნელის ირანთან ურთიერთობიდან.

სამხედრო წვრთნებიდან 2 კვირაში საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, პრინცმა საუდ ალ-ფაისალმა მისი ირანელი კოლეგის რიადში მიპატიჟების შესახებ გააკეთა განცხადება. "ნებისმიერ დროს, როცა კი (ზაფირი) ისურვებს რომ მობრძანდეს, ჩვენ მზად ვართ მის მისაღებად. ირანი მეზობელ სახელმწიფოს წარმოადგენს. ჩვენ გვაქს მათთან ურთიერთობა და ამ ურთიერთობას გავაგრძელებთ. ჩვენ ვისაუბრებთ მათთან" - განაცხადა ალ-ფაისალმა. თუმცა მას კონკრეტული თარიღი არ დაუსახელებია. განცხადებას მალევე გამოეხმაურა ოფიციალური თეირანი. მუჰამედ ჯავად ზაფირის მოადგილის განცხადებით, არანაირი წერილობით მიწვევა საგარეო საქმეთა სამინისტროს ჯერ არ მიუღია. "თუმცა ორი მინისტრის შეხვედრის გეგმა დღის წესრიგშია. ჩვენ მივესალმებით მოლაპარაკებებსა და შეხვედრებს რეგიონული კონფლიქტების გადასაჭრელად, გაუგებრობების აღმოსაფხვრელად და ორმხრივი ურთიერთობების გასაღრმავებლად."

თუ რეალურად მოხერხდება ამ ვიზიტის განხორციელება, იგი იქნება პირველი ნაბიჯი ორი მოწინააღმდეგე მხარის მიერ გადადგმული, მთელი რიგი სადაო საკითხების განსახილველად.

გამოყენებული წყაროები:

http://news.yahoo.com/saudi-ends-largest-manuevers-history-195856778.html;_ylt=AwrBJSC2RGtTVWYANvPQtDMD
http://www.iimes.ru/?p=20841#more-20841
http://freebeacon.com/national-security/saudi-arabia-shows-off-chinese-missiles/
http://www.al-monitor.com/pulse/originals/2014/04/saudi-military-maneuvers-sign.html
http://rt.com/news/156144-saudiarabia-military-exercise-iran/
http://english.alarabiya.net/en/views/news/middle-east/2014/05/04/Saudi-Arabia-flashes-its-might-in-strategic-military-parade.html
http://www.al-monitor.com/pulse/ar/originals/2014/04/saudi-arabia-military-show-signal-washington-tehran.html
http://www.reuters.com/article/2014/03/09/us-iraq-saudi-qatar-idUSBREA2806S20140309
http://edition.cnn.com/2014/04/16/world/meast/saudi-prince/
http://www.presstv.ir/detail/2014/03/02/352938/ksa-buys-72-british-typhoon-jets/
http://www.worldtribune.com/2014/03/10/saudi-arabia-bans-muslim-brotherhood-lists-as-terrorist-organization/
http://missilethreat.com/missiles/df-3-3a-css-2/
http://www.nti.org/country-profiles/saudi-arabia/delivery-systems/
http://defence.pk/threads/saudi-arabia-largest-military-exercise-sword-of-abdullah.307828/page-15
http://www.reuters.com/article/2014/05/13/us-saudi-iran-idUSBREA4C0GU20140513
http://www.irdiplomacy.ir/en/page/1932811/Iran+No+Invitation+Received+for+Zarifrsquo%3Bs+Visit+to+Saudi+Arabia.html

სიმონ გურეშიძე

ისლამური სახელმწიფო
(ერაყი-სირია-ცენტრალური აზია-საქართველო)

ერაყის და ლევანტის ისლამური სახელმწიფო (არაბ: -_მის الدولة الإسلامية في العراق والشام), იგივე ერაყის და სირიის ისლამური სახელმწიფო, შემოკლებით ისლამური სახელმწიფო, არის ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც აკონტროლებს ერაყისა და სირიის გარკვეულ ნაწილს, შედარებით მცირე ტერიტორიებს კი ლიბიასა და ნიგერიაში. დაჯგუფება ასევე ოპერაციებს ატარებს ან გააჩნია თავის განშტოებები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის სამხრეთ აზიაშიც. 2014 წლის 29 ივნისს ორგანიზაციამ საკუთარი თავი გამოაცხადა ხალიფატად, აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი კი ხალიფად. ხალიფატის მიზანს წარმოადგენს დაამყაროს რელიგიური, პოლიტიკური და სამხედრო მმართველობა მთელი მსოფლიოს მუსლიმებზე.

„ისლამური სახელმწიფო“ წარმოიშვა 1999 წელს დაჯგუფება “ჯამაათ ალ-თავჰიდ ვა ალ-ჯიჰადის“ ბაზაზე, რომელიც თავის მხრივ, 2004 წელს დაკავშირებული იყო ალ-კაიდასთან. „ისლამური სახელმწიფო“ 2003 წელს აშშ-ს მიერ ერაყში განხორციელებული სამხედრო ოპერაციის დროს შეუერთდა ერაყის დაუმორჩილებლობის მოძრაობას. 2006 წლის იანვარში, მათ შეუერთდნენ სხვა სუნიტი აჯანყებულები და ჩამოაყალიბეს მოჯაჰედთა შურა (საბჭო), რომელმაც იმავე წლის ოქტომბერში გამოაცხადა ერაყის „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნა. ალ-ბაღდადის ხელმძღვანელობის პერიოდში, „ის“-მა 2011 წელს სირიის სამოქალაქო ომის დაწყებისთანავე გაგზავნა თავისი წევრები სირიაში. ეს დაჯგუფება ცნობილია „ნუსრას ფრონტის“ სახელით და ფართო კონტაქტები აქვს სუნიტური უმრავლესობით დასახლებულ ტერიტორიებზე სირიაში, რომელთა შორისაა არ-რაქქაჰის, იდლიბის, დეირ აზ-ზურესა და ალეპოს რაიონები. ისლამისტების დარტყმის ქვეშ ასევე აღმოჩნდა ერაყის მნიშვნელოვანი ქალაქები, მოსულისა და თიქრითის ჩათვლით. ადგილობრივები ვერ ახერხებდნენ საკუთარი ძალებით გამკლავებოდნენ რადიკალებს. დახმარებას ირანიდან ელოდნენ (ირანმა მზადყოფნა გამოთქვა დახმარებოდა ერთმორწმუნეებს ერაყის სახელმწიფოში). ასევე უნდა ითქვას ისიც, რომ ისლამისტებს სერიოზულ წინააღმდეგობას უწევენ ქურთები და ერაყის ქურთესტანის პრეზიდენტის დაქვემდებარებაში მყოფი შეიარაღებული ძალები „პეშმერგა“ (ქურთ. پێشمەرگە –„ის ვინც სიკვდილს წინააღმდეგ იბრძვის“).

2014 წლის 10 ივნისს სუნიტმა ”ის”-ის მებრძოლებმა აიღეს ქალაქ მოსულის დასავლეთ ნაწილი. სამ დღიანი მძიმე ბრძოლის შემდეგ „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო“-ს წევრებმა დაიკავეს აეროპორტი, ადგილობრივი სატელევიზიო სადგური და სამთავრობო შენობები. ასევე ციხეებიდან გაათავისუფლეს ათასამდე მსჯავრდებული. სუნიტური ტერორისტული დაჯგუფების ბოევიკებმა მეჩეთ ალ-ისრართან ახლოს დახვრიტეს 12 ღვთისმეტყველი-შაიხი. არაბული სატელევიზიო არხის „ალ-მაიდანის“ ინფორმაციით, ბოევიკები ასევე შეეცადნენ იერიში მიეტანათ ნავთობსადენზე. რომელიც მდებარეობს ქალაქ ბაიჯთან ახლოს სილაჰ ად-დინის პროვინციაში.

ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის პარალელურად გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ „ის“-ს რიგებში შესაძლოა იბრძოდნენ სუნიტი რადიკალები, რომელთა ნაწილიც იმავე დროს ბაასის პარტიის წევრიც იყო.

ბაასიზმის ისტორია 1943 წლიდან იწყება. მას საფუძვლად უდევს ანტიკოლონიალისტური და პანარაბისტული იდეები. სადამ ჰუსაინის მმართველობის

დამხობის შემდეგ ბაასისტებმა სცადეს თავიანთი იდეოლოგიის ფესვებთან დაბრუნება და საკუთარი ძალაუფლების აღდგენა სხვადასხვა. არაბული ელექტრონული გაზეთის „ალ-არაბია ნეტის“ თანახმად, სწორედ ისინი ეხმარებოდნენ „ისლამურ სახელმწიფოს“ ხალიფატად გამოცხადებამდე და 2014 წლის აპრილის დასაწყისში ერაყის ქალაქ თიქრითში (რომელიც სადამ ჰუსაინის მშობლიური მხარეა) გამართულ ბრძოლებში „ის“-ს მებრძოლთა მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ ბაასისტები შეადგენდნენ, კონკრეტულად კი ნაკშბანდიიას (ერთ-ერთი ტარიკატი-არაბ.طريقة - გზა, მიმართულება, ისლამის სუფიურ მიმდინარეობაში) ორდენის წარმომადგენლები. ნაკშბანდიელთა ეს დაჯგუფება ბაზირებულია ერაყის ქალაქ მოსულში და მისი ფორმირება მოხდა 2007 წელს სადამ ჰუსაინის ბაასის პარტიის ყოფილი წევრების მიერ. იდ ალ-ადჰას დღესასწაულზე შიიტებით დაკომპლექტებული ერაყის ახალი მთავრობის მიერ იდ ალ-ადჰას დღესასწაულზე სადამ ჰუსაინის სიკვდილით დასჯა პირდაპირ შეურაცხყოფად აღიქვეს უმცირესობაში დარჩენილმა სუნიტებმა. იზზატ იბრაჰიმ ალ-დოური, ჰუსაინის ყოფილი მოადგილე და ბაასის პარტიის თავმჯდომარე, ჰუსაინის სიკვდილით დასჯის შემდეგ შეუერთდა ამ დაჯგუფებას. აშშ-ის მიერ ერაყში სამხედრო ოპერაციის დაწყების შემდეგ ალ-დოური იმალებოდა და მასზე ჯილდო იყო დაწესებული 10 მილიონი დოლარის ოდენობით. გასული წლიდან კი ის ღიად გამოჩნდა და ხელმძღვანელობდა ნაკშბანდიელთა ოპერაციებს მოსულში. მათ გააჩნიათ დიდი გავლენა არა მარტო ერაყის შიგნით, არამედ თავად „ისლამურ სახელმწიფოზეც“. მათ რიგებში შედის ათასობით მებრძოლი, რომელთა დიდი ნაწილიც ერაყ-ამერიკის ომამდე იყვნენ ერყის არმიის წევრები. „ის“-ს მიერ ტალ-აფარის აღების დროს შეტევის მთავარ ძალას წარმოადგენდნენ ყოფილი ბაასისტები. თუმცა ბაასისტებისა და „ის“-ის ბოლომდე გაიგივება მაინც არ შეიძლება. „ის“-სა და ბაასისტებს შორის დაპირისპირების არაერთი მაგალითი არსებობს. ეს წინააღმდეგობები განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით - პიროვნული ანგარიშებით, რელიგიურ-პოლიტიკური ან ტომობრივი უთანხმოებებით. ერთი სიტყვით, ბაასისტთა ფაქტორი „ისლამურ სახელმწიფოში“ არ არის სტატიკური: უფრო მყიფე, არასტაბილური და ამორფულია. აბუ დაბის დელმას ინსტიტუტის მკვლევრის ჰასან ჰასანის თვალსაზრისითაც ეს კავშირი დროებითია რადგან ბაასისტთა იდეოლოგია უფრო მეტად ეფუძნება ნაციონალისტურ იდეებს და თანხვედრაში არ მოდის „ის“-ს მიზნებთან რაც თანამედროვე ხალიფატის შექმნას გულისხმობს.

თავის მხრივ, ბაასისტები ერთნაირად წარმოადგენენ ანტიქურთულ, ანტი-ირანულ და ანტიშიიტურ ძალას ერაყში. მათმა ოცდათხუთმეტწლიანმა მმართველობამ წარმოშვა ტომობრივი და ოჯახური გაერთიანებები, ასევე იდეოლოგიურად დამუშავებული ახალი თაობა რომელიც გარკვეულ დონეზე საერთო ენას პოულობს „ისლამურ სახელმწიფოსთან“.

ამ ვერსიას ამყარებს ბოლო დროს არაბულ და ინგლისურ პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომელიც ეყრდნობა გერმანული "შპიგელის" ჟურნალისტების მიერ მოპოვებულ მასალებს. 2014 წლის იანვარში, სირიის ჩრდილოეთ ნაწილში სირიელმა აჯანყებულებმა მოკლეს სამირ აბდ მუჰამმად ალ-ხილფავი იგივე ჰაჯი ბაქრი. იგი თავის დროზე იყო ერაყის სამხედრო საჰაერო ძალების დაზვერვის პოლკოვნიკი. "შპიგელის" ჟურნალისტებს ხელში ჩაუვარდათ მისი ჩანაწერები (31 გვერდი). ეს მასალები ინახებოდა ალეპოს ჩრდილოეთით ქალაქ ტელ-რიფატში მდებარე ერთ-ერთ სახლში, რომელშიც 2012 წელს დასახლდა ერაყიდან ჩასული ექს-პოლკოვნიკი. მის მიზანს წარმოადგენდა კონტროლი დაემყარებინა ჯერ აღნიშნულ ქალაქზე, და შემდეგ გაეფართოვებინა საკუთარი გავლენის არეალი, რათა შეექმნა პლაცდარმი შემდგომში ბაღდადზე გასალაშქრებლად. ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ ბაქრმა სირიაში ჩამოაყალიბა მომავალი ხალიფატის სტრუქტურის მონახაზი,

მას აღწერილი ჰქონდა ტერიტორიების დაპყრობის თანმიმდევრობა. ასევე ისლამისტური დაზვერვის ქსელის შექმნის დეტალებიც, რომელიც „შპიგელის“ თანახმად აღმოსავლეთ გერმანული „შტაზის“ ანალოგს წარმოადგენდა.

აშშ-ის მიერ ერაყში ოპერაციის დაწყებამდე სამირ ალ-ხილფავი სამხედრო საჰაერო ძალებში ხელმძღვანელობდა ახალი შეიარაღების ტექნოლოგიების განვითარებასა და სადაზვერვო საქმიანობას, ხოლო ერაყელი ჟურნალისტის ჰიშამ ალ-ჰიშამის განცხადებით: „იგი უფრო ნაციონალისტი იყო, ვიდრე ისლამისტი“. ბაასისტების მარცხის შემდეგ პოლკოვნიკი შეუერთდა ანტიამერიკულ დაუმორჩილებლობის მოძრაობას, მაგრამ მალე დააკავეს და მოხვდა ბუკკას საფილტრაციო ბანაკში. განთავისუფლების შემდეგ ის კიდევ რამდენჯერმე დააპატიმრეს, მაგრამ პარალელურად ახერხებდა აღზევებას ისლამისტური დაჯგუფებების იერარქიაში. 2006 წელს ბუკკაში კიდევ ერთხელ მოხვედრის შემდეგ იგი შეხვდა თავის მომავალ მოკავშირეებს აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის და აბუ მუსლიმ ალ-თურქმანის, ”The Soufan Group”-ის ცნობებზე დაყრდნობით (ნიუ იორკში დაარსებული კერძო ფირმა, რომელიც სხვადასხვა ცნობების თანახმად დაზვერვით საქმიანობასაც ეწევა), ალ-თურქმანი ბაასისტია, იგი ჰუსაინის არმიაში იყო სამხედრო დაზვერვის წევრი და სპეციალური ძალების მაღალჩინოსანი ოფიცერი. სწორედ ამ პერიოდიდან ალ-ხილფავი იქცა ჰაჯი ბაქრად.

როგორც ზემოთ აღინიშნა, „ისლამური სახელმწიფო“ შეიქმნა „ჯამაათ ალ-თავჰიდ ვა ალ-ჯიჰადის“ დაჯგუფების ბაზაზე, რომელსაც სათავეში ედგა იორდანელი რადიკალი აბუ მუსაბა აზ-ზარკავი, რომელმაც მანამდე ერაყის ჩრდილოეთში ჩამოაყალიბა ორგანიზაცია „ანსარ ალ-ისლამი“. აშშ-ის ჯარების ერაყში შესვლის შემდეგ დაჯგუფებამ სახელი გაითქვა შიიტურ მეჩეთებზე, სამთავრობო დაწესებულებებზე, სამოქალაქო პირებისა და სამხედროების შეკრების ადგილებზე მისი წევრი თვითმკვლელი ტერორისტების მიერ განხორციელებული თავდასხმებით. 2006 წელს ამერიკელების მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად ლიკვიდრებულ იქნა აზ-ზარკავი, რის შემდეგაც დაჯგუფებამ განიცადა ტრანსფორმაცია და საერთაშორისო მასშტაბით მოქმედი ისლამისტები ჩაანაცვლეს ადგილობრივი მებრძოლებით. ერაყელი რადიკალების მსხვილ დაჯგუფებას 2010 წელს სათავეში ჩაუდგა აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი, ხოლო ხელმძღვანელობა დაკომპლექტდა ერაყელი ყოფილი კადრის სამხედროებით. მათ შორის გავლენით სარგებლობდა ჰაჯი ბაქრი,. ყოფილი კოლეგების წრეში მოხვედრამ მას მას საშუალება მისცა საკუთარი კონტროლის ქვეშ მოექცია ისლამისტთა მიერ წარმოებული სამხედრო ოპერაციების ხელმძღვანელობა. მას ესმოდა, რომ ახალ დაჯგუფებას არ გააჩნდა საკმარისი ძალები ერაყის ხელისუფლებისა და კოალიციის ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად, ამიტომ მის მიერ შეთავაზებული გეგმის თანახმად თავმოყრა დაიწყეს სამოქალაქო ომით გახლეჩილ მეზობელ სირიაში. იქ უკვე პრეზიდენტ ასადის ძალებს დაკარგული ჰქონდათ კონტროლი ქვეყნის ჩრდილოეთ რეგიონებზე, ძალაუფლება მოექცა საქალაქო საბჭოებისა და აჯანყებული სამხედრო დაჯგუფებების ხელში. სწორედ ეს შანსი გამოიყენეს ექს-პოლკოვნიკმა და მისმა მომხრეებმა.

ბაქრის მიერ ტერიტორიების დაკავების შემუშავებული გეგმა შემდეგნაირად გამოიყურებოდა: შეგზავნილი ისლამისტები სირიის ქალაქებში ხსნიდნენ მისიონერულ ცენტრებს („დაუატა“), რომლებშიც კითხულობდნენ ლექციებს და ქადაგებებს სამაგალითო მუსლიმის ცხოვრების შესახებ. დამსწრეებს შორის ორგანიზატორები არჩევდნენ ერთ-ორ ადამიანს ყველა სოფლიდან ან პატარა ქალაქიდან და სთხოვდნენ მათ შეეგროვებინათ ინფორმაცია თავიანთი მეზობლების შესახებ. გაწეულმა სამუშაოებმა აბუ ბაქრს მისცა საშუალება ხელში ჩაეგდო საკმაოდ მდიდარი მონაცემთა ბაზა შეძლებული და გავლენიანი

ოჯახების, მათი შემოსავლის წყაროების შესახებ და სიები სხვადასხვა სახის რადიკალურ დაჯგუფებებზე. ჯაშუშებს სთხოვდნენ გამოევლინათ დამნაშავეები, სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები, მოღალატე მეუღლეები, რათა შემდგომში მოეხდინათ მათი დაშანტაჟება თავიანთი მიზნებისთვის. „ჩვენ დავნიშნავთ ყველაზე ჭკვიანებს შარიათის შეიხებად, ვასწავლით მათ და გავუშვებთ რეგიონებში“-წერდა მზვერავი, იქვე შენიშვნის სახით ჰქონდა მიწერილი, რომ საფარველის შექმნის მიზნით კარგი იქნებოდა, თუ ისლამისტები დაქორწინდებოდნენ გავლენიანი ოჯახების წევრ ქალიშვლიებზე. ბაქრის ინფორმატორები აგროვებდნენ ინფორმაციებს ქვეყანაში არსებული დემოგრაფიიული ვითარების, სოციალური კავშირების შესახებ და თუ რამდენად რელიგიური იყო ამა თუ იმ რეგიონის მოსახლეობა. განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ იმამების საქმიანობისადმი: თუ რამდენი შვილი ჰყავდა იმამს, რას ყვებოდა ქადაგების დროს, გახსნილი იყო თუ არა სუფიზმის იდეების მიმართ, რას ფიქრობდა ხელისუფლებაზე და ჯიჰადზე, რა სახსრებით ცხოვრობდა, ვინ უხდიდა ფულს და ვინ ნიშნავდა იმამად. ამ მონაცემებზე დაყრდნობით „ისლამური სახელმწიფო“ ადვილად პოულობდა სხვადასხვა თემების სუსტ წერტილებს, შესაბამისად მიმართავდა „გათიშე და იბატონეს“ ტაქტიკას და კონტროლს ამყარებდა ადგილობრივ მოსახლეობაზე. საწყის ეტაპზე უთანხმოების შემთხვევაში „ის“-ი თავს არიდებდა დაპირისპირებას ადგილობრივ მოსახლეობასთან და უკმაყოფილოებს უხმაუროდ, ცალ-ცალკე იშორებდნენ თავიდან.

რეგიონის შესახებ მონაცემთა შეგროვების შემდეგ, ერაყელმა ისლამისტებმა დაიწყეს სირიაში საწვრთნელი ბანაკების შექმნა. „შპიგელში“ აღნიშნულია, რომ სწორედ ამ მომენტში გამოჩნდა ბაქრის სტრატეგიული ტალანტი სრული მასშტაბით: ისლამისტებმა დაიწყეს ახალგაზრდა რადიკალების რეკრუტირება მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ესენი იყვნენ სტუდენტები საუდის არაბეთიდან, ოფისის მუშაკები თუნისიდან და ინტეგრაციის პროცესებით იმედგაცრუებული ახალგაზრდა მუსლიმები ევროპიდან. მომავალ ბოევიკებს არ გაჩნდათ არავითარი სამხედრო გამოცდილება, ისინი ამ ცოდნას იღებდნენ რუსეთის ძალოვნებთან ნაბრძოლი ჩრდილო კავკასიელებისა. 2012 წლის ბოლოს სირიაში შეიქმნა რამოდენიმე ასეთი ბანაკი, რომელთა მუშაობასაც მკაცრ კონტროლს უწევდნენ ყოფილი ერაყელი სამხედრო მოსამსახურეები. 2013 წლის შემოდგომაზე მხოლოდ ალეპოს მახლობელ პროვინციაში (რომელიც დაკონკრეტებული არ არის) ”ის”-ს წარმომადგენლებმა შეძლეს 2,6 ათასზე მეტი უცხოელი მებრძოლის რეკრუტირება-რომელთა შორისაც ჭარბობდნენ თუნისელები, საუდის არაბეთის მოქალაქეები, თურქები, ეგვიპტელები და ჩეჩნები. დამორჩილებული რეგიონებისთვის ბაქრს მოფიქრებული ჰქონდა ემირთა კონტროლის რთული სქემა, ეს ემირები იყვნენ პასუხისმგებლები მკვლელობებზე, ადამიანების გატაცებებზე, სნაიპერთა მოქმედებებზე, ბიუროკრატიაზე, კომუნიკაციებსა და უსაფრთხო კავშირგაბმულობისთვის საჭირო შიფრების შემუშავებაზე. მისი ჩანაფიქრი ითვალისწინებდა მრავალრიცხოვანი სადაზვერვო და ძალოვანი ქვეგანყოფილებების პარალელურ მოქმედებას, რომლებიც თავის მხრივ, ერთმანეთსაც უთვალთვალებდნენ. გამოცემაში აღნიშნულია ისიც, რომ ექს-პოლკოვნიკმა ეს ტაქტიკა თავისი ყოფილ ბელადს სადამ ჰუსეინს დაესესხა - სწორედ ჰუსეინმა შექმნა სახელმწიფო კონტროლის სისტემა, რომლის დროსაც არცერთი გენერალი არ იყო დარწმუნებული რომ მას არ უთვალთვალებდნენ.

ჰაჯი ბაქრის ჩანაწერებში ასევე აღმოჩნდა ინფორმაციები „ის“-სა და სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის ჯარებს შორის თანამშრომლობის შესახებ. 2014 წლის ზაფხულამდე სირიის სამთავრობო არმია აქტიურად ურთიერთობდა ისლამისტებთან, რადგან ამ უკანასკნელთა რიგებში შედიოდნენ სირიელებისთვის კარგად ნაცნობი ერაყელი ყოფილი კადრის

ოფიცრები. ათი წლის წინ სირიის არმია მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა ერაყის ჯარს ამერიკელების წინააღმდეგ ბრძოლაში, აღნიშნულ ეტაპზე კი მათ დაიწყეს თავიანთი ქმედებების კოორდინაცია სირიელი აჯანყებულების წინააღმდეგ: ისლამისტები არ ესხმოდნენ თავს სირიელ სამხედროებს, ხოლო სირიელები კი არ ბომბავდნენ „ის“-ს ბოევიკთა პოზიციებს.

სიტუაცია გასული წლის ზაფხულში შეიცვალა, მას შემდეგ, რაც ისლამისტებმა წარმატებით განახორციელეს თავიანთი ოპერაცია ერაყის ჩრდილოეთ და ცენტრალურ ნაწილში, ხელში ჩაიგდეს იარაღის დიდი საწყობები და გამოაცხადეს ხალიფატის დაარსება. ამის შემდეგ მათ აღარ სჭირდებოდათ სირიის არმიის დახმარება და 2014 წლის ივლისში ბოევიკებმა გაანადგურეს რაქქასთან დისლოცირებული 17-ე დივიზიის ბაზა, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ის ჯარისკაცები, რომელთან ერთადაც ცოტა ხნის წინ ერთად ებრძოდნენ სირიელ აჯანყებულებს.

დღევანდელი მდგომარეობით ისლამისტებმა 2015 წლის 15 მაისს ერაყის დასავლეთში აღებული აქვთ სამთავრობო ცენტრი ქალაქ რამადში. ერაყელი ოფიციალური პირების განცხადებით, ეს არის „ის“-ს ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამარჯვება მიმდინარე წლის განმავლობაში. ალ-ჯაზირას კორესპონდენტის უსამა უჰამმადის მიერ ბაღდადიდან მოწოდებული ცნობებით, სამთავრობო ძალები ავიაციის დახმარებით ცდილობდნენ დაკარგულ ტერიტორიაზე კონტროლის აღდგენას. მიუხედავად იმისა, რომ ბოევიკები მხოლოდ ქალაქის ცენტრს აკონტროლებდნენ, პროვინციის საბჭოს წევრის აბდ ალ-ლლაჰ ობეიდ ალ-ფაჰდავის შეფასებით, სიტუაცია საკმაოდ კრიტიკული იყო.

მიმდინარე პროცესების მიღმა ვერც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები დარჩება რადგან გასული წლის განმავლობაში „ისლამური სახელმწიფოს“ წევრებმა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მისამართით რამდენჯერმე გაავრცელეს ვიდეო მიმართვები, რომლებშიც ისინი პირობას დებენ, რომ გაათავისუფლებენ ჩეჩნეთსა და მთელ კავკასიას. „“ისლამური სახელმწიფო“ არსებობდა და იარსებებს და კვლავაც განაგრძობს გაფართოებას ალლაჰის ძალით. შენი ტახტი ირყევა, საფრთხე ემუქრება და მალე დაემხობა, როცა ჩვენ მოვწვდებით მას. ჩვენ ჩვენს გზას ვადგავართ ალლაჰის ნებით“, - ეწერა ერთ-ერთ მიმართვაში. ისლამისტი მებრძოლები ასევე ემუქრებიან სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადს. „ის“-ს უკმაყოფილება რუსეთის პრეზიდენტის მიმართ გამოწვეულია ორი გარემოებით: 1. მისი აქტიური დახმარება ასადის რეჟიმის მიმართ და 2. ჩეჩნეთსა და დაღესტანში ისლამისტების დევნა.

Human Rights Watch's-ის რუსეთის პროგრამის დირექტორი ტანია ლოკშინა ალ-ჯაზირასადმი მიცემულ ინტერვიუში აღნიშნავს: „ის“ რუსეთის ტერიტორიაზე აქტიურად ეწევა მებრძოლების რეკრუტირებას და მათი პოპულარობა იზრდება ჩრდილო კავკასიაში, რადგან ხალხის ნაწილი გარკვეულწილად იმედგაცრუებულია საერო ხელისუფლების მოქმედებით. მის მიერ მიწოდებული ცნობების თანახმად, ჩრდილო კავკასიიდან 700-მდე ადამიანი იბრძვის „ის“-ს რიგებში ერაყსა და სირიაში. ზემოთ ნახსენები Soufan Group-ის მონაცემების თანახმად კი ეს რიცხვი 2500-ს აღწევს.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ პოპულარობის ზრდის მაღალი ალბათობა არსებობს ცენტრალურ აზიაშიც. მიმდინარე წლის დასაწყისში ტაჯიკეთში „ის“-ს ბოევიკების მიერ გავრცელდა ვიდეო მიმართვა რომელშიც გაისმოდა მოწოდებები ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ჯიჰადის გამოცხადებაზე. ვიდეო დაგმო ტაჯიკეთის ისლამურმა ცენტრმა, თუმცა ეს ვიდეო არის ისლამისტების მხრიდან განხორციელებული მცდელობა იმისა, რომ შეიქმნან დასაყრდენი ფერღანის დაბლობში.

თავის დროზე ფერღანის დაბლობში გავრცელებული იყო ისლამის სუფიური მიმდინარეობა, მაგრამ საბჭოთა პერიოდის ათეისტურმა იდეოლოგიამ, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გარკვეული დროით გაჩენილმა სახელისუფლებო ვაკუუმმა ხელი შეუწყო ამ რეგიონში სალაფიზმის პოზიციების გაძლიერებას. გასული საუკუნის 90-იან წლებში ფერღანის დაბლობზე გამოჩნდნენ ისლამისტური დაჯგუფებები. ისლამისტთა რიგებში ასევე შედიოდნენ ტაჯიკეთის ისლამური აღორძინების პარტია, რომელიც ერთადერთი ლეგალური ისლამისტური პარტიაა ცენტრალურ აზიაში და უზბეკეთის ისლამური მოძრაობა. ეს დაჯგუფება კავშირში იყო ალ-კაიდასა და ტალიბანთან და მძიმე დანაკარგებიც განიცადა 2001 წელს ავღანეთში აშშ-ს ჯარების შესვლის დროს. გასული წლის დეკემბერში 50 ახალგაზრდა დააპატიმრეს ტაჯიკეთში, რომელთაც სურდათ „ის“-ს მებრძოლებთან შეერთება სირიაში. პარალელურად საბირის ჯამათმა, ისლამისტურმა დაჯგუფებამ, რომელიც შედგება ტაჯიკების, უზბეკებისა და ჩრდილო კავკასიელებისაგან, ფიცი დადეს „ის“-ს ერთგულებაზე. დაუზუსტებელი ინფორმაციით, „ის“-ს ზოგიერთი მეთაური წარმოშობით ყაზახია და ცენტრალური აზიიდან რეკრუტირებილი მებრძოლების რაოდენობა 500-დან 1000-კაცამდე მერყეობს. 2014 წლის სექტემბერში უზბეკეთის ისლამური მოძრაობის ლიდერმა უსმან ღაზიმ ფიცი დადო „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერის აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის მიმართ ერთგულებაზე. 28 აგვისტოს, უზბეკეთის დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნამდე რამდენიმე დღით ადრე, ქვეყნის დედაქალაქის ცენტრში გამოფენილი იყო „ის“-ს შავი დროშა. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მიმდინარე წლის მარტში უზბეკეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ მასშტაბური ანტიტერორისტული სპეცოპერაცია ჩაატარა ქვეყანაში უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით. რაც შეეხება თურქმენეთს, ბოლო მონაცემებით ქვეყნის შიგნით ჯერ-ჯერობით საგანგაშო სიტუაცია არ არის ისლამისტების გაძლიერებასთან დაკავშირებით, თუმცა გარკვეულ ექსცესებს ჰქონდა ადგილი ავღანეთ-თურქმენეთის საზღვარზე რაც დროულად იქნა აღკვეთილი და თურქმენეთის ხელისუფლება აქტიურად თანამშრომლობს აშშ-ს მხარესთან ტერორიზმთან ბრძოლაში. თუმცა, საბოლოოდ არც ის გარკვეულა აღნიშნული ინციდენტის დროს საზღვარზე „ის“-ს ბოევიკები იყვნენ თუ მოძრაობა ტალიბანის წევრები.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიმდინარე წლის დასაწყისში ვლადიმერ პუტინის სპეციალურმა წარმომადგენელმა ავღანეთის საკითხებში ზამირ ქაბულოვმა ვრცელი ინტერვიუ მისცა ინტერფაქსს. მისი განცხადების თანახმად, ავღანეთის ჩრდილოეთ ნაწილში შეიმჩნევა „ისლამურის სახელმწიფოს“ მებრძოლთა კონცენტრაცია, რომლებიც ემზადებიან რუსეთსა და ცენტრალურ აზიაზე თავდასხმისათვის. მისივე განმარტებით, ეს ინფორმაცია დიდი ხანია ცნობილია კრემლისთვის. მან ასევე დაამატა, რომ „ის“-ს ბოევიკთა შედინება ცენტრალურ აზიაში გარდაუვალია, რადგან მათ უკვე შექმნეს ორი პლაცდარმი: ერთი ტაჯიკეთის საზღვართან და მეორე კი - თურქმენეთის. ტაჯიკეთთან თავმოყრილია 4-5 ათასი მებრძოლი ხოლო თუქმენეთთან - 2500. „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა შექმნეს საწვრთნელი ბანაკები და ატარებენ ორთვიან მოსამზადებელ კურსებს. ყოველი კურსის დროს მომზადებას გადის 50 ბოევიკი. „ჩვენ ვიცით სამი ასეთი ბანაკის არსებობის შესახებ, შესაძლოა მეტიც იყოს და მხოლოდ სამი ბანაკის არსებობის შემთხვევაშიც კი ყოველ ორ თვეში 150 მომზადებული მებრძოლი გამოდის. ჩვენმა მოკავშირეებმა ამის შესახებ იციან ტაჯიკეთსა და უზბეკეთში. მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, რუსული მხარე არ აპირებს აქტიურად ჩაერთოს სამხედრო ოპერაციებში, მაგრამ დაეხმარება ადგილობრივ ხელისუფლებას საზღვრების გამაგრებაში. ჩვენ ასევე მუშაობა უნდა გავაძლიეროთ კავკასიაში და უნდა აღვკვეთოთ ბოევიკთა შემოდინება საქართველოდან, რაც უკვე

რამოდენიმეჯერ მოხდა“ - დაამატა მან. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რიგი ანალიტიკოსებისა და ექსპერტების მოსაზრებით, ქაბულოვის განცხადებები უტრირებულია, რადგან მიმდინარეობს აქტიური მოლაპარაკებები აშშ-სა და ტალიბანს შორის. „ისლამური სახელმწიფოს“ გაძლიერების აღკვეთის მიზნით ეს მოლაპარაკებები მაღალი ალბათობით დადებითად დასრულდება, ხოლო ტალიბანის პოზიციების გამყარება ავღანეთში შეამცირებს „ის“-ს გაძლიერებას ქვეყანაში, რადგან ამ ორი მოძრაობის იდეოლოგია მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან.

დამუშავებული ინფორმაციის გაანალიზების შემდეგ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ პროცესების მიღმა ვერც საქართველო დარჩება. ზემოთ მოყვანილი ინფორმაციის თანახმად, „ის“-სთვის ჩრდილო კავკასიაში პოზიციების გასამყარებლად საქართველო შესაძლოა აღქმული იქნას ხელსაყრელ პლაცდარმად. განსაკუთრებით იმის ფონზე, რომ ქვეყანას ჰყავს მუსლიმური აღმსარებლობის მოქალაქეები. „ისლამური სახელმწიფოს“ გააქტიურება უკვე თანდათან შესამჩნევი ხდება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს მოძრაობა ფლობს უზარმაზარ ფინანსებს და აქტიურად ეწევა ახალი მომხრეების გადაბირებას თითქმის მთელი მსოფლიოს მასშტაბით. აღნიშნული პრობლემა ბოლო პერიოდში საქართველოშიც დადგა. კერძოდ, საქართველოს მოქალაქე ისლამური აღმსარებლობის მქონე მოხალისეებმა დაიწყეს ისლამური სახელმწიფოს რიგებში ბრძოლა, მათ შორის რამოდენიმე არასრულწლოვანი ახალგაზრდაც მოხვდა.

საკითხის გაანალიზების შემდეგ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მძიმე სოციალური პირობების გარდა, ამ დაჯგუფებაში მოხალისეების საკუთარი სურვილით ან გადაბირების გზით გაწევრიანების მიზეზი არასათანადო განათლება და საკუთარი რელიგიის სრული უცოდინარობაა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მსგავსი პრობლემა ერაყის რეალობისთვისაც დამახასიათებელია. ბაღდადის უნივერსიტეტის ებრაული ენის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ადნან ჯასიმის მიერ მოწოდებული ცნობების თანახმად, „ის“-ს რიგებში წევრიანდებიან ის ახალგაზრდები, რომლებმაც არათუ ისლამი არ იციან სათანადოდ, არამედ გამართულად წერა-კითხვის უნარებსაც ვერ ფლობენ.

გამოყენებული წყაროები:

http://tvrain.ru/articles/spiegel_isis-386128/
http://english.alarabiya.net/en/views/news/middle-east/2015/04/18/The-erratic-ISIS-and-Baath-party-connection.html
http://www.spiegel.de/international/world/islamic-state-files-show-structure-of-islamist-terror-group-a-1029274.html
http://www.pbs.org/wgbh/pages/frontline/iraq-war-on-terror/rise-of-isis/how-saddams-former-soldiers-are-fueling-the-rise-of-isis/
http://www.businessinsider.com/saddam-husseins-old-party-is-behind-iraq-chaos-2014-6
http://www.dailymail.co.uk/news/article-2741979/This-message-addressed-oh-Putin-ISIS-threaten-Russia-ties-Syrias-Assad-promise-liberate-Chechnya-Caucasus.html
http://www.aljazeera.com/indepth/features/2014/12/russia-burgeoning-isil-problem-20141297415936963.html
http://thediplomat.com/2015/01/isis-looks-for-foothold-in-central-asia/

http://tonyblairfaithfoundation.org/religion-geopolitics/reports-analysis/report/isis-central-asia-growing-threat
http://www.russia-direct.org/analysis/central-asia-turning-russia-and-us-combat-isis
http://www.eurasianet.org/node/71531
http://www.aljazeera.com/news/2015/05/isil-seizes-main-government-compound-ramadi-150515123355079.html

სიმონ გურეშიძე

„ჰიზბალლაჰი“ და გლობალური ტერორიზმი

უკანასკნელ თვეებში ვაშინგტონის ახლო აღმოსავლეთის შემსწავლელი ინსტიტუტი კიდევ ერთხელ გამოეხმაურა ლიბანის „ჰიზბალლაჰისა“ და ისრაელის დაპირისპირების საკითხებს. მხარეებს შორის დაძაბულობამ 2008 წლის შემდეგ განსაკუთრებით იმატა, რადგან იმ დროს სირიის დედაქალაქ დამასკოში მოკლეს ჰიზბალლაჰის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი და ამ ორგანიზაციის ე. წ. საერთაშორისო ოპერაციების განყოფილების ხელმძღვანელი იმად მუღნია. მას არაერთ მასშტაბურ და სისხლიან ტერაქტში მიუღია მონაწილეობა 1976 წლიდან - მას შემდეგ, რაც იასერ არაფატისადმი დაქვემდებარებულ მებრძოლთა დაჯგუფებაში სნაიპერად მიიღეს. მუღნია იყო პასუხისმგებელი 1983 წელს ბეირუთში აშშ-ის საელჩოზე მიტანილ იერიშზე, რამაც 63 ადამიანი იმსხვერპლა. ლიბანურმა მხარემ მის მკვლელობაში ისრაელი დაადანაშაულა, მიუხედავად იმისა, რომ მათ ლიდერს ევროპიდან სამხრეთ ამერიკამდე არაერთ ტერორისტულ აქტთან ჰქონდა კავშირი და ისრაელის სპეცსამსახურების გარდა, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს და სხვა ქვეყნების შესაბამისი სტრუქტურების სამიზნეც იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ჰიზბალლაჰი ისრაელს ადანაშაულებდა, ამ ორგანიზაციას ეჭვი სირიულ მხარეზეც ჰქონდა. ეს ინფორმაცია ერთ-ერთმა არაბმა დიპლომატმა გაუმხილა თავის ამერიკელ კოლეგებს ბეირუთში. 2006 წელს ლიბან-ისრაელის ომის დროს სირიამ ჰიზბალლაჰს რუსული წარმოების თანამედროვე ტანკსაწინააღდეგო იარაღი გადასცა და იმად მუღნიასაც მისცა თავშესაფარი. მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ლიბანური მხარის ეჭვები არცთუ უსაფუძვლო იყო, რადგან გასული საუკუნის 80-იან წლებში იგი ძალიან დაუახლოვდა ირანის რევოლუციურ გვარდიას და 1987 წელს ბეირუთში სირიელ ჯარისკაცებზე თავდასხმის შემდეგ სასწრაფოდ გაიწვიეს თეირანში; მომდევნო წელს კი ოფიციალურმა დამასკომ მისი დაპატიმრების ბრძანება გასცა. საერთოდ ცნობილია, რომ სირიასა და ჰიზბალლაჰის ურთიერთობის ისტორია საკმაოდ უცნაურია. ეს ორი მხარე ხან უპირისპირდებოდა ერთმანეთს, ხან თანამშრომლობდა. იმად მუღნიას სიკვდილის შემდეგ არამარტო ლიბანურ მხარესთან, ირანთანაც კი დაეძაბა ურთიერთობა სირიას. 2011 წლიდან კი, რაც ასადის რეჟიმის წინააღმდეგ გამოსვლები დაიწყო, სამმხრივი კავშირი კვლავ აღსდგა.

მისი ლიკვიდაციის შემდეგ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოხდა რამდენიმე ტერაქტი რომლებსაც არაერთი ადამიანი ემსხვერპლა, რამდენიმე ოპერაციის აღკვეთა კი დროზე მოხერხდა. მუღნიას დაღუპვასთან მიმღვნილ სამგლოვიარო პროცესიაზე „ჰიზბალლაჰის“ ლიდერმა ჰასან ნასრალლაჰმა მისი მკვლელობა შეაფასა ისრაელის მხრიდან ღია ომის გამოცხადებად და განაცხადა: „თქვენ საზღვრებს გადახვედით მისი მოკვლით – სიონისტებო, თუ თქვენ გსურთ ასეთი სახის ღია ომი, მთელი მსოფლიოს გასაგონად ვამბობ: დაე იყოს ღია ომი“.

2008 წლიდან მოყოლებული სამი ტერაქტი აღიკვეთა თურქეთში, ორი კვიპროსში, ორი აზერბაიჯანში და ერთი საქართველოში. მკვლევართა და ექსპერტთა აზრით „ჰიზბალლაჰს“ შეუძლია დასავლეთის ქვეყნების მაგივრად ტერაქტები განახორციელოს ისეთ ქვეყნებში სადაც უსაფრთხოების საკითხები არ არის სათანადოდ დაცული და არსებობენ ამ დაჯგფების უჯრედები ან მხარდამჭერები (რომლებიც ეკუთვნიან პირადად მათ ან მათ ირანელ პატრონებს).

ირანსა და „ჰიზბალლაჰს“, გარდა მუღნიას მკვლელობისა, ტერაქტების საბაბად შესაძლოა ჰქონდეთ ატომურ პროგრამასთან დაკავშირებული ბირთვული ფიზიკის სპეციალისტების მკვლელობების გამო შურისძიების გრძნობა.

2012 წლის თებერვალში, მუღნიას მკვლელობიდან 4 წლის თავზე განხორციელდა ისრაელის საელჩოების წინააღმდეგ ტერაქტები ინდოეთში, ტაილანდსა და საქართველოში.

ინდოეთში, ქალაქ ნიუ დელიში აფეთქების შედეგად დაიჭრა დიპლომატიური კორპუსის წევრის ცოლი. ტაილანდსა და საქართველოში თავდასხმები დროზე აღკვეთეს. ისრაელმა ინდოეთსა და საქართველოში, მოგვიანებით კი ტაილანდში განხორციელებულ აქტებში დაადანაშაულა ირანი. მათ მომხდარი დაუკავშირეს სწორედ მუღნიას მკვლელობის 4 წლისთავს. ოდნავ მოგვიანებით ტაილანდის უსაფრთხოების სამსახურებმა განაცხადეს, რომ მათ აღმოაჩინეს „პირდაპირი კავშირი“ ინდოეთსა და საქართველოში ისრაელის დიპლომატებზე მომხდარ თავდასხმებს შორის, რომლებიც განახორციელა ირანულმა ტერორისტულმა დაჯგუფებამ. ირანი კი უარყოფდა თავის მონაწილეობას ისრაელის საელჩოებზე განხორციელებულ თავდასხმებზე ინდოეთში ქალაქ ნიუდელსა და საქართველოს დედაქალაქ თბილისში. თავდასხმა მკაცრად დაგმო ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმაც.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უმკაცრესად დაგმო დელიში ისრაელის დიპლომატების წინააღმდეგ განხორციელებული და საქართველოში არშემდგარი ტერაქტები. გაეროში ისრაელის ელჩმა ამ ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსა და გენმდივანს გაუგზავნა წერილი, რომელშიც იგი მოითხოვდა ორგანიზაციას გაეგზავნა მკაფიო მესიჯი ირანისათვის, რადგან მისი განცხადებით სწორედ ეს ქვეყანა იყო პასუხისმგებელი მომხდარზე. მან ასევე გაიხსენა წარუმატებელი ტერაქტი ტაილანდში, რომელიც მოხდა ინდოეთსა და საქართველოში განხორციელებული თავდასხმების მეორე დღეს.

ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურებმა შეშფოთება გამოხატეს მას შემდეგ, რაც (სავარაუდოდ ირანის მხრიდან) აღნიშნული ტერორისტული თავდასხმები მოხდა.

უშიშროების საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარემ, აშშ–ის წარმომადგენლობითი პალატის წევრმა, რესპუბლიკელმა კონგრესმენმა პიტერ კინგმა განაცხადა, რომ ირანსა და „ჰიზბალლაჰს“ შეიძლებოდა მოეწყო თავდასხმები შტატების ტერიტორიაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ მიიღო ორი მოხსენება სადაზვერვო სამსახურებიგან ირანიდან წამოსული შესაძლო საფრთხეების შესახებ. დაზვერვის მიერ წარდგენილი ანგარიშის ასლი მოიპოვა სააგენტო ასოშიეითედ პრესმა–რომელშიც მართლაც არის საუბარი შეერთებულ შტატებში ირანის მხრიდან წამოსულ შესაძლო საფრთხეებზე.

2012 წლის 31 ივლისს The Times of India–მ გამოაქვეყნა თებერვლის ტერაქტის საგამოძიებო მასალები, რომლის თანახმადაც მომხდარი ორგანიზებული იყო ირანის ისლამური რევოლუციის გვარდიის ელიტური სამხედრო ქვედანაყოფის წევრთა მიერ. დადგინდა, რომ ამ დანაყოფის წევრები ისრაელის დიპლომატების წინააღმდეგ ტერაქტებსს გეგმავდნენ ინდოელ ჟურნალისტ საიდ მუჰამმად აზმისთან ერთად 2011 წლის იანვარში; მას შემდეგ, რაც ირანელ ბირთვული ფიზიკის სპეციალისტებზე განხორციელდა თავდასხმები სავარაუდოდ ისრაელის მხრიდან. აზიმს ამ ხალხთან 10-წლიანი ურთიერთობა ჰქონდა და იგი მიმდინარე წლის მარტის თვეში დააპატიმრეს.

ინდოეთის ხელისუფლების მიერ გამოქვეყნებული ცნობების თანახმად, ტერაქტი ჩაიდინა ისლამური რევოლუციის გვარდიის ხუთმა წევრმა. ესენი იყვნენ ჰუშანგ ავშარ ირანი – რომელიც ოფიციალური დოკუმენტებით ირანში მუშაობდა მშენებლად, სადაგათ ზადე

მასუდი – რომელიც ამტკიცებდა, რომ იყო თეირანში არსებული კომერციული კომპანიის თანამშრომელი, სეიდ ალი მაჰდიანსადრი –მაღაზიის მფლობელი თეირანში, მუჰამედ რეზა აბულყასიმი – ირანის ხელისუფლების ერთერთი დაწესებულების ფინანსური დეპარტამენტის თანამშრომელი და ალი აქბარ ნაროუზი შაიანი – პენსიონერი ბუღალტერი.

სააგენტო ფრანს–პრესის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში ასევე ნათქვამია, რომ მარტის თვეში ამ 5 პირიდან 4 მათგანზე ინტერპოლმა დაპატიმრების ორდერები გასცა, თუმცა მათი ისლამური რევოლუციის გვარდიის წევრობა იმ დროისათვის არ სახელდებოდა.

გავრცელებული ცნობების თანახმად, რომელსაც ეყრდნობოდა გაზეთი, დელისა და ბანგკოკში, ტერაქტები (ასევე თბილისში არშემდგარი) ორგანიზებული იყო მასუდის მიერ. იგი თებერვალში დააპატიმრეს მალაიზიაში. გარდა ამისა, არსებობდა კიდევ ერთი ეჭვმიტანილი, ეს იყო ირანელი ლეილა როჰანი.

იმავე წლის ივლისში, ბულგარეთში ბურგასის აეროპორტში ააფეთქეს ავტობუსი, რის შედეგადაც დაიღუპა ისრაელის სამი მოქალაქე და დაშავდა 20–მდე ადამიანი. მომხდარი ბულგარეთის ხელისუფლებამაც დაადასტურა, თუმცა ადგილობრივი მასმედია გადმოსცემდა 5 ადამიანის დაღუპვის ფაქტს. ყურადღება მისაქცევია შემდეგ ფაქტზეც - ისრაელის ჩინოვნიკები ადრე აცხადებდნენ, რომ ბულგარეთში ძალზე ადვილად იყო შესაძლებელი მათი ქვეყნის მოქალაქეების წინააღმდეგ მსგავსი აქტების მოწყობა, რადგან ბოევიკებს შეეძლოთ ამ ქვეყანაში შეეღწიათ თურქეთიდან. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განაცახადა, რომ ისინი მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ისრაელთან და ბულგარეთთან, რათა გამოერკვიათ თუ ვინ იდგა ამ აფეთქებების უკან.

ისრაელის მხარემ მომხდარში ერთდროულად დაადანაშაულა ირანიც და ლიბანის ჰიზბალლაჰიც. თუმცა თეირანმა ეს ბრალდებები უარყო და ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა რამინ მეჰმანპარასთმა განაცხადა, რომ გმობენ ტერაქტებს.

მომხდარს მაშინაც გამოეხმაურა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის შემსწავლელი ვაშინგტონის ინსტიტუტი. სტატია სათაურით „ჰიზბ ალლაჰმა ჩაიდინა ეს?“ გამოაქვეყნა მეთიუ ლევიტმა, კონტრტერორიზმის და დაზვერვის პროგრამის დირექტორმა ვაშინგტონის ინსტიტუტში. ბურგასში მომხდარი ტერაქტი დაემთხვა ბუენოს აირესში არსებულ ებრაული კულტურის სახლზე მოწყობილი ტერაქტის 18 წლისთავს. 1994 წელს თავდასხმა განახორციელა ჰიზბალლაჰმა. ირანი აღშფოთებული იყო როდესაც ბუენოს აირესმა მხარი არ დაუჭირა მის ბირთვულ პროგრამას და იმავე დროს ეს ორგანიზაცია ცდილობდა 1994 წელს სამხრეთ ლიბანში ისრაელის მიერ დაკავებული მუსტაფა დირანის გამო ეძია შური. ანალოგიური ტერაქტი აღკვეთეს იმად მუღნიას მკვლელობის ოთხი წლისთავზე, როდესაც ისრაელის ტურისტებით სავსე ავტობუსებზე ასაფეთქებელი ნივთიერებები აღმოაჩინეს თურქეთსა და ბულგარეთში. ბურგასის თავდასხმა მოხდა რამდენიმე დღის შემდეგ რაც დააპატიმრეს ჰიზბალლაჰის ერთ–ერთი წევრი, რომელიც გეგმავდა ებრაელ ტურისტებზე ტერაქტის მოწყობას კვიპროსზე. კვიპროსის სცენარიც ძალზე ჰგავდა ბულგარეთისას. თავისთავად საინტერესოა ის ფაქტიც, რომ 2012 წელს ევროკავშირი, რომლის თავმჯდომარე ქვეყანაც იყო კვიპროსი, არ დაეთანხმა ისრაელის მოთხოვნას, რათა ტერორისტული ორგანიზაციების შავ სიაში შეეტანათ „ჰიზბალლაჰიც“. ასევე აღსანიშნავია ის ინფორმაციაც, რომ ბულგარეთში შესაძლოა ეს ორგანიზაცია ეყრდნობოდეს ნარკორეალიზატორთა ან სხვა ტიპის დანაშაულებრივ დაჯგუფებებს. 2008 წელს ამ ქვეყნის სამთავრობო კომისიამ დაასკვნა, რომ ბულგარეთში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვიდან მიღებული შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს იღებდა „ჰიზბალლაჰი“ და სხვა გასამხედროებულ ორგანიზაციები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ბოლო პერიოდში რადიკალური ისლამის მიმდევრების გააქტიურებამ ახლო აღმოსავლეთში, კონკრეტულად კი სირია-ერაყის საზღვარზე ჩამოყალიბებულმა „ისლამურმა ხალიფატმა“, საერთო დაძაბულობის ტემპერატურა კიდევ უფრო მაღალ ნიშნულამდე ასწია. სავარაუდოა, რომ რადიკალებს შორის გაჩნდეს თავისებური კონკურენცია და გავლენის სფეროების გადანაწილებაზე წინააღმდეგობები. თუ მსგავსი სცენარი მართლაც განვითარდა, შესაძლოა ყოველივე ამან დაპირისპირება გამოიწვიოს თავად ისლამისტებს შორის. ამ ეტაპზე ცნობილია, რომ ირანულმა მხარემ ჯიჰადისტების წინააღმდეგ სირიის პრეზიდენტს ცოცხალი ძალა მიახმარა. არ არის გამორიცხული დაპირისპირება ტერაქტების სახითაც გაგრძელდეს, რაც პირველ რიგში თავიანთი მოწინააღმდეგეების მომხრეთა დასაშინებლად, ლიდერების მოსაცილებლად და თუნდაც ერთმანეთის დისკრედიტაციისთვის და პროვოცირებისთვისაც განხორციელდეს.

გამოყენებული წყაროები:

http://www.almasryalyoum.com/node/963146
http://www.aljazeera.com/programmes/whatkilledarafat/2012/07/201273181058734888.html
http://www.jpost.com/MiddleEast/Article.aspx?id=276222
http://www.jpost.com/MiddleEast/Article.aspx?id=276147
http://www.jpost.com/MiddleEast/Article.aspx?id=232834
http://www.aljazeera.com/news/middleeast/2012/07/20127494953490367.html
http://www.jpost.com/MiddleEast/Article.aspx?id=276447
http://www.almasryalyoum.com/node/969606
http://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/israeli-national-security-strategy-in-the-expanded-coalition
http://aljazeera.net/news/pages/282e99aa-c448-4b59-87c9-4916ad84d289?GoogleStatID=1
http://www.aljazeera.com/news/middleeast/2012/07/20127165447227314.html
http://www.jpost.com/DiplomacyAndPolitics/Article.aspx?id=277640
http://www.reuters.com/article/2012/07/16/us-palestinians-israel-clinton-idUSBRE86F01820120716
http://www.aljazeera.net/news/pages/e2b44f7c-dd8b-4d67-a812-2b3ba4823bb4?GoogleStatID=9&fb_source=message
http://www.aljazeera.net/news/pages/5f824fe8-06a9-4cb2-ac92-52ec2a473ed1?GoogleStatID=1&fb_source=message
http://www.jpost.com/International/Article.aspx?id=279674
http://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/did-hezbollah-do-it
http://www.aljazeera.com/news/europe/2012/07/201272416465912630.html
http://www.aljazeera.net/news/pages/fbb1438b-9baf-45ef-9a26-69ae0a43d159?GoogleStatID=1
http://www.egyptindependent.com/news/gasco-no-plans-repairing-blown-pipeline
http://www.jpost.com/International/Article.aspx?id=258240
http://www.jpost.com/DiplomacyAndPolitics/Article.aspx?id=257646
http://www.aljazeera.net/news/pages/a615e623-ff46-4566-b324-72f703bad121
http://www.jpost.com/DiplomacyAndPolitics/Article.aspx?id=257646
http://www.jpost.com/DiplomacyAndPolitics/Article.aspx?id=259191
http://www.timesofisrael.com/barak-escapes-hezbollah-iranian-assassination-attempt/

http://www.aljazeera.net/news/pages/5d363315-8362-4c9f-85ad-f3f4784023a7
http://www.jpost.com/DiplomacyAndPolitics/Article.aspx?id=265788
http://www.jpost.com/International/Article.aspx?id=258240
http://www.jpost.com/DiplomacyAndPolitics/Article.aspx?id=259191
http://www.jpost.com/Defense/Attacks-target-Israeli-embassies-in-Georgia-India
http://www.jpost.com/Diplomacy-and-Politics/Georgia-uncertain-of-Irans-hand-in-terror-plot
http://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/imad-mughniyeh-and-hezbollahs-shadow-war-a-washington-institute-backgrounde

მარიამ გურეშიძე

ერაყი და „შავი ოქროსთვის“ მებრძოლი ქურთები

ერაყი ფლობს ნავთობისა და ბუნებრივი აირების უდიდეს მარაგს. არის ოპეკის წევრი. ქვეყნის ნავთობისა და ბუნებრივი აირების საბადოები გადაჭიმულია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით შუამდინარეთის დაბლობამდე და მიეკუთვნება სპარსეთის ყურის ნავთობისა და ბუნებრივი აირის აუზს. ქვეყანაში ასევე არის გოგირდის, თაბაშირის, ტალკის, აზბესტის, მარილის, თიხის, კირქვის, ტყვიის, თუთიის, სპილენძის, ნიკელის და სხვა მინერალების საბადოები.

ნავთობგადამამუშავებელმა მრეწველობამ განვითარება დაიწყო 1960-იანი წლებიდან. სახელმწიფოს ეკუთვნოდა ელ-დაურის (ბაღდადის მახლობლად), ბასრის, ალვანდეს, ელ-ჰადისის, მუფტიის, კაიარის, ქირქუქის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნები. 1972-მდე ნავთობის მოპოვებას თითქმის მთლიანად აწარმოებდა დიდი ბრიტანეთის, აშშ-ისა და საფრანგეთის სანავთობო კონსორციუმი „ირაკ პეტროლიუმ კომპანი“. ნავთობს იღებდნენ ქირქუქისა და ნაინავის მუჰაფაზებში ელ-ზუბაირში, ელ-რუმაილაში (ბასრის მახლობლად), ნაფთ-ხანეში (ირანის საზღვართან). იღებდნენ ბუნებრივ აირსაც. ელ-თაჯიში მუშაობდა თხევადი აირის ქარხანა. 1972 წლიდან დაიწყო გოგირდის დიდი საბადოს სამრეწველო დამუშავება მიშრაკში (მოსულის სამხრეთით), იღებდნენ ფოსფორიტებსაც.

2014 წლის 8 სექტემბერს გავრცელდა ინფორმაცია, რომ მექსიკის ყურეში, ტეხასის სანაპიროებთან, გაუჩინარდა ტანკერი, რომელიც დატვირთული იყო ერაყის ქურთისტანში მოპოვებული ნავთობით. ნავთობის რაოდენობა 100 მილიონ დოლარად იყო შეფასებული. ერთი თვით ადრე ერაყმა მიმართა ამერიკის სასამართლოს ტვირთის უკან დასაბრუნებლად (ოფიციალური ერაყი თვლიდა რომ ტვირთი მას ეკუთვნოდა), მაგრამ უარი მიიღო.

ტანკერი United Kalavrvta თურქეთის პორტიდან (ჯეიჰანიდან) გამოვიდა 2014 წლის ივნისში. ტეხასის ქალაქ გალვესტონში (შტატის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, გალვესტონის კუნძულზე, მექსიკის ყურის სანაპიროზე) იგი ივლისის ბოლოს ჩავიდა. მთელი თვე ტანკერი ელოდებოდა ტვირთის ჩამოტვირთის ბრძანებას. ბრძანების მიღების შემდეგ კი მოულოდნელად გაუჩინარდა აშშ-ის სახმელეთო დაცვის სამსახურის ეკრანებიდან. ქურთისტანის ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ტანკერის გაუჩინარებასთან დაკავშირებით კომენტარზე თავი შეიკავეს. ამერიკელები ვარაუდობენ, რომ ტანკერზე გამორთეს რადიოგადამცემი.

ოფიციალური ბაღდადი მიიჩნევს, რომ United Kalavrvta-ს ტვირთი კონტრაბანდულია. ერაყელებმა მიმართეს ამერიკის სასამართლოს მოთხოვნით, რომ ნავთობი მის კანონიერ მფლობელს დაბრუნებოდა, ანუ ერაყის ფედერალურ ხელისუფლებას, მაგრამ მიიღეს უარი, იმ მოსაზრებაზე დაყრდნობით, რომ გემი იმყოფებოდა სასამართლოს იურისდიქციის ზონის გარეთ. ტეხასის სანაპიროდან 100 კილომეტრში.

აღსანიშნავია, რომ ასევე United Kalavrvta-ს მსგავსად გაუჩინარდა ქურთისტანში მოპოვებული ნავთობით დატვრითული კიდევ ერთი ტანკერი Kamari. გაუჩინარება სინაის სანაპიროსთან მოხდა. ორი დღის შემდეგ გემი ისრაელის საზღვრიდან 30 კილომეტრში იპოვეს. დაცლილი ტრიუმებით.

ქურთული ავტონომიური რაიონი ერაყის შემადგენლობაში შედის, ერაყის მთავრობა თვლის, რომ ქურთული ნავთობის შესახებ არსებული ყველა მოლაპარაკება ბაღდადის მეშვეობით უნდა მოხდეს. ქურთული ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ბუნებრივ რესურსებზე

უფლებები ერაყის კონსტიტუციაში არის გაწერილი. ქურთები საკუთარი ნავთობის გაყიდვას ფედერალური ცენტრის გვერდის ავლით ცდილობენ. სანამ ერბილი თავად დაიწყებდა ნავთობის გაყიდვას, მანამდე შემოსავლების 17 პროცენტს იღებდა, ბაღდადი 83-ს.

ენერგეტიკის სპეციალისტების მონაცემებით, ჯერ კიდევ მაისიდან, პირველი ტანკერის გაგზავნის მომენტიდან, ქურთულმა ხელისუფლებამ რვა მილიონი ბარელის ნავთობი გაყიდა. ერაყის ქურთისტანის ნავთობის მარაგი 45 მილიარდ ბარელს შეადგენს. რაც შეეხება ბუნებრივ აირს, სპეციალისტების მტკიცებით, მისი მარაგი ავტონომიის ტერიტორიაზე დაახლოებით 6 ტრილიონი კუბური მეტრია. ქურთების ნავთობს „ქურთისტანის შამპანიურსაც“ კი უწოდებენ. ის არის უმაღლესი ხარისხის. ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები უპრობლემოდ იღებენ მას და „ოქროს“ უწოდებენ.

შავ ოქროზე უფლებების მოპოვება არ არის ერთადერთი პრობლემა რომელიც ბაღდადსა და ქურთულ ავტონომიას შორის არსებობს. ბაღდადის მოთხოვნა სრულიად ადეკვატურია. ქურთებმა ისარგებლეს მომენტით და დაიპყრეს სადავო ტერიტორიები. ერბილის კონტროლის ქვეშ მოექცა კირკუკისა და ბაი ჰასსანის საბადოები, რომლებზეც დღეში 45 ათასი ბარელი ნავთობის წარმოება შეიძლება.

ერაყის ხელისუფლება შიშობს, რომ სრული ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემთხვევაში, ერაყს ქურთისტანი პოლიტიკურადაც გამოეყოფა. ვერ მოხერხდა შეთანხმება, რომ ფედერალურმა ხელისუფლებამ დააფინანსოს ქურთული შეიარაღებული დაჯგუფება პეშმერგა. ქურთებმა, რომლებიც ფართო ავტონომიური უფლებებით სარგებლობენ, „ისლამური სახელმწიფოს“ გააქტიურებისთანავე დაიწყეს დამოუკიდებლობის შესახებ საუბარი. მას შემდეგ, რაც აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის მებრძოლებმა დაიპყრეს მოსული და სამხრეთისკენ გააქციეს ერაყის არმია, ერბილში კვლავ განახლდა რეფერენდუმზე საუბარი. რეფერენდუმის შედეგად უნდა მოხდეს ავტონომიის სტატუსის განსაზღვრა. ქურთისტანის პრეზიდენტს მასუდ ბარზანის არაერთხელ განუცხადებია, რომ ქურთი ხალხი თავად გადაწყვეტდა საკუთარ ბედს, და არ დაუმალავს, რომ ქურთები მზად იყვნენ არსებული შანსის გამოყენებისთვის.

ისლამისტებმა საკმაოდ მარტივად გატეხეს ერაყის არმიის მებრძოლი ნაწილებისა და პეშმერგას წინააღმდეგობა. შემდგომ აშშ-ის ავიაციის დახმარებით, რომელმაც დაბომბა ჯიჰადისტების პოზიციები, ქურთებმა ნელ-ნელა მოახერხეს დაკარგულ ქალაქებზე და სოფლებზე კონტროლის აღდგენა. ცნობილია რომ აშშ ქურთებს იარაღით ამარაგებს. ტერორისტულ დაჯგუფება „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს“ სურს ახლო აღმოსავლეთში შექმნას ხალიფატი - ისლამური თეოკრატიული სახელმწიფო. ისლამისტების დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა ქვეყნის მნიშვნელოვანი ქალაქები, მოსულისა და თიქრითის ჩათვლით. ერაყი ფაქტიურად სამ ნაწილად გაიყო: შიიტური სამხრეთი, სუნიტური ცენტრი და ქურთული ჩრდილოეთი. ადგილობრივები ვერ ახერხებენ საკუთარი ძალებით გაუმკლავდნენ რადიკალებს. დახმარებას ირანიდან ელიან (შიიტური სახელმწიფო მზად არის დაეხმაროს ერთმორწმუნეებს ერაყის სახელმწიფოში).

2014 წლის 10 ივნისს სუნიტმა ბოევიკებმა აიღეს ქალაქ მოსულის დასავლეთ ნაწილი. სამ დღიანი მძიმე ბრძოლის შემდეგ დაჯგუფება „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო“-ს წევრებმა კონტროლი დაამყარეს აეროპორტზე, ადგილობრივი სატელევიზიო სადგურსა და სამთავრობო შენობებზე. ასევე ციხეებიდან გაათავისუფლეს ათასამდე მსჯავრდებული.

სუნიტური ტერორისტული დაჯგუფების ბოევიკებმა მეჩეთ ალ-ისრართან ახლოს დახვრიტეს 12 ღვთისმეტყველი-შაიხი. არაბული სატელევიზიო არხის „ალ-მაიდანის“

ინფორმაციით, ბოევიკები ასევე შეეცადნენ იერიში მიეტანათ ნავთობის მილსადენზე. რომელიც მდებარეობს ქალაქ ბაიჯთან ახლოს სილაჰ ად-დინის პროვინციაში.

ერაყის ქურთისტანის ხელმძღვანელობის მონაცემებით, პეშმერგას ჯგუფები შედგება 12 ქვეითი ბატალიონისგან, თითოეულში სამიდან ხუთი ათასამდე მებრძოლია. აღსანიშნავია, რომ ამ რაოდენობის ქურთული ქვედანაყოფების მონაწილეობამ სუნიტურ-შიიტურ ომში შესაძლოა დიდი ზეგავლენა მოახდინოს ერაყის მომავალზე. მათ მომენტით ისარგებლეს და დაიკავეს კირკუკის მნიშვნელოვანი სანავთობო ცენტრი. საკუთარი ქმედება იმით გაამართლეს, რომ ბაღდადმა ვერ შეძლო მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა. მათ ასევე გადაინაცვლეს ქალაქ ჰავიჯაში და აიღეს რაბიუ-სირია-ერაყის საზღვართან მდებარე სტრატეგიული პუნქტი. ბაიჯის გათავისუფლებაში, სადაც მდებარეობს უმსხვილესი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, და თიქრითში (სადამ ჰუსაინის სამშობლოში) პეშმერგას დანაყოფები ხელისუფლების ჯართან ერთად მოქმედებდა. მოგვიანებით ქურთებმა ასევე შეძლეს კონტროლის დამყარება დიალის პროვინციაზე.

აღსანიშნავია რომ ერთი წლის წინ ამგვარივე ვითარება იყო მეზობელ სირიაში. სადაც დაახლოებით ორი მილიონი ქურთი ცხოვრობს. გასულ ზაფხულს მათ ისლამისტი რადიკალების წინააღმდეგ მობილიზაცია გამოაცხადეს. მხარი დაჭერა სირიის არაბული მოსახლეობისგანაც ჰქონდათ. მოიგერიეს „ჯებჰათ ან-ნუსრას“ და სხვა ტერორისტული დაჯგუფებები, ქურთებმა განაცხადეს ავტონომიის შექმნის შესახებ და მათ მიერ კონტროლირებად ქალაქებში აფრინში, ჯეზირეში და ქობანში სამი კანტონი შექმნეს. რომელსაც ხელმძღვანელობს ერთიანი საბჭო და რომლის შემადგენლობაშიც 40-ზე მეტი ორგანიზაცია შედის. ვარაუდობენ, რომ სირიის ქურთისტანში პირველად ჩატარდება არჩევნები და შეიქმნება პარლამენტი.

ისლამისტების გააქტიურებით ერაყში არსებული ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ამერიკის ადმინისტრაცია ეწინააღმდეგებოდა ავტონომიური ქურთისტანის შექმნას. თეთრ სახლში არ სურდათ თურქეთის, ერაყის, სირიის და ირანის პროვოცირება. ამ ქვეყნების ტერიტორიაზე 35 მილიონი ქურთი ცხოვრობს. ერაყში, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში მოქმედებს პოლიტიკური სისტემა, რომლის თანახმადაც შიიტები ირჩევენ მთავრობის მეთაურს, სუნიტები - პარლამენტის სპიკერს, ხოლო ქურთები - პრეზიდენტს. თუმცა ქურთებისთვის ეს არ არის საკმარისი. მათ ასევე სურთ ნავთობით ვაჭრობა, იარაღის ყიდვა და რეფერენდუმების ჩატარება სადავო ტერიტორიების მიერთებასთან დაკავშირებით.

დღესდღეობით ერაყელ ქურთებს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ყველანაირი პირობა გააჩნიათ: არმია, პოლიცია და დაზვერვა, აკონტროლებენ ირანთან და თურქეთთან საზღვრებს, აწარმოებენ შიდა პოლიტიკას და ვიზებს. თუ შეძლებენ დაჯგუფება „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს“ დამარცხებას, ოფიციალურ ერბილს შეუძლია განაცხადოს დამოუკიდებლობის შესახებ.

გამოყენებული წყაროები:

http://www.aljazeera.net/news/arabic/2014/6/11
http://lenta.ru/news/2014/06/14/iraq/
http://www.todayszaman.com/news-350050-us-condemns-mosul-attack-calls-iraq-situation-extremely-serious.html
http://www.almasryalyoum.com/news/details/464939
http://www.aljazeera.net/news/arabic/2014/6/16

http://www.todayszaman.com/latest-news_us-begins-direct-arms-shipments-to-kurdish-forces_355347.html
http://www.todayszaman.com/latest-news_kurds-use-well-oiled-lobbying-to-plead-for-help-in-washington_354850.html
http://www.todayszaman.com/latest-news_us-begins-direct-arms-shipments-to-kurdish-forces_355347.html
http://lenta.ru/articles/2014/09/05/kurdsoil/

თ ა რ გ მ ა ნ ი

რატომ უნდა იქონიოს ირანმა ბომბი
ბირთვული გაწონასწორება ნიშნავს სტაბილურობას*

კენეთ ნ. უოლცი (Kenneth Neal Waltz 1924-2013) - *თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი თეორეტიკოსი საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში. მეცნიერი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ნეორეალიზმს, რეალისტურ მიმდინარეობას ახალი სული შთაბერა და უდიდესი როლი შეასრულა საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის განვითარებაში. ის ხშირად საყოველთაო კრიტიკის, მწვავე განხილვისა და შემდგომი დებატების გამომწვევი ხდებოდა საკამათო მოსაზრებების გამო საერთაშორისო პოლიტიკის სხვადასხვა პრობლემებთან მიმართებაში. ამის დამადასტურებელია უოლცის ..საერთაშორისო პოლიტიკის თეორია" (1979), რომელიც ოცდათხუთმეტი წლის გასვლის შემდეგაც არ კარგავს აქტუალობას და რომელმაც ერთ-ერთი მთავარი ადგილი დაიკავა ამ მეცნიერების მორიგ ე.წ. ,,მესამე დებატებში." უოლცის კოლეგები, დარგის ასევე აღიარებული ავტორიტეტები მადლიერებითა და პატივისცემით აღნიშნავენ, რომ ,,ის იყო გულღია, პირდაპირი და განსხვავებით დღეს არსებული უამრავი სწავლულებისა, ჰქონდა საოცარი ალღო უმნიშვნელოვანესის გამოვლენისა. მას შეეძლო ძალიან ადვილად აღმოეჩინა არგუმენტთა უმრავლესობის ნაკლოვანება. ვერ ჰგუობდა უშინაარსო მაღალფარდოვნებას, მაგრამ ყოველთვის კეთილი, მზრუნველი და კონსტრუქციული იყო - მაშინაც კი, როდესაც შენ ნაშრომს კრიტიკის ქარცეცხლში გაატარებდა. მისთვის მთავარი იყო აზროვნება და დედაარსი და არა - ასაკი, ფორმალური პოზიცია, ან წოდება. უმცროს სწავლულებს ეპყრობოდა პატივისცემით, როგორც თანასწორებს და არა - ხელქვეითებს."[48] მეცნიერის მემკვიდრეობიდან ქართულ ენაზე თარგმნილია მისი ერთ-ერთი პირველი და მნიშვნელოვანი ნაშრომი ,,ადამიანი, სახელმწიფო და ომი."[49] აგრეთვე რამდენიმე ფრაგმენტი სხვადასხვა წიგნიდან. ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ აწ გარდაცვლილი სწავლულის უკანასკნელ სტატიას. ვფიქრობთ, მასში გამოთქმული მოსაზრებები და არგუმენტები - მიუხედავად იმისა გავიზიარებთ თუ არა მათ - საინტერესო და სასარგებლო იქნება საერთაშორისო პოლიტიკით დაინტერესებული აუდიტორიისთვის.*

ამერიკისა და ისრაელის ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ ბირთვული იარაღის მქონე ირანი განსაკუთრებით შემაძრწუნებელ პერსპექტივას, ეგზისტენციურ საფრთხესაც კი წარმოადგენს. თუმცა ბირთვული ირანი, ძალთა სათანადო დაბალანსებით, ახლო აღმოსავლეთში ამჟამად არსებულზე უფრო საიმედო სტაბილურობას შექმნიდა.

---

* სტატია თარგმნა და შენიშვნები დაურთო **თორნიკე სრესელმა.**

[48] Art, Robert and Jervis, Robert. "Kenneth Waltz and His Legacy: The Man and The State of War," *Foreign Affairs,* May 22, 2013; http://www.foreignaffairs.com/articles/139400/robert-art-and-robert-jervis/kenneth-waltz-and-his-legacy

[49] კენეთ ნ. უოლცი. *ადამიანი, სახელმწიფო და ომი,* გამომცემლობა ჯისიაი, 2003.

გასული რამდენიმე თვის განმავლობაში მომსწრენი გავხდით ცხარე კამათისა – როგორი საპასუხო ნაბიჯები იქნებოდა საუკეთესო ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის მხრივ ირანის ბირთვული აქტიურობაზე. სანამ ეს მწვავე პოლემიკა მიმდინარეობდა, შეერთებულმა შტატებმა კიდევ უფრო გაამკაცრა თავისი ისედაც ხისტი სანქციები ირანის ისლამური რესპუბლიკის მიმართ, ხოლო ევროკავშირმა იანვარში განაცხადა, რომ პირველი ივლისიდან ირანულ ნავთობზე ემბარგოს დააწესებს.[50] მიუხედავად იმისა, რომ შეერთებული შტატები, ევროკავშირი და ირანი, ცოტა ხნის წინ კვლავ დაუბრუნდნენ მოლაპარაკების მაგიდას, კრიზისის მძაფრი განცდა ამ პროცესს ჯერ კიდევ თან ახლავს.

სინამდვილეში ასეთი განცდა ნაკლებსაფუძვლიანია. ამერიკელ, ევროპელ, ისრაელელ პოლიტიკოსთა და კომენტატორთა უმრავლესობა გვაფრთხილებს, რომ თუ ამჟამინდელი ჩიხური მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი ბირთვული ბომბით შეირაღებული ირანი გახდება, ეს ყველაზე უარესი შედეგი იქნება. ფაქტობრივად კი ეს, ალბათ, საუკეთესო რეზულტატი იქნებოდა ახლო აღმოსავლეთში შესაძლო სტაბილურობის დასამყარებლად.

ძალა მოითხოვს გაწონასწორებას

ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული კრიზისის დასრულება სამი შედეგითაა შესაძლებელი. პირველი, მკაცრი სანქციებისა და დიპლომატიის ერთობლიობამ შესაძლოა ირანს ხელი ააღებინოს ბირთვული იარაღისკენ სწრაფვაზე. თუმცა, ასეთი შედეგი ნაკლებსავარაუდოა. ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ბირთვული იარაღის შექმნისადმი მიმართული ქვეყანა ძნელია გადაარწმუნო ასე არ მოიქცეს. ეკონომიკური სანქციებით სახელმწიფოს დასჯა მისი ბირთვული პროგრამის შეჩერების გარანტია ვერ იქნება. ავიღოთ ჩრდილოეთ კორეა, რომელმაც უამრავი სანქციისა თუ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების მიუხედავად, თავისი შეიარაღებული ძალების მშენებლობაში წარმატებას მიაღწია. თუ თეირანი უცილობლად მიიჩნევს, რომ მისი უსაფრთხოება ბირთვული იარაღის ფლობაზეა დამოკიდებული, ნაკლებსავარაუდოა მას სანქციებმა გადაწყვეტილება შეაცვლევინოს. ფაქტობრივად, ახლა მეტი სანქციების დაწესება ირანს თავს უფრო დაუცველად აგრძნობინებს და განუმტკიცებს რწმენას საკუთარი უსაფრთხოება ულტრაეფექტურ შემაკავებელ საშუალებაში ეძიოს.

მეორე სავარაუდო შედეგი იქნება ის, რომ ირანი ბირთვული იარაღის გამოცდისგან თავს შეიკავებს, მაგრამ შეინარჩუნებს გარღვევის შესაძლებლობას, ანუ პოტენციალს, შექმნას და გამოცადოს ეს იარაღი საკმაოდ მოულოდნელად. ასეთ შემთხვევაში, ირანი პირველი ქვეყანა არ აღმოჩნდება ვინც ბირთვული პროგრამა შეიმუშავა, მაგრამ ბომბი არ დაუმზადებია. მაგალითად იაპონია, სამოქალაქო დანიშნულების ვრცელ ბირთვულ ინფრასტრუქტურას ფლობს. ექსპერტები დარწმუნებულნი არიან, რომ ამ ქვეყანას – თუ მოინდომებს – უმოკლეს ვადებში შეუძლია ბირთვული იარაღის შექმნა.

---

[50] იხ. Council Regulation (EU) No 56/2012 of 23 January 2012 amending Regulation (EU) No 961/2010 on restrictive measures against Iran. Council Decision 2012/35/CFSP of 23 January 2012 amending Decision 2010/413/CFSP concerning restrictive measures against Iran; Official Journal of the European Union, L19, 24 January 2012, (EN).
http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=OJ:L:2012:019:TOC

ასეთი გარღვევის შესაძლებლობა, სავარაუდოდ, უპასუხებდა ირანის მმართველთა შიდა პოლიტიკურ აუცილებლობას დაერწმუნებინა ხისტი პოლიტიკის ადგილობრივი მომხრეები, რომ ქვეყანა ბირთვული ბომბის გარეშეც შეძლებს უსაფრთხოების არანაკლები ხარისხით სარგებლობას, თანაც ყოველგვარი უკუჩვენების გარეშე (საერთაშორისო იზოლაცია, დაგმობა). პრობლემა შემდეგშია – ასეთი გარღვევის შესაძლებლობა არ გამორიცხავს საშიშროებას, რომ იგი ჩანაფიქრის თანახმად ვერ ამოქმედდეს.

შეერთებული შტატები და მისი ევროპელი მოკავშირეები პირველ რიგში საკუთრივ ბირთვული იარაღის შექმნის პერსპექტივით არიან შეშფოთებულნი. ამიტომ, მათთვის შესაძლოა მისაღები იყოს სცენარი, რომლის მიხედვითაც ირანი იარაღის შექმნის ზღურბლზე შეჩერდება. თუმცა, ისრაელმა მკაფიოდ გამოხატა, რომ ირანის მიერ ურანის გამდიდრების ასე თუ ისე მნიშვნელოვანი მიღწევაც კი, მისთვის მიუღებელ მუქარას წარმოადგენს. ამგვარად, დიდი სახელმწიფოების მიერ კონტროლირებადმა ირანის ვალდებულებამ, შეჩერდეს ბომბის შექმნის ზღვარზე, შესაძლოა დააშოშმინოს ისინი, მაგრამ ისრაელს ეს ვერ დააკმაყოფილებს. ვირტუალური ბირთვული იარაღი მას ნაკლებად შეაშინებს, ვიდრე რეალური ბომბის არსებობა, ამიტომ ისრაელი, სავარაუდოდ გააგრძელებს თავის სარისკო მცდელობებს საბოტაჟითა და მკვლელობებით როგორმე ზიანი მიაყენოს ირანის ბირთვულ პროგრამას.[51] ეს კი თეირანს აფიქრებინებდა, რომ გადამწყვეტი ნაბიჯის გადაუდგმელობა არასაკმარისი შემაკავებელი ფაქტორია და მიიყვანს დასკვნამდე, რომ მხოლოდ ბომბის რეალურად შექმნა მოუტანს უსაფრთხოების საიმედო გარანტიას.

ამ ჩიხური სიტუაციიდან მესამე შესაძლო გამოსავალი იქნება, თუ ირანი გააგრძელებს ამჟამინდელ კურსს, დაუფარავად გამოცდის ბომბს და ბირთვული სახელმწიფო გახდება. ასეთ შედეგს შეერთებული შტატებისა და ისრაელის ოფიციალურმა პირებმა მიუღებელი უწოდეს, რადგან მათი მტკიცებით, როგორც უკვე ითქვა, ბირთვული ირანი ცალსახად შემაძრწუნებელი პერსპექტივაა, ეგზისტენციური საშიშროებაც კი. ასეთი ენით მსჯელობა დამახასიათებელია დიდი სახელმწიფოებისთვის, რომლებიც ჩვეულებრივ ყოველთვის გულისწყრომას გამოთქვამდნენ როცა სხვა ქვეყანა იწყებდა საკუთარი ბირთვული იარაღის შექმნაზე მუშაობას. მაგრამ დღემდე ასე ხდებოდა, რომ როგორც კი ახალი სახელმწიფო შეძლებდა ბირთვული კლუბისაკენ გზის გაკვალვას, ძველი წევრების ტონი იცვლებოდა და მომხდარს ეგუებოდნენ. ფაქტობრივად, სამხედრო ძალთა დისბალანსის შემცირებით, ახალ ბირთვულ სახელმწიფოებს, ზოგადად უფრო მეტი რეგიონული და საერთაშორისო სტაბილურობა მოაქვთ, ვიდრე პირიქით.

---

[51] მართლაც, ისრაელი უკიდურესი ყურადღებითა და მობილიზებით (სადაზვერვო, სამხედრო და ა.შ.) ადევნებს თვალს რეგიონის ქვეყნების მიერ ბირთვული იარაღის შექმნის შესაძლებლობებს. ასე მაგალითად, 2011 წლის 15 იანვარს ,,ნიუ-იორკ თაიმსი“ იუწყებოდა, რომ ირანის ბირთვული პროგრამის ჩასაშლელად, კიბერსივრცეში ახალი ვირუსი ,,სტაქსნეტი“ შეიქმნა, სავარაუდოდ როგორც ამერიკა-ისრაელის პროექტი. ირანის ცენტრიფუგები ხშირად ფუჭდება და ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მათ წინააღმდეგ კიბერშეტევა სწორედ ,,სტაქსნეტის“ მეშვეობით ხდება. თუმცა, არც შეერთებული შტატები და არც ისრაელი ამ საკითხთან დაკავშირებით ოფიციალურ კომენტარს არ აკეთებს.
იხ. Israeli Test on Worm Called Crucial in Iran Nuclear Delay
By WILLIAM J. BROAD, JOHN MARKOFF and DAVID E. SANGER; Published: January 15, 2011;
http://www.nytimes.com/2011/01/16/world/middleeast/16stuxnet.html?pagewanted=all&_r=0

აღსანიშნავია, რომ ისრაელის ბირთვული მონოპოლია რეგიონში ერთობ მყარი აღმოჩნდა და უკანასკნელი ოთხი ათწლეულის მანძილზე ახლო აღმოსავლეთში არასტაბილურობას უწყობდს ხელს.

მსოფლიოს არცერთ რეგიონში არ არსებობს ერთადერთი ბირთვული სახელმწიფო ანალოგიური საპირწონე რომ არ გააჩნდეს.[52] ამჟამინდელი კრიზისი სწორედაც რომ ისრაელის ბირთვული არსენალითა უფროა გამოწვეული, ვიდრე ირანის სურვილით იქონიოს ბირთვული იარაღი. ადრე თუ გვიან, ძალა უნდა დაბალანსდეს. საკვირველი მხოლოდ ისაა, რომ ისრაელის პოტენციური საპირწონეს გამოჩენას ამდენი დრო დასჭირდა.

რა თქმა უნდა, ძნელი მისახვედრი არაა რატომ სურს ისრაელს დარჩეს ერთადერთ ბირთვულ სახელმწიფოდ რეგიონში და მზადაა ძალა გამოიყენოს ამ სტატუსის შესანარჩუნებლად. 1981 წელს ისრაელმა დაბომბა ერაყი, რათა თავისი ბირთვული მონოპოლიისთვის საფრთხე აეცილებინა. იგივე მოიმოქმედა სირიის მიმართ 2007 წელს და ახლა ირანის წინააღმდეგაც იმავე სცენარს განიხილავს.[53] თუმცა მოქმედებები, რომლის საშუალებითაც ისრაელი მოკლევადიან პერსპექტივაში ინარჩუნებდა ბირთვულ უპირატესობას, ამავდროულად ახანგრძლივებდა არსებულ მყიფე დისბალანსს. ისრაელის მიერ დემონსტრირებული უნარი, დაუსჯელად მიაყენოს დარტყმები პოტენციურ ბირთვულ მოწინააღმდეგეებს, გარდაუვალი აუცილებლობით აიძულებდა მის მტრებს შეემუშავებინათ მსგავსი ქმედებებისგან ისრაელის შეკავების ხერხები. ამგვარად, არსებული დაძაბულობა სჯობს განვიხილოთ არა როგორც საწყისი სტადია შედარებით ბოლოდროინდელი ირანული ბირთვული კრიზისისა, არამედ როგორც ფინალური ფაზა რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მიმდინარე ბირთვული დისბალანსით გამოწვეული დაძაბულობის, რომელიც მხოლოდ სამხედრო ძალთა წონასწორობის აღდგენით დასრულდება.

---

[52] ცოტა ბუნდოვანია, რას გულისხმობს ავტორი ამჯერად სიტყვაში ,,რეგიონი.“ მაგ: ამერიკის ორივე კონტინენტზე აშშ ერთადერთი ბირთვული სახელმწიფოა.

[53] 1981 წლის 7 ივნისს ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების რვა თვითმფრინავისგან შემდგარმა ესკადრილიამ ერაყის ატომური რეაქტორი დაბომბა. ბაღდადის მახლობლად მდებარე ამ თითქოსდა ყოველი მხრიდან - მათ შორის ჰაერიდანაც - დაცულ ობიექტზე ისრაელის ესკადრილიამ 2 წუთის განმავლობაში 16 ტონა ბომბები ჩააგდო და უდანაკარგოდ დაბრუნდა თავის ავიაბაზაზე. რაიმე სერიოზული გართულება საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით, ან რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება ისრაელის ამ ოპერაციას არ მოჰყოლია.

2007 წლის 5 სექტემბერს, ღამით იგივე ბედი ეწია სირიის აღმოსავლეთ ნაწილში, ერაყის საზღვართან ახლოს, უდაბნოში მდებარე ატომურ რეაქტორს. ისრაელის სამხედრო ავიაციის F-15 ტიპის შვიდმა თვითმფრინავმა გამანადგურებელი სარაკეტო დარტყმებით მიწისაგან პირისა აღგავა სირიის ეს ზესაიდუმლო ობიექტი, რომლის ფუნქციონირებაში სხვადასხვა სახით ჩართულნი იყვნენ ირანი და ჩრდილოეთ კორეა. ინციდენტი გარკვეული ხნით გაუხმაურებელი რჩებოდა. სირიას მისი გამჟღავნება არ აწყობდა იმის გამო, რომ იგი მალავდა და შემდგომაც უარყოფდა ბირთვული იარაღის შექმნის მცდელობას, ხოლო ისრაელმა, გასაგები მიზეზების გამო ოფიციალურად არ დაადასტურა, რომ მისმა საჰაერო ძალებმა მეზობელი სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე ასეთი სამხედრო ოპერაცია ჩაატარა. მეტ-ნაკლებად სანდო და შემოწმებული ინფორმაცია მსოფლიო პრესის ფურცლებზე 2009 წლიდან გამოჩნდა.

უსაფუძვლო შიში

ერთ-ერთი მიზეზი ბირთვული ირანისგან მომდინარე საფრთხის მეტისმეტი გაზვიადებისა, არის ამ საკითხზე დებატების შეუსაბამო მღელვარებით დამახინჯება და საერთაშორისო სისტემაში ზოგადად სახელმწიფოთა ქცევის შესახებ წარმოდგენის სიღრმისეული გაუგებრობა. თავდაპირველი შეშფოთება – საიდანაც ბევრი სხვა გამომდინარეობს – არის შეხედულება, რომ ირანის რეჟიმი თავის არსით ირაციონალურია. მიუხედავად ამ ფართოდ გავრცელებული მოსაზრებისა, ირანის პოლიტიკას განსაზღვრავენ არა „უგუნური მოლები," არამედ სავსებით ჯანსაღად მოაზროვნე აიათოლები, რომლებიც ნებისმიერი სხვა ქვეყნის ლიდერთა მსგავსად თვითგადარჩენისთვის ზრუნავენ. მართალია, ირანის ლიდერები გამომწვევ და სიძულვილით აღსავსე რიტორიკას არ ერიდებიან, მაგრამ ისინი არავითარ შემთხვევაში თვითგანადგურებისკენ არ ისწრაფვიან. ამის საწინააღმდეგო შეხედულებით ხელმძღვანელობა სერიოზული შეცდომაა მათი მხრიდან ვინც შეერთებულ შტატებსა და ისრაელში პოლიტიკას ქმნის.

მაგრამ, ამ ორი ქვეყნის ბევრი ოფიციალური პირი და ანალიტიკოსი სწორედ ასე იქცევა. ირანის, როგორც ირაციონალური რეჟიმის წარმოჩენა, საშუალებას აძლევს მათ ამტკიცონ, რომ ამ ქვეყნის მიმართ ბირთვული შეკავების ლოგიკა გამოუსადეგარია. ისინი გვაფრთხილებენ, რომ თუ ირანს ექნება ბირთვული იარაღი, იგი უყოყმანოდ პირველი მიაყენებს ისრაელს დარტყმას, მაშინაც კი, თუ ეს გამოიწვევს საპასუხო მასირებულ შურისგებას და რისკს ირანის რეჟიმისთვის ყოველივე ძვირფასის განადგურებისა.

მიუხედავად იმისა, რომ არ შეიძლება დანამდვილებით ვიცოდეთ ირანის ზრახვები, უფრო სავარაუდოა – მას ბირთვული იარაღი საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სურდეს, ვიდრე თავისი შეტევითი შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად. ირანი შეიძლება ჯიუტობდეს მოლაპარაკებებისას და დემონსტრაციულად უგულებელყოფდეს კიდეც სანქციებს, მაგრამ ის კვლავინდებურად საკუთარი დაცულობის შესანარჩუნებლად ზრუნავს. ასე მაგალითად, მას შემდეგ რაც ევროკავშირმა იანვარში ნავთობზე შესაძლო ემბარგოს შესახებ განაცხადა,[54] ირანის თავკაცებს არ უცდიათ ჰორმუზის სრუტის გადაკეტვა, მიუხედავად ამის თაობაზე მათი არაერთგზის მრისხანე მუქარისა თეირანმა ნათლად გააცნობიერა, რომ არანაირად არ აწყობდა ასეთ ქმედებებზე ამერიკელთა სწრაფი და გამანადგურებელი პასუხის პროვოცირება.

---

[54] ამის თაობაზე უფრო დაწვრილებით იხ. Council Decision 2012/152/CFSP of 15 March 2012 amending Decision 2010/413/CFSP concerning restrictive measures against Iran; Official Journal of the European Union, L77, 16 March 2012, (EN).
Council Regulation (EU) No 267/2012 of 23 March 2012 concerning restrictive measures against Iran and repealing Regulation (EU) No 961/2010; OJ L88, 24 March 2012, (EN).
Council Implementing Regulation (EU) No 945/2012 of 15 October 2012 implementing Regulation (EU) No 267/2012 concerning restrictive measures against Iran; OJ L282, 16 October 2012, (EN).
Council Decision 2012/635/CFSP of 15 October 2012 amending Decision 2010/413/CFSP concerning restrictive measures against Iran; OJ L282, 16 October 2012, (EN).
http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=OJ:L:2012:077:TOC
http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=OJ:L:2012:088:TOC
http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=OJ:L:2012:282:TOC

და მაინც, ისლამური რეჟიმის რაციონალობის მაღიარებელი ზოგიერთი დამკვირვებელი და პოლიტიკოსიც კი შიშობს, რომ ბირთვული ფარით აღჭურვა სითამამეს შემატებს, უფრო აგრესიულს გახდის თეირანს და მეტად დაუჭერს მხარს ტერორიზმს. ზოგიერთი ანალიტიკოსი იმასაც კი შიშობს, რომ ირანი ბირთვულ იარაღს პირდაპირ მიაწოდებს ტერორისტებს. მაგრამ ასეთი შიშის უსაფუძვლობაზე ყველა სხვა ბირთვული სახელმწიფოს ქრონიკა მიუთითებს, მოყოლებული 1945 წლიდან. ისტორია გვიჩვენებს: როდესაც ქვეყნები ბომბს ეუფლებიან, საკუთარი მოწყვლადობის გრძნობა უძლიერდებათ და მწვავედ აცნობიერებენ, რომ ბირთვული იარაღი მათ დიდი სახელმწიფოების პოტენციურ სამიზნედ აქცევს. ამის შეგნება ბირთვულ სახელმწიფოებს მკვეთრი და აგრესიული ნაბიჯების ხალისს აკარგვინებს. მაგალითად, მაოისტური ჩინეთის საომარმა განწყობამ საგრძნობლად იკლო მას შემდეგ რაც 1964 წელს ბირთვულ იარაღს დაეუფლა, ხოლო ინდოეთი და პაკისტანი იმავე პოტენციალის მოპოვების შემდეგ უფრო ფრთხილნი გახდნენ. თითქმის უსაფუძვლოა დავუშვათ, რომ ირანი იმავე კვალს არ გაუყვება.

რაც შეეხება ტერორისტებისთვის ბირთვული იარაღის გადაცემის საშიშროებას, არცერთ ქვეყანას არ ძალუძს ჩაიდინოს ეს, მაღალი ალბათობის რისკის გარეშე, რომ მხილებული აღმოჩნდება. შეერთებული შტატების დაზვერვითი შესაძლებლობები და მზარდი, შთამბეჭდავი უნარი ბირთვული მასალების წყაროთა იდენტიფიცირებისა, სერიოზული წინაღობაა ამისათვის. გარდა ამისა, ქვეყნებს ყოველთვის არ შეუძლიათ სრულად აკონტროლონ, ან თუნდაც წინასწარ განჭვრიტონ მათ მიერ სპონსორირებული ტერორისტული ჯგუფების ქცევა. თუ ირანი ბირთვულ პოტენციალს მოიპოვებს, მას სრული საფუძველი ექნება ასეთ არსენალზე ყოვლისმომცველი კონტროლი შეინარჩუნოს. ბოლოს და ბოლოს ბომბის დამზადება ძალიან ძვირი და სახიფათოა. უგუნურება იქნებოდა ასეთი ძვირადღირებული პროდუქტის გადაცემა მათთვის ვისი არც ნდობა შეიძლება და არც მართვა ხერხდება.

კიდევ ერთი დაჟინებით გამონათქვამი შეშფოთება მდგომარეობს მასში, რომ თუ ირანი ბომბს მიიღებს, რეგიონის სხვა სახელმწიფოებიც მის მაგალითს მიბაძავენ, რაც ახლო აღმოსავლეთში გამალებულ ბირთვულ შეიარაღებას გამოიწვევს. თუმცა ბირთვული ერა უკვე 70 წელს ითვლის, მაგრამ შიში პროლიფერაციისა[55] აქამდე უსაფუძვლო გამოდგა. ფაქტობრივად, 1970-იანი წლებიდან ბირთვულ სახელმწიფოთა წარმოშობა საგრძნობლად შენელდა. უსაფუძვლოა მოლოდინი, რომ ეს სურათი ახლა შეიცვლება. თუ ირანი ახლო აღმოსავლეთში მეორე ბირთვული ძალა გახდა, ეს სულაც არ მოასწავებს კატასტროფას. როდესაც ისრაელი 1960-იან წლებში ბომბს დაეუფლა, ის ბევრ მეზობელთან საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მისი ბირთვული არსენალი ბევრად დიდ საფრთხეს წარმოადგენდა არაბული სამყაროსთვის, ვიდრე დღეს ირანის პროგრამა. თუ ატომური იარაღის ფლობით ისრაელმა გამალებული შეიარაღება არ გამოიწვია, მაშინ ნაკლები საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს ახლა ირანის გამო მოხდება.

[55] პროლიფერაცია (ლათ.) - ამ შემთხვევაში იგულისხმება აკრძალული იარაღის სწრაფი და უკონტროლო გავრცელება.

მშვიდად იყავით

1991 წელს ისტორიულმა მეტოქეებმა, ინდოეთმა და პაკისტანმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას[56] ერთმანეთის ბირთვულ ობიექტებზე თავდაუსხმელობის შესახებ. მათ გააცნობიერეს, რომ მოწინააღმდეგის ბირთვულ პოტენციალზე გამუდმებული მუქარით გამოწვეული არასტაბილურობა გაცილებით საშიშია, ვიდრე თავად ეს პოტენციალი. მას შემდეგ მაღალი დაძაბულობისა და სარისკო პროვოკაციების მიუხედავადაც კი, ამ ორ ქვეყანას მშვიდობა არ დაურღვევია. ისრაელისთვის და ირანისთვის კარგი იქნებოდა ამ პრეცედენტის გათვალისწინება. თუ ირანი ბირთვული სახელმწიფო გახდა, ისრაელი და ირანი ერთმანეთს ისევე შეაკავებენ, როგორც ყველა სხვა ბირთვული სახელმწიფო აქამდე. ბირთვული იარაღის მფლობელ ორ სახელმწიფოს შორის სრულმასშტაბიანი ომი არასდროს მომხდარა. როგორც კი ირანი ბირთვულ ზღურბლს გადალახავს, შეკავების კანონზომიერება ამოქმედდება, თუნდაც ირანის არსენალი შედარებით მცირე იყოს. რეგიონის არცერთ სხვა ქვეყანას აღარ ექნება მისწრაფება საკუთარი ბირთვული პოტენციალის შექმნისკენ და არსებული კრიზისი ბოლოს და ბოლოს მოგვარდება, ეს კი ახლო აღმოსავლეთს ამჟამინდელზე უფრო სტაბილურს გახდის.

ამიტომ, შეერთებულ შტატებსა და მის მოკავშირეებს ამდენ ძალისხმევად არ უნდა უღირდეთ ირანელების მიერ ბირთვული იარაღის შექმნის აღკვეთა. ირანსა და დიდ სახელმწიფოებს შორის დიპლომატია უნდა გაგრძელდეს, რადგან ღია არხებით კომუნიკაცია დასავლეთის ქვეყნებს გაუადვილებს შეეგუონ ბირთვული ირანის არსებობას. ხოლო, ამჟამინდელი სანქციები შეიძლება მოიხსნას: ისინი უმეტესად უბრალო ირანელებისთვისაა საზიანო.

რაც მთავარია, არაბულ სამყაროში, ევროპაში, ისრაელსა და შეერთებულ შტატებში პოლიტიკოსებსა და მოქალაქეებს უნდა ანუგეშებდეს ის ფაქტი, რომ როგორც ისტორია გვიჩვენებს, იქ სადაც ბირთვული პოტენციალი წარმოიშობა, სტაბილურობაც ჩნდება. რადგან საქმე უკვე ბირთვულ შეიარაღებაზე მიდგა, ამჟამად რაც უფრო მეტს ექნება იგი – მით უკეთესი.

[56] მხარეებმა შეთანხმებას ხელი მოაწერეს 1988 წლის დეკემბერში, რომელიც ძალაშია 1991 წლის პირველი იანვრიდან. იხ. India-Pakistan Non-Attack Agreement;
http://www.nti.org/treaties-and-regimes/india-pakistan-non-attack-agreement/